ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 მარტი **პარასკევი** 2012
№063(13669) ფასი 80 თეთრი

## ბასკებმა და პორტუგალიელებმა მანჩესტერელები მოიგნელეს

UEFA EUROPA LEAGUE



მეოთხედფინალისტები:
ალკმაარი, ატლეტიკო, ბილბაო, ვალენსია, მეტალისტი, სპორტინგი, შალკე, ჰანოვერი

წუხანდელი მატჩები

7



12

## დრო ერგბო და შეირგბო

ფაჩულიას მეშვიდე ორმაგი



2

## იმერეთში ისევ თოვს!

ზესტაფონი-ტორპედო გადაიდო

## დღეს 15:00 წილისყრაა!

## მოურინიო: ვინც გინდათ, ის იყოს!

## თუნდაც ბარსელონა?!

ჩემპიონთა ლიგასა და ევროპალიგაში მეოთხედფინალისტები და ნახევარფინალისტები დაწყვილდებიან



9

## პლეი ოფი

**კოლხეთი–ბაია**
bwin: 2.10 3.10 3.25
16.03. ფოთი. ფაზისი 15:00

**დილა–მეტალურგი**
bwin: 2.55 3.15 2.55
16.03. თბილისი. ნაკრების ბაზა ბასა 15:00

**დინამო–მერანი**
bwin: – – –
Live რეპორტაჟი პირველ არხზე
16.03. თბილისი. დინამო არენა 18:00

**ზესტაფონი–ტორპედო**
გადაიდო

## პლეი აუტი

**მერცხალი–ჩიხურა**
16.03. ოზურგეთი. ცენტრალური 15:00

**ბათუმი–სიონი**
16.03. ბათუმი. ადელი 15:00

**გურია–გაგრა**
16.03. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე 15:00

**ვიტ ჯორჯია–სპარტაკი**
16.03. მცხეთა. მცხეთა პარკი 15:00

## პლეი ოფი

| | | სულ | | | | ბურთები | | | შინ | | | | ბურთები | | | სტუმრად | | | | ბურთები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 15 | 10 | 3 | 2 | 28 | 12 | 33 | 7 | 4 | 1 | 2 | 12 | 8 | 13 | 8 | 6 | 2 | 0 | 16 | 4 | 20 |
| 2 | მეტალურგი | 15 | 8 | 2 | 5 | 22 | 19 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 13 | 4 | 17 | 7 | 3 | 0 | 4 | 9 | 15 | 9 |
| 3 | ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 17 | 12 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 14 | 6 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 3 | 6 | 8 |
| 4 | დინამო | 14 | 7 | 2 | 5 | 27 | 20 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 16 | 8 | 14 | 7 | 3 | 0 | 4 | 11 | 12 | 9 |
| 5 | ბაია | 15 | 4 | 4 | 7 | 11 | 19 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 8 | 6 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 3 | 13 | 5 |
| 6 | დილა | 14 | 4 | 3 | 7 | 16 | 17 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 7 | 8 | 7 | 7 | 2 | 2 | 3 | 9 | 9 | 8 |
| 7 | მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 12 | 22 | 13 | 7 | 3 | 1 | 3 | 7 | 9 | 10 | 7 | 1 | 0 | 6 | 5 | 13 | 3 |
| 8 | კოლხეთი | 15 | 2 | 6 | 7 | 8 | 20 | 12 | 8 | 1 | 2 | 5 | 3 | 12 | 5 | 7 | 1 | 4 | 2 | 5 | 8 | 7 |

## პლეი აუტი

| | | სულ | | | | ბურთები | | | შინ | | | | ბურთები | | | სტუმრად | | | | ბურთები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | გატ | გაშვ | ქ |
| 1 | სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | გაგრა | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 | სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | გურია | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| 6 | ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 |
| 7 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| 8 | მერცხალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოვლი ცენტრალურ მატჩებს ერჩის



პირველ ეტაპზე დინამომ მერანი ბასაზე დაამარცხა

ფოტო :www.fcdinamo.ge

**როგორც გუშინ ვივარაუდეთ, დღევანდელი ტურის ცენტრალური მატჩი გადაიდო და ამის გამო ყველაზე დიდ ინტერესს „დილასა“ და „მეტალურგის“ დაპირისპირება იწვევს. თუმცა საინტერესო ამბებს სხვა შეხვედრებშიც უნდა ველოდოთ, როგორც პლეი ოფში, ასევე პლეი აუტში. ასე რომ, მივყვეთ თანმიმდევრობით.**

## იმერული დერბი მარტის ბოლოს

„ზესტაფონი“ „ტორპედოს“, სავარაუდოდ, 29 მარტს უმასპინძლებს, „იმერული დერბის“ გადადების მიზეზებზე კი გუშინ ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდეთ. მოკლედ მაინც შეგახსენებთ, რომ ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე დიდი თოვლი დევს. არც მასპინძლის შეცვლა გამოდიოდა, რადგან „ტორპედოს“ სტადიონზეც დაახლოებით ამგვარი მდგომარეობაა, ასეთი მასშტაბური მატჩის სხვა რეგიონში ჩატარება კი, უბრალოდ, აბსურდი იქნებოდა. ასე რომ, შეხვედრის გადადება შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი აღმოჩნდა.

ისლა დაგვრჩენია, რომ დღეს არსებულ კლიმატურ-ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას შევეგუოთ და ამასთანავე, იმ კლუბების მდგომარეობაშიც შევიდეთ, რომელთაც დიდთოვლობამ საწვრთნელი პროცესიც შეუფერხა და მატჩების გადადებით კალაპოტიდანაც ამოაგდო. ეს პრობლემა კი, ფაქტობრივად, ყველა უმაღლესლიგელს შეეხო.

„ზესტაფონი“-“ტორპედოზე“ უფრო ვრცლად მაშინ ვისაუბროთ, ამ მატჩის დღე რომ მოახლოვდება, თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეზობლებს ერთმანეთისთვის დასამტკიცებელი კვლავ ბევრი აქვთ. გასახსენებელიც მრავლადაა - თუნდაც მიმდინარე ჩემპიონატში ერთმანეთის მოედანზე მოგებული მატჩები და „ზესტაფონის“ გამარჯვებით დასრულებული დრამატული სათასო მეოთხედფინალი რად ღირს.

## ტურის მატჩი შეუფერებელ ადგილზე

ეროვნული ნაკრების საწვრთნელი ბაზა იმისთვის არსებობს, რომ იქ მხოლოდ ამ გუნდმა იცხოვროს და ივარჯიშოს, თუმცა „ბასა“ ამ სეზონში უკვე არაერთხელ იქცა უმაღლესი ლიგის შეხვედრების მასპინძლად. ახლა კი იქ სულაც განსაკუთრებული სტატუსის მქონე მატჩი ჩატარდება, რამაც ერთხელ მაინც უნდა დააფიქროს ის ხალხი, ვისაც უმაღლეს ლიგაში კლუბების გაზრდის სურვილი აქვს და დიდი ალბათობით, ამ სურვილს სისრულეში მოიყვანს.

ჩემპიონატის მატჩის „ბასაზე“ დანიშვნის მიზეზი ამჯერად საქართველოსა და რუსეთის სარაგბო დაპირისპირებაა, რომელიც შაბათს „მიხეილ მესხზე“ უნდა გაიმართოს. ვაკის სარბიელს „დილასთვის“ ამჯერად არ ეცლება. ასეთი დონის სარაგბო შეხვედრა „მიხეილ მესხზეც“ უნდა გაიმართოს და თუ საჭიროა, ეროვნულ სტადიონზეც (რაც მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა), მაგრამ რა ვუყოთ იმ რეალობას, რომ წმინდა საფეხბურთო მიზეზები უმაღლესი ლიგის კლუბებს კიდევ არაერთხელ აიძულებს უმაღლესი ლიგისთვის შეუფერებელ ადგილებზე თამაშს?

რაც შეეხება „დილასა“ და „მეტალურგის“ ამოცანებს, რუსთაველებს ჯერ ჩემპიონის შანსიც არ დაუკარგავთ და მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ, გორელები კი, ვფიქრობთ, მხოლოდ თასის მოგებაზე არ ფიქრობენ - უმაღლეს ლიგაში წარმატებული სერია თუ განაგრძეს, სულ მალე მედლებისთვის ბრძოლის რეალური ამბიციაც გაუჩნდებათ.

## დინამოს სარევანშო განწყობა

მარტვილის სტადიონზე იმხელა თოვლი დევს, რომ იქ თამაში უახლოეს პერიოდში გამორიცხულია. სწორედ ამიტომ, „დინამოსა“ და „მერანის“ ურთიერთშეთანხმებით, სამეგრელოში დანიშნული შეხვედრა თბილისში გაიმართება. „დინამოს“ მეორე ეტაპის პირველ ტურში „დილასთვის“ უნდა ემასპინძლა, მაგრამ თოვლმა ეს მატჩიც გადადო და შესაბამისად, **გიორგი დევდარიანის** გუნდი დღეს მეორე ეტაპზე პირველად ითამაშებს. პირველი ეტაპის დასკვნითი ოთხი ტური „დინამომ“ უდანაკარგოდ განვლო და ვნახოთ, როგორ შეხვდებიან დედაქალაქელები გადამწყვეტ რაუნდს. „მერანმა“ კი რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრით მთავარი ამოცანა გადაწყვიტა და როგორც მარტვილელთა ბოლო შეხვედრები გვაფიქრებინებს, მათ ამ სეზონში ამაზე მეტი ამბიცია ვერ ექნებათ.

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მატჩი ამ გუნდებს შორის გაიმართა. შეგახსენებთ, მარტვილში „დინამო“ დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ „მერანმა“ თბილისელებს ორი გოლი გაუტანა და **მალხაზ ჟვანიამ** და მისმა ფეხბურთელებმა საკუთარ ქომაგებს დიდი ზეიმი მოუწყვეს. დინამოელთა მთავარი მწვრთნელისთვის **ალექს გარსიასთვის** კი საქართველოში ჩატარებული უკანასკნელი მატჩი აღმოჩნდა...

„კოლხეთისა“ და „ბაიას“ დაპირისპირებაზე სხვა დროს უფრო მეტს ვისაუბრებდით, მაგრამ ჩემპიონატის ფორმატიდან გამომდინარე, ეს შეხვედრა დღეს, ფაქტობრივად, ველარაფერს წყვეტს.

## ქვედალიგელთა შანსი

„გურია“ ერთადერთი პირველლიგელია, რომელიც პლეი აუტის სასტარტო ტურში არ დამარცხებულა და თუ დღეს შინ „გაგრას“ სძლია, სატურნირო ცხრილში პოზიციებს საგრძნობლად გაიმყარებს. ბუნებრივია, ანალოგიური სურვილი აქვს „გაგრასაც“ და პლეი აუტში მოთამაშე ნებისმიერ გუნდსაც.

ქვედა რვიანის ცენტრალურ მატჩად კი „ვიტ ჯორჯია“-“სპარტაკი“ უნდა მივიჩნიოთ. ეს გუნდები მცხეთაში სულ ახლახან, 22 თებერვალს დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და უგოლოდ გაიყარნენ. ის შეხვედრა რომელიმე მათგანს რომ მოეგო, დიდი ალბათობით, პლეი ოფის საგზურსაც შეწვდებოდა...

**ლევან ჯანეზაშვილი**



დილა-მეტალურგი ორი კვირის წინ მცხეთა პარკზე გორელთა გამარჯვებით დასრულდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტ ჯორჯია

# ვიტ ჯორჯიასა და ძაძამიას გზები გაიყო

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია" მეკარე **გიორგი ძაძამიასთან** თანამშრომლობას წყვეტს. როგორც „ლელოსთვისაა" ცნობილი, მეკარეს ოჯახური მდგომარეობის გამო კლუბის დატოვება დიდი ხანია სურს, კლუბი კი თანახმაა მისი სურვილი დააკმაყოფილოს.

„ლელო" „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტს **გურამ რუხაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ლაპარაკი იყო, თუმცა დოკუმენტურად ჯერ ურთიერთობა გაწყვეტილი არაა.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო მატჩში, სადაც „ვეტერინარები" საკუთარ „მცხეთა პარკზე" ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „ზესტაფონს" ხვდებოდნენ, 33-ე წუთზე უხეში თამაშის გამო ძაძამია მოედნიდან გააძევეს. ის პრინციპული შეხვედრა თბილისელებმა მინიმალური სხვაობით წააგეს და გუნდის მიზანიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნება იქნება. ისე, არ არის გამორიცხული, რომ ძაძამიას გუნდიდან გაშვების არაოფიციალური მიზეზი, შესაძლოა მეკარის ხასიათიც ყოფილიყო.

23 წლის მეკარე "ვიტ ჯორჯიაში" 2010 წლის ივნისში გამოჩნდა და იმის მერე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადი შემადგენლობის წევრი გახლდათ.

**მაგდა კლდიაშვილი**

## გიორგი ძაძამია
# ჩემთვისაც ასე სჯობდა


გიორგი ძაძამია ვიტ ჯორჯიას მეკარე აღარ არის

**გუშინ** შევიტყვეთ, რომ "ვიტ ჯორჯია" ძირითადმა მეკარე გიორგი ძაძამიამ დატოვა. "ლელოსთან" საუბარში მან ეს ინფორმაცია დაადასტურა და კომენტარიც გააკეთა.

**- თანამშრომლობის შეწყვეტა ვისი ინიციატივა იყო?**

- წასვლაზე მეც ვფიქრობდი, მაგრამ მოვლენები კლუბის პოზიციამ დააჩქარა.

**- ანუ გითხრეს, რომ "ვიტ ჯორჯია" უნდა დაგეტოვებინა?**

- ასე პირდაპირ არ მითხრეს, მაგრამ რომ გეტყვიან, ბავშვები უნდა გავზარდოთო, იმას ნიშნავს, რომ გუნდში შენი ადგილი აღარ არის. არადა, ჯერ 23 წლის ვარ. როგორც ჩანს, ასე სურდა კლუბს და რადგან ასეა, ჩემთვისაც ასე სჯობდა, "ვიტ ჯორჯიადან" უნდა წამოვსულიყავი და წამოვედი კიდეც.

**- განთავისუფლების ფურცელი უკვე მიიღე?**

- ჯერ არა, მაგრამ სულ მალე მივიღებ. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაიკეტა და სეზონის ბოლომდე ვერსად გადავალ.

**- ასეთ პირობებში შეძლებ ფორმის შენარჩუნებას?**

- ინდივიდუალურად ვივარჯიშებ და ვფიქრობ, უგუნდობით ძალიან არ დავზარალდები. მომზადებაში "ვიტ ჯორჯიას" მეკარეების მწვრთნელი ლევან აბაშიძეც დამეხმარება.

**- როგორც ჩანს, მომხდარი გულთან დიდად არ მიგიტანია.**

- ამით ცხოვრება არ მთავრდება, ახალგაზრდა, ამბიციური კაცი ვარ, ოჯახი მყავს და უფრო მაღალ დონეზე თამაშის პრეტენზიაც მაქვს. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა და საკუთარ თავზე მუშაობას ძველებურად განვაგრძობ. შეიძლება, ჩემს ადგილზე სხვა ფეხბურთელისთვის ეს დიდი დარტყმა ყოფილიყო, მაგრამ ჩემთვის სტიმულია. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონს ძლიერ კლუბში დავიწყებ.

**- ამ ამბავზე გავლენა "ზესტაფონთან" მატჩში შენმა გაძევებამ ხომ არ იქონია?**

- არ ვიცი. იმ ეპიზოდში სხვა გამოსავალი არ მქონდა, მოწინააღმდეგე უნდა შემეჩერებინა, ჩემს კარში გოლს ვერ გავატანინებდი.

**- "ვიტ ჯორჯიასთან" რაიმე სახის ფინანსური დავა ხომ არ გექნება?**

- არა, ყველაფერზე შევთანხმდით. ამ თვის ხელფასს ავიღებ და კლუბთან სხვა პრეტენზია არ მექნება.

**- მთლიანობაში, "ვიტ ჯორჯიადან" დადებითი ემოციები უფრო მიგყვება თუ უარყოფითი?**

- ძირითადად დადებითი. "ვიტ ჯორჯიასი" მადლობელი ვარ, რადგან ფეხბურთელად აქ ჩამოვყალიბდი და სანაკრებო შეკრებაზეც აქედან გამომიძახეს. ძალიან მეგობრული გუნდია და იქ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის გურამ რუხაძისა და იმ მწვრთნელების მიმართ, რომლებთან ერთადაც "ვიტ ჯორჯიაში" მიმუშავია. განსაკუთრებით მადლიერი კი ზურაბ ბერიძის მიმართ ვარ განწყობილი. ისიც მეკარე იყო და ჩემი ყველაზე კარგად ესმოდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 17

# ლუქსემბურგს ამჯერად ერთი ვაქმარეთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ლუქსემბურგში მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ადგილობრივი ნაკრები ამჯერად მინიმალურად, 1:0 დაამარცხა. შეგახსენებთ, 13 მარტს **ვასილ მაისურაძის** გუნდმა ლუქსემბურგელი 17-წლამდელები 6:0 გაანადგურა.

გუშინ გამარჯვების გოლი **დავით ჯიქიამ** გაიტანა, საქართველოს ნაკრების სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი იყო: **შერმადინი, კაკაბაძე, გურეშიძე, დვალი, სამხარაძე, ჭეჭელაშვილი (კაპ), გოროზია, პაპუნაშვილი, მზევაშვილი, მესხი, ჯიქია.**

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***ნ.ჭანტურია, აბურჯანია, ახვლედიანი, დარციმელია და ნილოსანი.***

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

**VIII ტური**

**11 მარტი**

| | |
|---|---|
| საქართ. უნივერსიტ.-არაი | 10:3. |
| სოკარი - აუტო ბილდი | 22: 5. |
| VTB ბანკი - დპდ | 1:9. |
| პატრული - DHL ჯორჯია | 7:1. |

**ცხრილი VII ტურის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოკარი | 8 | 7 | 1 | 0 | 55-16 | 22 |
| 2. დპდ | 8 | 7 | 0 | 1 | 54-12 | 21 |
| 3. პატრული | 8 | 5 | 0 | 3 | 25-11 | 15 |
| 4. საქ. უნივ. | 8 | 5 | 0 | 3 | 32-21 | 15 |
| 5. ნატახტარი | 6 | 4 | 1 | 1 | 24-17 | 13 |
| 6. სარაჯიშვილი | 6 | 3 | 0 | 3 | 32-23 | 9 |
| 7. DHL ჯორჯია | 8 | 3 | 0 | 5 | 24-35 | 9 |
| 8. VTB ბანკი | 7 | 1 | 0 | 6 | 11-32 | 3 |
| 9. არაი თუმოროუ | 7 | 1 | 0 | 6 | 24-50 | 3 |
| 10. აუტო ბილდი | 8 | 0 | 0 | 8 | 15-79 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელა ლაბაძე (დპდ) | 17 |
| დავით დარჩია (სოკარი) | 14 |
| რევაზ ინჯგია (დპდ) | 13 |
| მახო მურცხვალაძე (სოკარი) | 13 |

სიტუაცია


გოჩა ტყებუჩავა

# ბაია ბოიკოტით იმუქრება

**ზუგდიდის „ბაია", წესით და რიგით, ფოთს უნდა ესტუმროს და მეგრულ დერბიში "კოლხეთს" დაუპირისპირდეს, თუმცა ამ შეხვედრას ჩაშლა ემუქრება. მიზეზი არა სიცივე და დიდთოვლობაა, არამედ ფინანსური კრიზისი, ზუგდიდურ გუნდს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ხშირად რომ ახსენებს თავს.**

**კლუბს ფეხბურთელების მიმართ ერთი თვის დავალიანება და პრემიალურები აქვთ გასასტუმრებელი, ამიტომ მოთამაშეები მოედანზე გასვლას არ აპირებენ. დაპირებისამებრ, ხელფასები 5-დან 10 მარტის ჩათვლით უნდა გაცემულიყო, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.**

**„ლელო" „ბაიას" მთავარ მწვრთნელს, გოჩა ტყებუჩავას დაუკავშირდა:**

**- გავრცელებული ინფორმაციით, სახელფასო დავალიანებების გამო გუნდი „კოლხეთის" წინააღმდეგ თამაშს არ აპირებს. ადასტურებთ ამას?**

- ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს, თუმცა ახლა ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

**- ფედერაციაში თუ იციან, რომ კლუბში ფინანსური კრიზისია და ფოთში ჩასვლას არ აპირებთ?**

- არ ვიცი, იციან თუ არა ფედერაციაში, მაგრამ, იმედი გვაქვს რომ სიტუაცია გამოსწორდება. ახლაც, ველოდებით, რომ ერთიანად დაირიცხოს ხელფასები. ვფიქრობთ, როგორ ვიმოქმედოთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- კონკრეტულად რა დავალიანებაზეა საუბარი?**

- ერთი თვის ხელფასები და პრემიალურებია გასაცემი და ფეხბურთელები უარს ამბობენ თამაშზე.

**- ბოლო ხანებში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს, ეხვაიასა და შონიას თამაში იშვიათად უწევთ. კონფლიქტი ხომ არაა ფეხბურთელებსა და თქვენს შორის?**

- მე კონფლიქტი არავისთან არ მაქვს.

**- ანუ მათი უთამაშებლობა არაოპტიმალური სათამაშო ფორმის ბრალია?**

- შეიძლება ასეც ითქვას.

**მაგდა კლდიაშვილი**

წიგნის თარო




**ქართული** ფეხბურთის წარსულისა და ისტორიის მოყვარულებს კიდევ ერთ საინტერესო წიგნთან გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა. ახალი წიგნი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის და მწვრთნელის, 1949-59 წლებში თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი გამორჩეული ვეტერანი ფეხბურთელის **ვლადიმერ ელოშვილის** გახსენებაა. ავტორი **დემიკო ლოლაძეა** — საქართველოს მწერალთა კავშირისა და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი. მის ოთხ ათეულზე მეტ გამოცემაში შედის წიგნები „დინამოს" ლეგენდებზე: **შოთა იამანიძეზე, სლავა მეტრეველზე, მიხეილ მესხზე, ვლადიმერ ბარქაიაზე, მურთაზ ხურცილავაზე, დავით ყიფიანზე, ვიტალი დარასელიაზე, ნოდარ ახალკაცზე...**

**დემიკო ლოლაძე::** *მადლობა ბატონ რომან ფიფიას — „დინამო თბილისის" პრეზიდენტს, წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის. ვინც ოფლს ღვრიდა ქართული ფეხბურთის სადიდებლად, დავიწყებას არ უნდა მიეცეს. ვლადიმერ ელოშვილი გამორჩეული ფეხბურთელი იყო თბილისის „დინამოს" ისტორიაში. მცირე პერიოდში გუნდის კაპიტანიც გახლდათ. შემტევი ყაიდის მცველს არაერთი გოლიც გაუტანია. დიდ ფეხბურთთან გამოთხოვების შემდეგ ჭაბუკების აღზრდას მოჰკიდა ხელი და აქაც გაითქვა სახელი. უამრავი ფეხბურთელი აღზარდა: ჩივაძე, გუცაევი, კანთელაძე, გოგია, კოპალეიშვილი... 1967 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ვლადიმერ ელოშვილი იყო. მაშინ მიანიჭეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მაღალი წოდება. პიროვნულად ღირსეული, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი და უაღრესად თავმდაბალი ადამიანი გახლდათ. მკითხველი ბევრ საინტერესოს გაიგებს, გაიხსენებს ამ წიგნის გაცნობისას. კარგია, რომ „დინამო" არ ივიწყებს, თავის გამორჩეულ ვეტერანებს.*

ქართული ფეხბურთი

პლეი აუტი. ბათუმის "დინამო"

# შედეგი და ფინანსები

**ბათუმის "დინამო" საქართველოს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სოლიდური კლუბი იყო, ეროვნულ, ახალგაზრდულ და ასაკობრივ ნაკრებებსაც მუდმივად ამარაგებდა საკმაოდ ნიჭიერი მოთამაშეებით. მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, 2008 წელს გუნდი პირველ ლიგაში გავარდა და მხოლოდ ახლა გაუჩნდა დაბრუნების შანსი. ბათუმელები პლეი აუტში მოხვდნენ და ოთხ საუკეთესოში დამკვიდრების იმედი აქვთ. "დინამოს" დირექტორი, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი სულხან გოგიბერიძე გუნდის სამომავლო გეგმებზე, ბათუმში სტადიონის მშენებლობასა და "სპორტინგთან" თანამშრომლობაზე გველაპარაკება.**


სულხან გოგიბერიძე

**- პირველი შეხვედრა "გაგრასთან" წააგეთ და საქმე ცოტა გაგირთულდათ.**

- ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და მგონი, მიზანს მაინც მივაღწევთ. საამისოდ ჩვენც ყველაფერს ვაკეთებთ და აჭარის ხელისუფლებაც მაქსიმალურად გვეხმარება. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ გუნდს გამოყოფილი აქვს 700 ათასი ლარი, რაც პირველი ლიგის გუნდისთვის პატარა ამბავი არ არის.

**- 700 ათასი ლარი ორი წლის წინათ უმაღლესი ლიგის გუნდისთვისაც არ იქნებოდა ურიგო ბიუჯეტი, მაგრამ ახლა უმაღლესში საკმარისი აღარ იქნება.**

- თუ მიზანს ვერ მოვაღწიეთ, შესაძლოა, არსებული თანხა განახევრდეს კიდეც. ჩვენ საბიუჯეტო დოტაციაზე მყოფი გუნდი ვართ, პირველ ლიგაში კი ზედიზედ ორჯერ 700 ათას ლარს არავინ დახარჯავს. აჭარაში მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება და თითოეულ თეთრს ვუფრთხილდებით. უმაღლესში დაბრუნების შემთხვევაში კი ბიუჯეტი კიდევ გაიზრდება და გუნდს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ქართული ფეხბურთის ლიდერებში ადგილი რომ დავიბრუნოთ. ერთი სიტყვით, დაფინანსება ჩვენი შედეგის ადეკვატური იქნება.

**- პლეი აუტის დაწყებამდე განსაკუთრებულად არც გაძლიერებულხართ და წარმატების რა შანსები გაქვთ?**

- ჩვენ მხოლოდ მიხეილ ალავიძე დავიმატეთ, რომელიც გამოცდილი მეკარეა და დარწმუნებული ვარ, დიდ დახმარებას გაგვიწევს. ამას გარდა, გამოცდილი ამირან მუჯირი გვეხმარება, დავიბრუნეთ ვაჟა ქორიძე, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება გააჩნია. საერთოდ კი საკუთარი რესურსებით ვცდილობთ წარმატების მიღწევას. აჭარაში საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან და მათ გასაქანი სჭირდებოდათ.

**- მაგრამ ბოლო წლებში, აჭარაში ოთხი სტადიონი დაანგრიეს, თქვენ კი "ადელზე" თამაშობთ. ბათუმში სტადიონის აშენება როდის გველირსება?**

- ჯერ მშენებლობა არ დაწყებულა, მაგრამ თანამედროვე საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რომ იგეგმება, ამაში შეგიძლიათ მერწმუნოთ. საქართველო-აზერბაიჯანში ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ სერიოზული ინიციატივაა და, დარწმუნებული ვარ, ბათუმში თანამედროვე სტადიონი მალე აშენდება. ეს დროის ამბავია, თორემ ჩვენი ქალაქი სტადიონის გარეშე წარმოუდგენელია და დარწმუნებულიც ვარ, ეს საკითხი ევროპის ჩემპიონატის ჩატარება-არ ჩატარებაზეც არ იქნება დამოკიდებული. ეგაა, გულშემატკივრებს ეჩქარებათ და მათი კარგად მესმის.

**- მანამდე ისევ "ადელზე" ითამაშებთ?**

- დროებით მეტოქეებს "ადელზე" ვუმასპინძლებთ, შემდეგ კი ქობულეთში, სადაც სტადიონის განახლება აგვისტოში უნდა დამთავრდეს. საამისოდ, ცენტრალური ბიუჯეტიდან 700 ათასი ლარია გამოყოფილი, ფეხბურთის ფედერაცია კი მოედნის საფრის შეცვლაში გვეხმარება.

ახლა ქობულეთის სტადიონი 4 ათას გულშემატკივარს იტევს, განახლების შემდეგ კი ტრიბუნები გაიზრდება და 5 ან 7 ათას მაყურებელს დაიტევს. ეს იქნება პატარა, მაგრამ ძალიან კოხტა საფეხბურთო სტადიონი.

**- იყო ინფორმაცია, რომ ლისაბონის "სპორტინგი" ბათუმში აკადემიას გახსნის. მოლაპარაკება რა სტადიაშია?**

- მოლაპარაკების ორი ეტაპი გავიარეთ. პირველი ეტაპი გაცნობითი ხასიათის იყო და პორტუგალიაში ჩავედით, მერე კი "სპორტინგის" აკადემიის დირექტორი ბათუმში გვესტუმრა. პორტუგალიელები საფეხბურთო სკოლას აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით დააფუძნებენ.

**- გადასაწყვეტი და შესათანხმებელი რა საკითხებია?**

- ყველაფერი ქართულ მხარეზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ კი გვეჩქარება, მაგრამ ევროპელები ყველა საკითხს დეტალურად განიხილავენ და სიჩქარეს ერიდებიან. მაგრამ ვიმეორებ, პორტუგალიელები თანამშრომლობით დაინტერესდნენ.

**- პორტუგალიელები ბრაზილიისა და აფრიკის ბაზრებზე არიან გასულები და საქართველოში რა ინტერესი აქვთ?**

- ისინი არ იცნობენ აღმოსავლეთ ევროპას, სადაც საკმაოდ ბევრი ტალანტი იზრდება და დამკვიდრებისა და ტალანტების აღმოჩენის სურვილი აქვთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია. როდესაც ბრაზილიასა და აფრიკაში აკადემიებს ხსნიან, იგივე საქართველოში რატომ არ შეიძლება? თანაც, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა საშუალებას, რომ ჩვენს სკოლას ავტომატურად მიება თურქეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი, თუნდაც, უკრაინა.

**- ანუ ეს საერთაშორისო აკადემია იქნება?!**

- დიახ, პორტუგალიელებს სწორედ ასეთი გეგმა აქვთ. სკაუტები და სელექციონერები ნიჭიერ ბავშვებს სხვა ქვეყნებიდანაც მიიწვევენ. აკადემიაში ყველა მსურველი ვერ მოხვდება, მხოლოდ საუკეთესოებს შევარჩევთ. ეს აპრობირებული მეთოდია, მოვიწვევთ 12 წლის და შემდეგი ასაკის ბავშვებს, და დიდი ალბათობაა, ამ სისტემაში გაზრდილთა უმრავლესობამ დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

ლეგიონერები

# აზერბაიჯანული რეალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა


კახა ცხადაძე

ზოგადად, ნებისმიერ ქვეყანაში უცხოელებს გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. ლეგიონერ მოთამაშესაც მეტი მოეთხოვება და მწვრთნელსაც, მათ თითეულ ნაბიჯს ადგილობრივზე მეტი სკეპტიციზმით აფასებენ.

გამონაკლისი არც აზერბაიჯანია, სადაც თავისიანებს მეტად ეფერებიან, უცხოელები კი მუდმივ სამიზნეში ჰყავთ ამოღებული.

"ყარაბახის", "ბაკისა" და "ნეფთჩის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ბეიუქალა აგაევი** "აზერისპორტს" უცხოელ მწვრთნელებზე ელაპარაკა და ბაქოს "ინტერის" მთავარი მწვრთნელი, **კახა ცხადაძე** უცხოელებში გამოარჩია:

*"კლუბებში უფრო უცხოელ სპეციალისტებს ენდობიან. მათ მეტსაც უხდიან, მაგრამ შედეგები არ არის, ბოლო რამდენიმე თვეში, აზერბაიჯანი დატოვეს ცნობილმა სპეციალისტებმა, მირჩა რედნიკმა, ტონი ადამსმა, სერგეი იურანმა, ახლა - ალექსანდრ სტარკოვმაც. მათ ყველა პირობა შეუქმნეს. ჩვენი მწვრთნელებისთვისაც მსგავსი პირობები რომ შეექმნათ "ხაზარსა" და "გაბალაში", აუცილებლად გახდებოდნენ ჩემპიონები. პრობლემა მწვრთნელებშია, უცხოელები თვლიან, რომ აზერბაიჯანში საერთოდ არ არის ფეხბურთი, აქ მუშაობა კი ადვილია. მაგრამ როდესაც რეალობას აწყდებიან, ხვდებიან, რომ ბრძოლის გარეშე ფულის გამომუშავება შეუძლებელია.*

*არ ვიცი, რატომ წავიდნენ უცხოელები, მაგალითად, მირჩა რედნიკი. ადამსის ამბავი გასაგებია, ის "არსენალის" ლეგენდა იყო, მაგრამ მწვრთნელობამდე ვერ გაიზარდა. სერგეი იურანი კი დიდხანს ვერსად ჩერდება და ისეთი აზრი იქმნება, რომ ეს არც შეუძლია. ალექსანდრ სტარკოვის ამბავიც ცხადია. როდესაც მწვრთნელი შედეგს ვერ აჩვენებს, ადრე თუ გვიან უნდა წავიდეს და ეს გადადგომაც მოსალოდნელი იყო.*

*"ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ კი თავისი გუნდი შექმნა. გასულ წელთან შედარებით, აზერბაიჯანელებს მეტად ენდობა. მისი გუნდი კარგად თამაშობს, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია და ოქროს მედლების მოპოვების შანსიც აქვს. როგორც ჩანს, აზერბაიჯანში გატარებული რამდენიმე წელი კახას დაეხმარა შეექმნა ისეთი კლუბი, როგორიც თავად სურდა".*

წაიკითხავ ამ სიტყვებს და უცებ გაავლებ პარალელებს, როგორ ვექცევით საქართველოში უცხოელ სპეციალისტებს. როგორც ჩანს, ლეგიონერი მწვრთნელის ხვედრი ყველგან მძიმეა, მას ორმაგი ტვირთი აწევს მხრებზე და რაც უფრო ძლიერი სპეციალისტია, ადგილობრივებს მით უფრო უჩნდებათ ჯიბრისა და ჯობნის სურვილი. თუმცა, თავად ეს პროცესი ფეხბურთის განვითარებას უწყობს ხელს, ადგილობრივებს კი მეტი დაფიქრებისა და სწავლის სურვილს უჩენს.

*P.S. აზერბაიჯანის ჩემპიონატში გუშინ კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი გაათავისუფლეს: "ხაზარის " თავკაცს, თურქ სპეციალისტს **ჯუნეით ბიჩერს** თასზე "ინტერთან" მარცხი არ აპატიეს. სხვათა შორის, ბიჩერის წინამორბედიც, რუმინელი სპეციალისტი **მირჩა რედნიკიც** "ინტერთან" წაგების მერე მოხსნეს ამ სამი თვის წინ ; აი, ასე "ძვირად" დაუჯდათ "ხაზარის'' უცხოელ მწვრთნელებს ქართველ კოლეგასთან, კახა ცხადაძესთან დამარცხება.*

# ტარმო კინკი კარპატიში ქართველებმა გადაიყვანეს?

***უკრაინულმა** ინტერნეტ სააგენტო Bigmir.net-მა ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერები შეაფასა. ათეულში ორი ისეთი ტრანსფერი მოხვდა, რომლებიც ქართველებს უკავშირდება.*

მე-7 ადგილზე დაასახელეს "ოლექსანდრიადან" **დავით თარგამაძის** დონეცკის "შახტარში" გადასვლა, რაც სააგენტომ ასე დაასაბუთა: *"თარგამაძეზე ნადირობდნენ კიევის "დინამო", ხარკოვის "მეტალისტი" და "შახტარი". "ოლექსანდრიას" ქართველმა ლეგიონერმა კი უპირატესობა მეშახტეებს მიანიჭა. თუმცა, ახალ კლუბთან მხოლოდ თებერვლის შეკრებაზე იყო, რის შემდეგაც ოსტატობის დასახვეწად და "შახტარისთვის" საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად მარიუპოლის "ილიჩივეცში" გადავიდა".*

სააგენტომ მნიშვნელოვან შეთანხმებებში მე-6 ადგილი მიუჩინა ინგლისის პრემიერშიფის "მიდლსბროდან" ლვოვის "კარპატიში" გადასული ესტონელი **ტარმო კინკის** ტრანსფერს. რა შუაშია ესტონეთის ნაკრების თავდამსხმელი ქართველებთან?

*"ამ ტრანსფერზე მიხეილ გულორდავასთან ერთად ვმუშაობდი და მიხარია, ასეთი ცნობილი მოთამაშე თანამშრომლობაზე რომ დავითანხმეთ. კინკი ადრე მოსკოვის "სპარტაკში" თამაშობდა, ბოლოს კი "მიდლსბროში" იყო. ინგლისიდან იტალიაში, "კატანიაში" გადადიოდა, მაგრამ მოველაპარაკეთ და ლვოვის "კარპატიში" გადავიყვანეთ. სხვათა შორის, 2008 წელს ტალინში ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს პენალტით გოლი გაუტანა და საერთოდაც, ძლიერი თავდამსხმელია. ეს ტრანსფერი უკრაინაში უკვე სეზონის ერთ-ერთ სენსაციად შეაფასეს"* – გვითხრა ქართველმა მენეჯერმა **სერგო ქუთათელაძემ**, რომელიც ბოლო დროს უკრაინულ ბაზარზე დამკვიდრდა.


ტარმო კინკი


გუჯა რუხაია

# შეუჩერებელი და ენერგიული

„ევროსპორტის" რუსულმა სამსახურმა რუსეთის ჩემპიონატის განახლებას სტატია მიუძღვნა, სადაც რამდენიმე გამორჩეული მოთამაშე დაასახელეს. სასიხარულოა, რომ რჩეულებში ნალჩიკის "სპარტაკის" ქართველი შემტევი ნახევარმცველი **გუჯა რუხაია** მოხვდა.

*"რუხაია ერთი თავით მაღლა დგას "სპარტაკში" თავის პარტნიორებზე. როგორც ჩანს, ეს ბიჭი შეუჩერებელია და უზარმაზარი ენერგია გააჩნია. ისეა, როგორც ცნობილი რეკლამის გმირი, რომელიც მაშინაც დარბის, როდესაც ყველა დანარჩენს არაფრის თავი არ აქვთ. ტელეკომენტატორის, პაველ გობატნიკოვის თქმით, გუჯა ფლანგის დაუღალავი "მხვნელია". გარდა ამისა, რუხაია ძლიერი დარტყმითაც გამოირჩევა და ამ იარაღს ხშირად იყენებს"* – წერს "ევროსპორტი".

*"ამჟამად გუნდში ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გვყავს, რომელთაგანაც ჩვენს მოთხოვნებს მხოლოდ შჩანიცინი და რუხაია აკმაყოფილებენ"* – ამბობს "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი **სერგეი ტაშუევი.**

აქვე ვიტყვით, რომ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასთან" გამართული შეხვედრის შემდეგ რუხაია ერთადერთი იყო ბოლო რვა გუნდის ფეხბურთელებიდან, რომელიც "ევროსპორტმა" რუსეთის პრემიერლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

24 წლის ქართველს მარჯვენა შემტევ ნახევარმცველად ათამაშებენ, საქართველოში კი დღემდე კარგად არ ვიცნობთ. თუმცა, თავად ის ფაქტი, რომ ბათუმელი ახალგაზრდა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ რუსეთის პრემიერლიგის კლუბის შეუცვლელი მოთამაშე გახდა, მისდამი ინტერესს აღვივებს. ვინ იცის, იქნებ, ნაკრებისთვისაც საინტერესო მოთამაშე გახდეს?

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლეგენდა 75 წლისა გახდებოდა

# მესხი

*მიშა ფეხბურთისთვის იყო გაჩენილი. ფეხბურთი იყო მისი სიცოცხლე, ის ბურთით ხარობდა და სხვასაც ახარებდა, მას ჰქონდა განუმეორებელი ინდივიდუალობა და უზომო სურვილი თამაშისა, მას უხაროდა თამაში...*

წლეულს მიხეილ მესხი 75 წლისა გახდებოდა. არ ვიცი, როგორ გავბედო, როგორ გამოვთქვა ის აზრი, რომელიც შეიძლება მკრეხელობად ჩამეთვალოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რასაც ვგრძნობ: მე ვერ წარმომიდგენია მოხუცი მიშა თეთრ თმა-წვერით შემოსილი. „სიბერე ბოლშევიზმზე უარესი ყოფილაო" — უთქვამს არქიტექტორ ოთარ ბაგრატიონს და ეს მართლაც ასეა, მიუხედავად დროის სვლისა, სიკვდილს რომ გვაახლოებს და გვავიწყებს განვლილ ცხოვრებას, მე მიშა მესხი ისეთივე უცვლელად მიდგას თვალწინ, როცა სრულიად ნორჩი ჭაბუკი ვიხილე, და მე სწორედ იმ მიშაზე ვისაუბრებ, რომლის დავიწყება შეუძლებელია.

**ჩვენების თამაში სხვა ფეხბურთი იყო. ჩვენ რომ თამაშებს ვუყურებდით, ის იყო ქართული ფეხბურთი. ეს არ იყო ნასწავლი ფეხბურთი ევროპელთა თუ სამხრეთამერიკელთა ტაქტიკის მიბაძვით, ქართული ფეხბურთი ჩვენმა ბუნებამ შვა.**

ვარსკვლავივით ჭაბუკი ღმერთმა მოგვივლინა. და ასეთი წაიყვანა ჩვენგან. გვახსოვს მოსხეპილი ტანადობის ჭაბუკი, რომელიც ბურთისთვის იყო გაჩენილი. როგორ შვენოდა მის გარეგნობას, მის თამაშს, მის სიჩაუქეს, სახელი — მესხი! მიშა მესხი, განუმეორებელი ინდივიდუალობის ფეხბურთელი, რომლის გამო სამართლიანად თქვა მსოფლიოს ერთერთმა უძლიერესმა ფეხბურთელმა მურთაზ ხურცილავამ: ასეთი გარემარბი მე არ მინახავსო. არ შეიძლება არ დაეთანხმო მურთაზ ხურცილავას, რომელიც პლანეტის ბევრი ცნობილი ფეხბურთელის თვითმხილველია.

დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფეხბურთის მატჩებს ვუყურებთ. განებივრებული ვართ გასაოცარი შეხვედრებით, მაგრამ იყო დრო, როცა ვცდილობდით, ჭურში არ ვმსხდარიყავით და პანტიანში დავდიოდით, უცხოეთის ფეხბურთს რომ გავცნობოდით ხარვეზებით სავსე ცისფერ ეკრანზე, საიდანაც მოისმოდა თურქული კომენტარები. ასე იყო, ვიდრე ერთ საღამოს იქ ავტომატიანი „ფეხბურთის მოყვარული" მილიციელები არ დაგხვდნენ და სამუდამოდ არ აგვიკრძალეს შუაღამით ფეხბურთის ყურება, თუმცა სხვა საეჭვო გადმოცემებსაც გულისხმობდნენ ალბათ.

დღეს ყველას შეუძლია ოჯახში უყუროს უცხოეთის გუნდების თამაშს. ცხადია, მეც, მაგრამ ვერ ვილებ იმ სიხარულს, რასაც ჩვენი „დინამო" და მისი განუმეორებლი ინდივუდუალობის ფეხბურთელები გვანიჭებდნენ (თქვენ გელიმებათ? ამაოდ!) რაშია საქმე? რატომ გაქრა ალტაცება? შეიძლება იმიტომ, რომ მშობლიური სიმღერა თუ ფეხბურთი გულთან უფრო ახლოსაა? არა მარტო ეს, ჩვენების თამაში სხვა ფეხბურთი იყო. ჩვენ რომ თამაშებს ვუყურებდით, ის იყო ქართული ფეხბურთი. ეს არ იყო ნასწავლი ფეხბურთი ევროპელთა თუ სამხრეთამერიკელთა ტაქტიკის მიბაძვით, ქართული ფეხბურთი ჩვენმა ბუნებამ შვა. პაიჭაძე იყო თავი სახე ქართული ფეხბურთისა, იმ დროს არ ემორჩილებოდნენ საფეხბურთო სისტემებს. მიმბაძველობა შემდეგ დაიწყო და დაიკარგა კიდევაც საკუთარი სახე.

როგორი იყო იგი. უპირველესად ის იყო თამაში, სანახაობა. თავის თავის ჩვენება. ზოგჯერ დამარცხებულები ვბრუნდებოდით სტადიონიდან, მაგრამ ალტაცებულნი ვიყავით ჩვენების კარგი თამაშით. რა ფეხბურთს გვიჩვენებს უბრწყინვალესი გუნდი „ბარსელონა"? ისინი დაუმარცხებელნი არიან. „ბარსელონა" მოგებაზე თამაშობს, დიდხანს უჭირავს ბურთი.

ესაა კალათბურთი ფეხით. ისინი თამაშს აგებენ მოკლე-მოკლე პასებზე, დიდხანს ინარჩუნებენ ბურთს, ხანდახან მარცხენა ფრთიდან უკან აწვდიან მარჯვენა მცველს. ისევ იწყებენ ბურთის გორაობას და გოლის გატანისათვის მზადებას, ვიდრე ბოლოს და ბოლოს მოწინააღმდეგის ბადეში არ გაეხვევა ბურთი. საყურებლად ასეთ ფეხბურთს აკლია ემოციურობა, ხალისი. აკლია მოულოდნელობა. მარადონას ენით რომ ვთქვათ, „სიგიჟე!" ერთხელ მურთაზ ხურცილავამ სინანულით ისიც დაიჩივლა: არ შეიძლება ბურთის უკან მიწოდებაო და ამ თქმაში მოისმის ქართული ფეხბურთის ხასიათი, შეტევა!

უდიდესი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა თავის მშვენიერ წიგნში ასახელებს მრავალ ფეხბურთელს, განიხილავს მათ თამაშს, მათ ტექნიკურობას, მოედნის ხედვას, ფიზიკურ მომზადებას, აქებს და ადიდებს და მოულოდნელად... „ეს ფეხბურთელი ხომ ასეთი ძალისაა, დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მას აკლია თამაშით სიხარული, ხალისი, ალტაცება ბურთით".

აი გასაღები მესხის დასახასიათებლად. მიშა ფეხბურთისთვის იყო გაჩენილი. ფეხბურთი იყო მისი სიცოცხლე, ის ბურთით ხარობდა და სხვასაც ახარებდა, მას ჰქონდა განუმეორებელი ინდივიდუალობა და უზომო სურვილი თამაშისა, მას უხაროდა თამაში, ამიტომ იყო რომ გაიძახოდა სტადიონი მის სახელს. მისი



მოულოდნელი თავდასხმა, თავბრუს ახვევდა მცველებს, როცა დაფეთებული მცველები ერთმანეთს აწყდებოდნენ ის მიმინოს მიაგავდა მწყერებს რომ დაერევა ალარ იცოდნენ ვინ საით გარბოდა. ფეხბურთის მოყოლა, შეუძლებელია, ის უნდა ნახო. საკუთარი თვალით იხილო. უნდა ნანახი გყავდეს ეს ჭაბუკი ბურთიანად მცველებში შეჭრილი, როგორ შეიძლება მისგან მოგვრილი ალტაცება და სიხარული გადმოსცეს შავ-თეთრმა ფირმა? თუმცა გურამ თიკანაძის ფოტოზე კარგად ჩანს მესხის შეტევის შედეგი! მოტყუებული, ამოყირავებული მცველი, მესხი კი ახალი მსხვერპლისაკენ მიიწევს!

ახლა, როცა დიდი დრო გასულა და შორიდან ვჭვრეტთ იმჟამინდელ ჩვენს ფეხბურთს, არაფერი გვაქვს სასაყვედურო, ჩვენც გვქონდა საკუთარი სახის ფეხბურთი. არავის მსგავსი, არამედ ქართული, შემტევი, ვაჟკაცური და ლამაზი, ულამაზესი ფეხბურთი, რომელიც უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა. ამ ლამაზი მომხიბლავი ფეხბურთისათვის ლომის წილი მიხეილ მესხს ეკუთვნის, იმიტომაა რომ ვერ ივიწყებენ მას.

ფეხბურთისათვის ყველა რასა კი არ გამოდგება. მეომარი რასაა საჭირო. ჩვენს წინაპრებს უყვარდათ სპორტი. „ვეფხისტყაოსანი" - ჩვენი უპირველესი წიგნი ხშირად შეგვახსენებს სპორტს. ავთანდილი რომ ტარიელს მოიკითხავს ეტყვიან, „ბურთს თამაშობსო" და ავთანდილი ნახავს ცხენზე ამხედრებულ ტარიელს ცხენბურთის მოთამაშეს! ამ თამაშობებით იმაგრებდნენ გულსა და მკლავს ჩვენი წინაპრები, ამიტომ იყვნენ ომში მამაცნი და ძლიერნი, მოედანზე კი მომხიბლავნი. იყვნენ ფეხბურთელები გოლების გამტანნი, მესხი იყო სიხარულის მომტანი.

საუბედუროდ, მიშას იმ დროს მოუწია თამაშმა, როდესაც ზენიტს მიაღწია რუსულმა შოვინიზმი. როცა დასჭირდებოდათ, რუსი ფეხბურთელი მესხიო სწერდნენ, ხოლო როცა მსოფლიო ფეხბურთელებში საუკეთესოდ დაასახელეს და ლონდონში მიიწვიეს, მესხი ინგლისში არ გაუშვეს, ახლაც უკვირს ილო დათუნაშვილს - ჰუსეინოვი წაიყვანეს და მესხი დატოვესო!

მიშამ განიცადა ეს დევნა, მაგრამ არ შემდრკალა, არ დაშინებულა. დღეს ყველამ ვიცით, მაგრამ მაშინ კაციშვილს არ შეუტყვია, როგორ შეიფარა და მალავდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას. მიშას არ აინტერესებდა, ვინ რა პარტიას ეკუთვნოდა, მას ერთი პარტია სწამდა, ეს იყო საქართველო. ის იყო უშიშარი, საქართველოს სადიდებლად ყოველთვის გამზადებული.

ბრაზილიაში ფეხბურთის ფანების მოთხოვნით დადგეს ზიკოს ძეგლი. ეს ტრადიცია უხსოვარ დროიდან საბერძნეთიდან მოდის. ოლიმპიადებში გამარჯვებულებს დაფნის გვირგვინით უმკობდნენ შუბლს და ძეგლებსაც უდგამდნენ.

ჩვენმა სახელოვანმა მოქანდაკემ, გოგა შხვაცაბაიამ, რომელის „მშვიდობის ჩირაღდანი" ქანდაკების სამშობლოში, საბერძნეთში დადგეს, დიდი ხანი იმუშავა მესხის ძეგლზე, ქართველ ფანებს ამაზე დიდებულ სიხარულს რა მიანიჭებდა? მაგრამ რატომღაც, ადრე მიაჩუმათდა ეს ამბავი. მოქანდაკის საქმეში არავინ უნდა ჩაერიოს, მაგრამ მიშას ძეგლი თუ მართლა დაიდგა, სასურველია, მესხთან ერთად ნუ დავკარგავთ მის გასაოცარ ფინტს, ბრინჯაოში ეს ცხადად უნდა მოჩანდეს.

**ფეხბურთისათვის ყველა რასა კი არ გამოდგება. მეომარი რასაა საჭირო. ჩვენს წინაპრებს უყვარდათ სპორტი. „ვეფხისტყაოსანი" - ჩვენი უპირველესი წიგნი ხშირად შეგვახსენებს სპორტს.**

მიხეილ მესხი გამოგვიგზავნა ღმერთმა, რათა ჩვენი მოღლილი სული გაეღვიძებინა მოსაწყენ და დათრგუნვილ ცხოვრებაში. ერთადერთი სიხარული იყო არა ის, ხუთწლედები რომ სრულდებოდა და გარდამავალ დროშას მიიღებდნენ, არამედ ის წამი, როცა მიშა მიიღებდა ბურთს, აი ახლაც მესმის შორეული ძახილის მკრთალი ექო. ის თანდათან ძლიერდება და ჩვენს გულებში მძლავრად გაისმის მქუხარება მესხი! მესხი! მესხი!

**ელგუჯა ბერძენიშვილი**
**საქართველოს დამსახურებული მხატვარი**

რეინჯერსი




დაფ ენდ ფელპსის წარმომადგენელი რეინჯერსში პოლ კლარკი

# არნახული ქაოსი აიბროქსზე

14 თებერვალს ლონდონურმა კომპანია "დაფ ენდ ფელპსმა" "რეინჯერსის" ადმინისტრირება გადაიბარა, თუმცა თვეზე მეტი ხნის შემდეგ ირკვევა, რომ "ტექნიკური" მიზეზით გარიგება კლუბის პრეზიდენტ **კრეიგ უაიტსა** და ლონდონელებს შორის შეუმდგარად უნდა ჩაითვალოს. რა გამოდის? რა და არ გადაუბარებია, უფრო სწორად, ის უფლებამოსილებებს არაკანონიერად ახორციელებდა. "ტექნიკური" მიზეზი კი მეტისმეტად მარტივია: "დაფ ენდ ფელპსს" დაავიწყდა, კლუბში შესვლის შესახებ ფინანსური მართვის სააგენტოსთვის ეცნობებინა. რას ნიშნავს ეს იურიდიულად, უკვე გაცნობეთ. *"წარმოდგენა არ მაქვს, რანაირად შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. რომ მკითხოთ, მე თქვენ კლუბის ამჟამინდელ იურიდიულ სტატუსსაც კი ვერ მოგახსენებთ. ვვარაუდობ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მიგვიჩნიოთ ადმინისტრატორებად"*, – განაცხადა "დაფ ენდ ფელპსის" წარმომადგენელმა **პოლ კლარკმა**.

ამ საკითხს ნათელი მხოლოდ მას მერე მოეფინება, რაც ორშაბათს 18 მარტს სასამართლოს სხდომა გაიმართება. იქამდე კი ისმის ლოგიკური შეკითხვა: შოტლანდიის საფეხბურთო ლიგამ ადმინისტრაციის შესვლის შემდეგ კლუბს 10 ქულა დააკლო (ეს წესი იმპერატიულადაა განსაზღვრული ლიგის წესდებაში) და რა რეაქცია უნდა ჰქონდეს მას მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე? თუკი სკურპულოზურად მივუდგებით, გამოდის, რომ "რეინჯერსს" ორშაბათის სხდომამდე ქულები უნდა დაუბრუნოს და შემდეგ ხელახლა დააკლოს. აი, რა უთხრა "სკოტიშ სანს" შოტლანდიის საფეხბურთო ლიგის ოფიციალურმა წარმომადგენელმა: *"როგორც ჩანს, ეს წმინდა ტექნიკური საკითხია. ვვარაუდობთ, რომ ეჭვქვეშ ვერავინ დააყენებს საკითხს, რომ "რეინჯერსის" წინააღმდეგ გაკოტრების საქმის წარმოება მიმდინარეობს. ასე რომ, კლუბისთვის დადებული სანქცია ძალაში დარჩება".*

*"იდეა, რომ "რეინჯერსს" ქულები დაუბრუნონ და მერე ისევ წაართვან, სრული აბსურდია. ეს ინგლისში რომ მომხდარიყო, საკითხი 5 წუთში გადაწყდებოდა, მაგრამ შოტლანდიაში მსგავსი პრობლემის მოგვარება სასამართლოს პრეროგატივაა. გარწმუნებთ, ეს მხოლოდ პროცედურული საკითხია და არავითარი გართულება ამას არ მოჰყვება. ორშაბათს კლუბში შიდა ადმინისტრირება იურიდიულად გამართულად აღდგება,"* – აცხადებს პოლ კლარკი.

ბრაზილიის ნაკრები

# მზადება საოლიმპიადოდ

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მანო მენეზემა** 52 ფეხბურთელის ვინაობა გაამჟღავნა, რომელთაც ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსი აქვთ. 8 ივნისს სია 35-მდე შეთხელდება, 18-კაციანი განაცხადი კი ივლისის პირველ რიცხვებში გაირკევა. უშუალოდ საფეხბურთო ტურნირი 25 ივლისს დაიწყება და 11 აგვისტოს დასრულდება. ახლა კი ბრაზილიის გაფართოებულ შემადგენლობას მთლიანად გაგაცნობთ.

**მეკარეები:** დიეგო ალვეში (ვალენსია), გაბრიელი (კრუზეირო), ჯეფერსონი (ბოტაფოგო), ჟულიო სეზარი (ინტერი), ნეტო (ფიორენტინა), რაფაელ კაბრალი (სანტოსი), რონან რიბეირო (ატლეტიკო მინეირო)

**მცველები:** ადრიანო, დანიელ ალვეში (ორივე ბარსელონა), დანილო (პორტუ), ფაგნერი, დედე (ორივე ვასკუ და გამა), გაბრიელ სილვა (ნოვარა), გალარდო (ფლამენგო), მარსელო (რეალი), რაფაელ და სილვა (მანჩესტერ იუნაიტედი), ბრუნო უვინი (ტოტენჰემი), დავიდ ლუიზი (ჩელსი), ჟუანი (ინტერი), ლუკას მენდესი (კურიტიბა), ლუიზაო (ბენფიკა), მარკინიოსი (კორინთიანსი), რომარიო (ინტერნასიონალი), ტიაგო სილვა (მილანი)

**ნახევარმცველები:** ალანი, რომული (ორივე ვასკუ და გამა), კაზიმირო, ლუკასი (ორივე სან პაულუ), ელიასი (სპორტინგი), ფერნანდინიო, დუგლას კოსტა (ორივე შახტარი), დუდუ (დინამო კიევი), ჟულიანო (დნიპრო), ფერნანდო (გრემიო), სანდრო (ტოტენჰემი), ბერნარდი (ატლეტიკო მინეირო), ელიკესონი (ბოტაფოგო), განსო (სანტოსი), ერნანესი (ლაციო), ოსკარი (ინტერნასიონალი), ფილიპე კოუტინიო (ესპანიოლი)

**თავდამსხმელები:** ალეშანდრე პატო (მილანი), ანდრე (ატლეტიკო მინეირო), ენრიკე (გრანადა), ჰალკი (პორტუ), ჟონასი (ვალენსია), ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), ნეიმარი (სანტოსი), რონალდინიო (ფლამენგო), ველინგტონი (ფლუმინენსე), ვილიან ჟოზე (სან პაულუ)

**ლევან ბიბილაშვილი**



მანო მენეზესი შეგირდებთან ერთად

# უცხოური ფეხბურთი

## ვარსკვლავი. პეტრ ჩეხი



პეტრ ჩეხს იმედი აქვს, რომ 6-7 სეზონი მაინც ითამაშებს უმაღლეს დონეზე

# მეკარე, როგორც უნივერსალი

**"ჩელსის" საკლუბო ჟურნალის ბოლო ნომერმა პეტრ ჩეხთან ინტერვიუ შემოგვთავაზა, სადაც 29 წლის ვარსკვლავი ლაპარაკობს თანამედროვე საწვრთნელ მეთოდიკასა და სამეკარეო კარიერის თავისებურებებზე.**

- უმაღლეს დონეზე უკვე 11 წელია ვთამაშობ. 8 წელიწადია მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვარ, ორი სეზონი საფრანგეთში ვითამაშე, სულ ადრე კი პრაღის "სპარტაში" 19 წლისა ვიყავი. თუკი ცხოვრებაში მოგეცა შანსი, რომ უმაღლეს დონეზე ითამაშო, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა გაილო, რათა მწვერვალზე მაქსიმალურად დიდხანს დარჩე. იმედი მაქვს, მე წინ ჯერ კიდევ მაქვს 6-7 წელიწადი.

მეკარე ასეც და ისეც, მინდვრის მოთამაშეთა მსგავსად ათლეტია, თუმცა ის არაფრით განსხვავდება, მაგალითად, შუბის მტყორცნელისგან. მასავით ძლიერი უნდა იყო, დინამიკური, სწრაფი და ფეთქებადიც. მათ მსგავსად, როცა ბურთს წინ ისვრი შენი მიზანი წინასგან არასოდეს განსხვავდება. უბრალოდ, ყოველ ჯერზე უნდა მოახერხო, რომ სულ უფრო უკეთ ისროლო, იმავეს თქმა შეიძლება მეკარეზეც.

პრინციპში, თუკი მოვინდომებთ, ყოველთვის შეიძლება პარალელების გავლება მეკარის სპეციფიკასა და სპორტის სხვა სახეობებს შორისაც. მე მქონდა ბედნიერება, შემესწავლა, თუ როგორ მუშაობენ ისინი. მაგალითად რაგბი თავისი ბუნებით უფრო ძალისმიერი სახეობაა, მაგრამ იქაც ძალიან მნიშვნელოვანია ორთაბრძოლები და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება. როცა სპორტსმენებს უყურებ, ყოველთვის შეიძლება რაიმე სასარგებლოს სწავლა მათი მზადების სპეციფიკიდან, იოლად ალმოაჩენ იმ თავისებურებას, რომელიც იქამდე ფეხბურთში არასოდეს დაგიფიქსირებია და რომლის კონტექსტზეც არასოდეს დაფიქრებულხარ.

მეკარისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კონკრეტულად იცოდეს, რისთვის არის ის მზად. ერჩის თუ არა ძალა ძველებურად, ისეთივე სწრაფი რეაქცია აქვს თუ არა, როგორიც ადრე, შეუძლია თუ არა უწინდებურად კონცენტრაცია, თვალის ერთი გადავლებით აღიქვამს თუ არა სიტუაციას. უპირველესად სწორედ ამ გარემოებებს უნდა მიაქციო ყურადღება. ზურგს გიმაგრებს შედეგები, რომლებთანაც პარალელის გავლება შეგიძლია. სწორედ ამის მერე ხვდები, ძველებურად ეფექტური ხარ თუ თამაშს მოუკელი.

მინდვრის მოთამაშის შემთხვევაში ყველაფერი სხვანაირადაა. წარმოიდგინეთ, თუკი ასაკთან ერთად ძალასა და სისწრაფეს დაკარგავთ, თამაშის გაუმჯობესების შანსი სხვა ღირსებების ხარზე ჯერ კიდევ შეგიძლიათ. მაგალითად, მოედნის ხედვა, გადაწყვეტილებების მიღების სიჩქარე და ასე შემდეგ. მეკარისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ რეაქცია შეინარჩუნოს და 39 წლისაც ისეთივე დონეზე იყოს მზად, როგორც ახალგაზრდულ ასაკში. აქ მხოლოდ სისწრაფე არაფერს წყვეტს. მე ვალდებული ვარ, ის სტანდარტები დავაკმაყოფილო, რაც ჩემს თავს თავად დავუწესე წლების წინ. რა თქმა უნდა, თუკი რაღაც ახალი მოთხოვნა გაჩნდა, მასაც გავითვალისწინებ.

## მანჩესტერ იუნაიტედი

# იუნაიტედმა გადაწყვიტა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა **ალექს ფერგიუსონმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ ბულგარელი თავდამსხმელი **დიმიტარ ბერბატოვი** "ოლდ ტრეფორდს" სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. 2008 წელს "ეშმაკებს" ფეხბურთელის გადაბირება 30,75 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. ბულგარელმა პირველ სეზონში 14 გოლი გაიტანა, მეორეში – 12, გასულ წელს კი მის ანგარიშზე პრემიერლიგაში 22 ბურთი იყო, რისი წყალობითაც ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. თუმცა იმავე სეზონში მისი მანჩესტერული კარიერა ეჭვქვეშ დადგა, მიზეზი კი ის გახდა, რომ მწვრთნელი მას გადამწყვეტ შეხვედრებში არ ათამაშებდა. ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბარსელონასთან" სულაც განაცხადს მიღმა აღმოჩნდა. გასული წლის დეკემბერში ბრიტანული პრესა ხან იმას წერდა, რომ კლუბი ბერბატოვთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას აპირებდა, ხან კი მის გაყიდვას წინასწარმეტყველებდა. თუმცა არც ერთი ვარაუდი არ გამართლდა. "იუნაიტედმა" ფეხბურთელი შეინარჩუნა. ზემოთ მოყვანილი განცხადებით კი ჭორებს საბოლოოდ დაესვა წერტილი. დიმიტარი კლუბს ალბათ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს, რადგან 30 ივნისს მის კონტრაქტს ვადა გასდის. *"ბერბატოვი 31 წლისაა და რეგულარული სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. მე კი მისთვის ამ გარანტიის მიცემა ძალიან გამიჭირდება. ასე რომ, პრაქტიკის ძებნა მას სხვა კლუბში მოუწევს"*,– განაცხადა ფერგიუსონმა BBC-ის ეთერში. აქ ერთი პირობაა: "იუნაიტედს" შეუძლია ისარგებლოს კონტრაქტით გათვალისწინებული უფლებით, ხელშეკრულება ავტომატურად გაახანგრძლივოს ერთი წლით და ფეხბურთელი ამის შემდეგ დააყენოს ტრანსფერზე, რათა ამ გზით გარკვეული თანხა მაინც აილოს. ვნახოთ, გამოიყენებენ თუ არა ამ უფლებას მანკუნიანელები.



დიმიტარ ბერბატოვი იუნაიტედიდან მიდის

აქვე გაცნობებთ, რომ "წითელი ეშმაკების" ორმა ფეხბურთელმა გამოთქვა ზაფხულზე ლონდონის ოლიმპიადაზე თამაშის სურვილი. პირველად მსგავსი განცხადება **რაფაელ და სილვამ** გააკეთა, ახლა კი თანაგუნდელს **ტომ კლევერლიმ** მიჰბაძა. უკანასკნელს იმის პერსპექტივაც იზიდავს, რომ **სტიუარტ პირსის** გუნდში **დევიდ ბექჰემის** გვერდით თამაში მოუწევს. *"ოლიმპიადაზე თამაში და საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა ის მიზანია, რომელზეც ყველა ფეხბურთელი უნდა ოცნებობდეს. კარიერის განმავლობაში განსხვავებული შეგრძნებების განცდა ალბათ მშვენიერი იქნება. ოლიმპიადა კი ამისთვის შესანიშნავი წინა პირობაა. ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელებისთვის ზაფხული დიდი გამოცდა იქნება. ჩვენ წინ ჯერ ევროპის ჩემპიონატი გველის, შემდეგ კი ლონდონის თამაშები. ძალიან ამაყი ვიქნები, თუკი ორივე ტურნირში თამაშის შანსი მომეცემა. ძალიან პატარა ვიყავი, როცა დევიდ ბექჰემის თამაშებს ვუყურებდი ხოლმე. მასთან ერთად მოედანზე გასვლა შესანიშნავი იქნება"*, – აცხადებს კლევერლი.

## მანჩესტერ სიტი

# ის, რაც სიტის არ ეპატიება

**ნაიჯელ დე იონგი** დარწმუნებულია, რომ თუკი "მანჩესტერ სიტი" სეზონს ტიტულების გარეშე ჩაამთავრებს, მთელი გუნდისთვის ეს უპატიებელი შედეგი იქნება. 27 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველის თქმით, მის იმედგაცრუებას საზღვარი არ ექნება, თუკი "ქალაქელები" "იუნაიტედთან" საჩემპიონო რბოლას დათმობენ. სწორედ ამიტომ, "სიტიმ" ერთ ფრონტზე მაინც უნდა იბრძოლოს ბოლომდე - ევროპის ლიგაში ("სპორტინგთან" განმეორებითი შეხვედრა წუხელ ჩვენი დროით 00:05 სთ-ზე უნდა დაწყებულიყო) ან პრემიერლიგაში: *"ჩვენი უმთავრესი მიზანი ტიტულების მოგებაა. უმთავრესი, რა თქმა უნდა, შიდა პირველობაა, თუმცა ევროპის ლიგაზე გამარჯვებისთვისაც უნდა ვიბრძოლოთ. კარგია, რომ ჯერ კიდევ გვაქვს ორი ტურნირის მოგების შანსი. მესმის, რომ ჩვენგან ეს დიდ ძალებს მოითხოვს, მაგრამ სათანადო კვალიფიკაციის ფეხბურთელები ნამდვილად გვყავს. ამიერიდან ყოველი მატჩი ფინალივით იქნება. სეზონს წარმატებულად ჩავთვლით, თუკი ერთს მაინც მოვიგებთ. შარშანდელიდან მოყოლებული, როცა ასოციაციის თასი მოვიგეთ, ყოველ ჩვენგანს გაუჩნდა მეტი ამბიცია და მშრალზე დარჩენა გულს გვატკენს. მეტიც, მიუხედავად ლიდერების ტრავმებისა, ამ შემთხვევაში თავს ვერაფრით გავიმართლებთ, რადგან კლუბმა მსოფლიო კლასის მოთამაშების შესაძენად კოლოსალური თანხები დახარჯა. სეზონის დაწყების წინ ყოველი ჩვენგანი იმაზე ოცნებობდა, რომ ყველგან გამარჯვებისთვის გვებრძოლა, სადაც კი გამოვდიოდით. სამწუხაროდ, საამისოდ ძალები არ გვეყო"*.



ნაიჯელ დე იონგი

## ამბები



### ჩელსიში დიდი ხნით

**დიდიე დროგბამ** უარყო, თითქოს მას "ჩელსიდან" სხვაგან წასვლა ჰქონდეს გადაწყვეტილი. მეტიც, ივუარელი ვარსკვლავის თქმით, მას მაქსიმალურად დიდხანს სურს "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა. *"რა თქმა უნდა ყველაფერი ჩემზე დამოკიდებული არ არის, მაგრამ პირადად მე დარჩენა ძალიან მინდა, რადგან აქ ყველაფერი მაწყობს. განსაკუთრებულად მიმაღლებს განწყობილებას ისეთი ბრწყინვალე გამარჯვებები, როგორიც "ნაპოლისთან" მოვიპოვეთ,"* – განუცხადა "კანალ პლუსს" ფეხბურთელმა.

### სიტიმ მოლაპარაკებები გადადო

"მანჩესტერ სიტის" ყატარელ მფლობელებს **რობერტო მანჩინის** ახალი კონტრაქტის პროექტი უკვე შედგენილი აქვთ, თუმცა ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო მოლაპარაკების პროცესის დაწყება სეზონის დასრულებამდე გადადეს. იტალიელმა სპეციალისტმა ბოსებს მაგიდასთან დასხდომა და დალაპარაკება ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში სთხოვა, მაგრამ მაშინ მან პირდაპირი უარი მიიღო. მანჩინის მოქმედ კონტარქტს ვადა 2013 წლის ივნისში გასდის.

### როსიცკის უარი აღმოსავლელებს



ტომაშ როსიცკი

**ორიოდე** დღის წინ გაცნობეთ, რომ "არსენალის" 31 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ტომაშ როსიცკიმ** კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა. ფეხბურთელის თქმით, იქამდე, ვიდრე ის საბოლოოდ გადაწყვეტდა ლონდონში დარჩენას, რუსეთიდან და ჩინეთიდან სარფიან შემოთავაზებებზე უარის თქმა მოუხდა. როგორც ჩანს, ხმები ჩეხი ვარსკვლავის აბარგების შესახებ საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. *"იანვარში "არსენალს" საბოლოოდ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, გამიფორმებდა თუ არა ახალ კონტრაქტს. რაკი მოქმედ ხელშეკრულებაში 6 თვეზე ნაკლები მრჩებოდა, უფლება მქონდა, მოლაპარაკება ვისთანაც მსურდა იმასთან მენარმოებინა. აღმოსავლური ქვეყნებიდან საინტერესო შემოთავაზებები მივიღე. ლაპარაკი იყო ძალიან მაღალ ანაზღაურებაზე და ერთი პერიოდი ამ თემაზე სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ მერე მივხვდი, რაც მინდოდა და "არსენალში" დავრჩი"*, – აცხადებს როსიცკი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● მილანური ამბები

# ალეგრის გასაჭირი და სიფრთხილე

## ვან ბომელი კი გალიანისთან შესახვედრად ემზადება



მარკ ვან ბომელი ჰოლანდიაში დაბრუნებას ჯერ არ აპირებს



რობინიოს დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდება


მასიმილიანო ალეგრის აზრით, სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდება

### ვან ბომელი ახალი კონტრაქტის მოლოდინში

ბევრისთვის მოულოდნელად, **მარკ ვან ბომელი** "მილანს" შესანიშნავად შეენყო და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. დიახ, არ ვაჭარბებთ, რადგან ჰოლანდიელმა ფაქტობრივად **ანდრეა პირლოს** ფუნქციები იტვირთა და ეს საქმე შესანიშნავად გამოსდის. მართალია, პირლოს დარი მოედნის ხედვა არ აქვს და პასებსაც ისეთს ვერ აკეთებს, მაგრამ ყველაფერ ამის გარეშეც ახერხებს, რომ გუნდის თამაშს დირიჟორობა გაუწიოს. თუ დააკვირდებით, მთელი შეხვედრის განმავლობაში კარნახობს თანაგუნდელებს, ვინ სად უნდა იდგეს და რა მომენტში, რა გააკეთოს – მოკლედ, ვან ბომელი "როსონერიში" ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში და ამის შესახებ მან თავადაც არაერთხელ განაცხადა. სწორედ ჰონადიელ შუახაზელს გადავცეთ სიტყვა, რომელიც "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს ესაუბრა:

*"დიდი სურვილი მაქვს, რომ კარიერა ჩემ საყვარელ გუნდში, პსვ-ში დავასრულო, მაგრამ ჯერჯერობით ჰოლანდიაში დაბრუნებაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. მართალია, უკვე 34 წლის ვარ, მაგრამ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ვფიქრობ, რომ კიდევ სამი-ოთხი წელი შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. შესაბამისად, ძალიან მინდა, რომ "მილანთან" ხელშეკრულება გავახანგრძლივო. "როსონერიში" საოცრად კარგად ვარ და სწორედ ამის დამსახურებაა, რომ ვარჯიშებზეც კი უდიდესი ენთუზიაზმით მივდივარ. ჩემს ხელშეკრულებას ვადა ივნისში გადის და უახლოეს დღეებში ადრიანო გალიანისთან ვაპირებ დალაპარაკებას – მსურს გავიგო, რას მიპირებენ და დიდი იმედი მაქვს, რომ კონტრაქტის მინიმუმ ერთი წლით გახანგრძლივებას შემომთავაზებს. მოკლედ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა".*

### რობინიო დაშავდა

მიმდინარე სეზონში, "მილანის" მთავარი პრობლემა ტრავმირებულ ფეხბურთელთა სიმრავლეა და ამ პრობლემას არა და არ დაადგა საშველი. "გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუნდის ბოლო ვარჯიშზე **რობინიომ** ტრავმა მიიღო და წვრთნის ჩამთავრება ვერ მოახერხა. პირველადი დასკვნით ტრავმა მსუბუქი უნდა იყოს, მაგრამ გადაჭრით რაიმეს მტკიცება ჯერ მაინც რთულია. ყველაფერი დეტალური გამოკვლევის შემდეგ გაირკვევა, ერთი კი აქედანვე ცხადია, ბრაზილიელი ფორვარდი სერია A-ს მომდევნო ტურის პაექრობას გამოტოვებს, რომელიც "მილანმა" "პარმასთან" უნდა გამართოს "ენიო ტარდინიზე".

**მასიმილიანო ალეგრი** საგონებელშია და თუ არ გჯერათ, მოუსმინეთ მას: *"შეტევის ხაზში სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით, რადგან თავდამსხმელთა აბსოლუტური უმეტესობა ტრავმირებული გვყავს. ანტონიო კასანოს შესახებ ყველაფერი კარგად ვიცით, მაქსი ლოპესი და ალეშანდრე პატო ისევ ლაზარეთში არიან, მათ რიცხვს კი რობინიოც შეუერთდა - ანუ გამოდის, რომ "პარმასთან" პაექრობაში ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და სტეფან ელ შაარავის ტანდემით უნდა გავიდეთ ფონს. შესაძლოა, ერთი ფორვარდითაც ვითამაშოთ, ამას მატჩის წინადღეს გადავწყვეტ".*

### ალეგრი: სკუდეტომდე შორია

მას შემდეგ, რაც სერია A-ს სატურნირო ცხრილში "მილანსა" და "იუვენტუსს" შორის სხვაობა ოთხ ქულამდე გაიზარდა, ბევრი ალაპარაკდა იმის შესახებ, რომ ლომბარდიულმა გრანდმა ფაქტობრივად გაინაღდა სკუდეტო. ჩემპიონატის დასრულებამდე მთელი თერთმეტი ტურია დარჩენილი და ასეთ ხმამაღალ განცხადებას რთულია დაეთანხმო, თუმცა "როსონერიმ" რომ დიდი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ, ეს ცხადზე ცხადია. აქ არა იმდენად ქულებზე, არამედ კალენდარზეა ლაპარაკი, რომელიც "იუვენტუს" ურთულეს ბატალიებს ჰპირდება, "მილანს" კი შედარებით იოლსა და უეკლო გზას. მასიმილიანო ალეგრის კი მიაჩნია, რომ ასეთი თამამი პროგნოზების სრულიად უადგილოა – ბოლოს, კიდევ ერთხელ გადავცეთ სიტყვა "მილანის" თავკაცს:

*"ჩემპიონატის დასრულებამდე თერთმეტი ტურია დარჩენილი, უახლოეს მდევარს კი მხოლოდ ოთხი ქულით ვუსწრებთ, რომელ სკუდეტოზეა ლაპარაკი? – ჩვენ კონკრეტულ მატჩებზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება და დანარჩენი უკვე მაისში გამოჩნდება. კალენდარზე ლაპარაკიც აბსოლუტური სისულელეა, რადგან სერია A-ში იოლად ქულებს არავინ თმობს. მთავარი ბრძოლები წინ გველის და რაც დრო გავა, თითოეულ ქულას კიდევ უფრო მეტი ფასი დაედება. ჩემი პირადი აზრით, სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო ტურებამდე გაგრძელდება".*

**ლაშა ნიკლაური**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტური

| დღეს | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი–შტუტგარტი | 23:30 |

**ტრავმა:** იბერტსბერგერი, იაისლე, ლაკიჩი – ტასკი, აუდელი, ბა, ტრაორე, ოკაზაკი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 25 | 17 | 5 | 3 | 52-16 | 56 |
| 2. ბაიერნი | 25 | 16 | 3 | 6 | 58-17 | 51 |
| 3. ბორუსია (მ) | 25 | 14 | 6 | 5 | 37-15 | 48 |
| 4. შალკე | 25 | 15 | 2 | 8 | 54-33 | 47 |
| 5. ლევერკუზენი | 25 | 11 | 7 | 7 | 38-32 | 40 |
| 6. ვერდერი | 25 | 11 | 6 | 8 | 40-38 | 39 |
| 7. ჰანოვერი | 25 | 8 | 11 | 6 | 30-35 | 35 |
| ***8. შტუტგარტი*** | ***25*** | ***9*** | ***6*** | ***10*** | ***41-33*** | ***33*** |
| 9. ნიურნბერგი | 25 | 9 | 4 | 12 | 24-34 | 31 |
| 10. ვოლფსბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 11. მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 37-39 | 30 |
| ***12. ჰოფენჰაიმი*** | ***25*** | ***7*** | ***9*** | ***9*** | ***28-35*** | ***30*** |
| 13. კიოლნი | 25 | 8 | 4 | 13 | 32-46 | 28 |
| 14. ჰამბურგი | 25 | 6 | 9 | 10 | 29-45 | 27 |
| 15. აუგსბურგი | 25 | 4 | 11 | 10 | 25-39 | 23 |
| 16. ჰერტა | 25 | 5 | 8 | 12 | 26-41 | 23 |
| 17. ფრაიბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 30-52 | 22 |
| 18. კაიზერსლ. | 25 | 3 | 11 | 11 | 16-32 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 – გომესი (ბაიერნი); 19 – ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი); 13 – როისი (ბორუსია /მ/).

**გოტფრიდ ლენცი**

● ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები



ჰუნტელაარმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა

**ბილბაო–მანჩესტერ იუნ. 2:1 (3:2)**

**ბილბაო (4-1-2-2-1):** ირაისოსი – ირაოლა, ხავი მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე – იტურასპე – ანდერი (82. ი. პერესი), დე მარკოსი – სუსაეტა, მუნიაინი (88. სან ხოსე) – ლორენტე (40. ტოკერო).

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-1-2-2-1):** დე ხეა – რაფაელი, ევანსი, რ. ფერდინანდი (63. სმოლინგი), ევრა – ქერიკი (64. პოგბა) – კლევერლი, პარკი – იანგი, გიგზი (68. უელბეკი) – რუნი.

**გოლები:** 1:0 ლორენტე (23), 2:0 დე მარკოსი (65), 2:1 რუნი (80)

**გაფრთხილება:** სუსაეტა – რაფაელი, პოგბა

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 5-8; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 14(5)-4(4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 40 000

**ჰანოვერი–სტანდარდი 4:0 (2:2)**

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, ეგიმანი, პანდერი (46. კ. შულცი) – შმიდებახი (85. ლალა), პინტუ – შტინდლი, შლაუდრაფი, რაუში – აბდელაუ (70. ია კონანი).

**სტანდარდი (4-2-2-2):** ბოლატი – კიმანი (24. ოპარე), კანუ, ფელიპე, პოკონიოლი – ბუიენსი, ვაინკუერი – გაპკე, ვან დამი (71. სეიასი) – ჩიტე, კირიაკი (82. ბაჩუაი).

**გოლები:** 1:0 აბდელაუ (4), 2:0 კანუ (21-საკ. კარში), 3:0 კანუ (73-საკ. კარში), 4:0 პინტუ (92)

**გაძევება:** გაპკე (58. სტანდარდი)

**გაფრთხილება:** ჰაგი, კ. შულცი – ოპარე, ვან დამი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7(3)-9(1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 43 000

**ეინდჰოვენი–ვალენსია 1:1 (2:4)**

**ეინდჰოვენი (4-2-1-2-1):** ტიტონი – მანოლევი, ბოუმა (75. ბოუმა), მარსელო, პიეტერსი – ლაბიადი, სტროტმანი – ტოივონენი – ვინალდუმი, მერტენსი (80. ლენსი) – მატავჟი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში – ბრუნო, რამი, დეალბერტი, მატიო – ალბელდა (75. ტოპალი), ტინო კოშტა – ფეგული, ხონასი (85. პარეხო), ხორდი ალბა – ადურისი (80. პიატი).

**გოლები:** 0:1 ფეგული (47), 1:1 ტოივონენი (64)

**გაძევება:** რამი (89. ვალენსია)

**გაფრთხილება:** მანოლევი, ბოუმა, ტოივონენი – ბრუნო, ხორდი ალბა, ადურისი, მატიო, დიეგო ალვეში

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15(6)-8(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 29 500

**უდინეზე–ალკმაარი 2:1 (0:2)**

**უდინეზე (4-2-2-2):** ჰანდანოვიჩი – პაციენცა (78. აბდი), ბენატია (11. პასკუალე), დომიცი, ეკსტრანდი – პინცი, ასამოა – ფერონეტი (66. ფაბრინი), არმერო – ფლორო ფლორესი, დი ნატალე.

**ალკმაარი (4-1-2-2-1):** ალვარადო – მარსელისი, მოისანდერი, ვიერგევერი, ს. პოულსენი – ფალკენბურგი (83. ორტისი) – მაჰერი, რ. ელმი – ბეერენსი (11. კლავანი), ჰოლმანი (77. გუდმუნდსონი) – ალტიდორი.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (3-პენ), 2:0 დი ნატალე (15), 2:1 ფალკენბურგი (31)

**გაძევება:** ვიერგევერი (2. ალკმაარი)

**გაფრთხილება:** პასკუალე, პაციენცა, პინცი - ალტიდორი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 10-0; **კარში დარტყმა:** 16(5)-7(5); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 9 500

**გოტფრიდ ლენცი**

**ბეშიქთაში–ატლეტიკო 0:3 (1:3)**

**ბეშიქთაში (4-1-2-3):** გონენი - დაგი (46. ჰოლოშკო), შივოკი, კორკმაზი, კოიბაში - თორამანი (61. აურელიო) - ფერნანდეში, კავლაკი - ედუ (59. პეკტემეკი), ალმეიდა, სიმაო.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - გაბი (85. დომინგესი), სუარესი - კოკე (72. სალვიო), ადრიან ლოპესი, არდა თურანი (68. ასუნსაო) - ფალკაო.

**გოლები:** 0:1 ადრიან ლოპესი (26), 0:2 ფალკაო (83), 0:3 სალვიო (93)

**გაფრთხილება:** ალმეიდა, კორკმაზი, შივოკი, კავლაკი - არდა თურანი, გაბი, ხუანფრანი

**კუთხური:** 1-8; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 7-13 (3-6); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 23 000

**მან. სიტი–სპორტინგი 3:2 (0:1)**

**სიტი (4-2-3-1):** ჰარტი - რიჩარდსი, კ. ტურე, სავიჩი, კოლაროვი - პისარო( 55. ჯეკო), ი. ტურე - ჯონსონი (46. დე იონგი), სილვა (66. ნასრი), ბალოტელი - აგუერო.

**სპორტინგი (4-3-3):** პატრისიო - კარიკო, ჩანდაო, პოლგა, ინსუა - პერეირინია, ფერნანდესი (64. ნეტო), სხაარსი - იზმაილოვი, ვან ვოლფსვინკელი (68. კარილიო), კაპელი (64. ჟეფრენი).

**გოლები:** 0:1 ფერნანდესი (33), 0:2 ვან ვოლფსვინკელი (40), 1:2 აგუერო (60), 2:2 ბალოტელი (75-პენ), 3:2 აგუერო (82)

**გაფრთხილება:** ი. ტურე, კოლაროვი, სავიჩი, ბალოტელი - ფერნანდესი, კარიკო, პოლგა

**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 8-7 (3-3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 43 298

**ოლიმპიაკოსი–მეტალისტი 1:2 (1:0)**

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** მედიერი - ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მარკანო, ჰოლებასი - ორბაისი (87. დიოგო), მანიატისი (58. მოდესტო) - ფუსტერი, იბაგასა (44. მაკუნი), მირალიაში - ჯებური.

**მეტალისტი (4-2-3-1):** დისლიენკოვიჩი - ვილიაგრა, ტორსილიერი, გიე, პშენიჩნიხი - ტორესი, ქსავიერი - სოსა, ტაისონი, ბლანკო (93. ვალიაევი) - მარლოში (46. დევიჩი).

**გოლები:** 1:0 მარკანო (14), 1:1 ვილიაგრა (81), 1:2 ქსავიერი (86)

**გაფრთხილება:** ორბაისი, მოდესტო, პაპადოპულოსი - ვილიაგრა, ბლანკო, დევიჩი, სოსა

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 15-10 (8-7); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 30 000

**შალკე–ტვენტე 4:1 (0:1)**

**შალკე (4-3-1-2):** ჰილდებრანდი - უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - დრაქსლერი (90. ობასი), ჯონსი (88. მორიტცი), ჰოლტბი - რაული - ფარფანი (86. მარიკა), ჰუნტელაარი.

**ტვენტე (4-3-3):** მიჰაილოვი - ტიენდალი, დუგლასი, ბენგტსონი, როსალესი - ბრამა (76. პლეტი), იანსენი, ლეუგერსი (51. ფერი) - ბაირამი (58. ჯონი), დე იონგი, ჩადლი.

**გოლები:** 0:1 იანსენი (14), 1:1 ჰუნტელაარი (29), 2:1 ჰუნტელაარი (57-პენ), 3:1 ჯონსი (71), 4:1 ჰუნტელაარი (81)

**გაფრთხილება:** ფუხსი, ჰუნტელაარი, ჰოლტბი - როსალესი, ლეუგერსი, ტიენდალი, იანსენი, დე იონგი

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-9 (11-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 52 000

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ღირსება აქეთ, ღირსება იქით

## ძალამ აღმართი მოხნა, ინგლისი ლიგაში დარჩა




**ჩელსი–ნაპოლი 3:1 დ.დ. 4:1 (1:3)**

„ნაპოლის“ კაპიტანი **პაოლო კანავარო** ალბათ დიდხანს იდარდებს იმის გამო, რომ პირველ მატჩში „ჩელსიმ“ „სან პაოლოზე“ ის ერთადერთი, მაგრამ ორი მატჩის ჯამში უმნიშვნელოვანესი გოლი სწორედ მისი უნებლიე შეცდომით გაიტანა; იდარდებს ნეაპოლელთა მარჯვენაფლანგელი **კრისტიან მაჯოც**, რომელსაც პირველი მატჩის მინურულს ანგარიშის 4:1-მდე გაზრდა შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმის შემდეგ **ეშლი კოულმა** ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა...

ალბათ მიხვდით, რომ „ნაპოლი“ შეგვეცოდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგას თავაწეული ტოვებს – ნეაპოლელებმა იბრძოლეს როგორც შეეძლოთ, მაგრამ საბოლოო ჯამში არ ეყოთ გამოცდილება და არც გაუმართლათ. გადამწყვეტ მომენტში „ნაპოლის“ ძალიან დასჭირდა სათადანადო ფეხბურთელები სათადარიგოთა სკამიდან და თუკი „ჩელსის“ თავკაცმა **რობერტო დი მატეომ** გადაღლილი მოთამაშეები ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელებით ჩაანაცვლა, როგორებიც არიან **ტორესი, მალუდა** და **ბოსინგვა, ვალტერ მაძარის** ერთადერთი მეტ-ნაკლებად ხეირიანი ჯოკერი **გორან პანდევი** გახლდათ.

„ჩელსის“ გამარჯვება დამსახურებულია - ლონდონელებმა ინგლისური საკლუბო ფეხბურთის ღირსება გადაარჩინეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, ორრაუნდიან ბრძოლაში, ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და შემდეგ ეტაპზე გასვლა აქამდე 44-დან მხოლოდ 3 გუნდს ჰქონდა მოხერხებული - უკანასკნელად ეს „მონაკომ“ გააკეთა 2004 წელს (2:4, 3:1 „რეალთან“). ისიც ვთქვათ, რომ დი მატეოს ხელში „ჩელსიმ“ მესამე თამაშიც მოიგო.

**რეაქციები**

**რობერტო დი მატეო** („ჩელსის“ მწვრთნელი): *„ეს იყო ორი დიდი გუნდის დუელი, ჩვენ კი პირველი მატჩის შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ვიყავით და ვიცოდით, რომ მხოლოდ უდიდესი თავდადების შემთხვევაში გავიმარჯვებდით. მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა, განსაკუთრებით კი ვეტერანების უდიდეს მონდომებას გავუსვამ ხაზს. ყველამ მაქსიმუმი გაიღო: დავიდ ლუისი ბოლოს ველარ დარბოდა, ჯონ ტერის ყველაფერი სტკიოდა... ჩეხმა რამდენიმე სუპერსეივი გააკეთა... დროგბა, ტორესი – ყველამ ბოლომდე იბრძოლა! „ჩელსისთვის“ ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მეოთხედფინალში გავედით.“*

**ვალტერ მაძარი** („ნაპოლის“ მწვრთნელი): *„ახლა, რა თქმა უნდა, ყველანი შოკირებულები ვართ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ საერთო ჯამში ჩემმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად ითამაშა. ოდნავ მეტი გამოცდილება და მეოთხედფინალშიც გავიდოდით. „ჩელსი“ საკუთარ მოედანზე გოლს იშვიათად უშვებს და ჩვენ მაინც გავუტანეთ ერთი! თანაც, კიდევ არაერთი საგოლე მომენტიც გვქონდა. მაჯოს სახით, პირველ ტაიმში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა დავკარგეთ; ორი აზრი არ არსებობს: „ჩელსიმ“ მეოთხედფინალში გასვლა დაიმსახურა, მაგრამ ამას ჩვენც ვიმსახურებდით. ალბათ დაცვაში უფრო ყურადღებით და ფრთხილად ყოფნა გვმართებდა. ვფიქრობ, ნეაპოლს შეუძლია იამაყოს ამ გუნდით!“*

**TOP ფეხბურთელი**

**დიდიე დროგბა (ჩელსი)**

როგორც ჩანს, ვეტერანმა თავდამსხმელმა დი მატეოს ხელში თავდაჯერება დაიბრუნა, რაც იმის დამსახურებაცაა, რომ რობერტო ენდობა. **დროგბამ** თითქმის ყველა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, წინა ხაზზე ძალიან პროდუქტიული გახლდათ, ანგარიშიც გახსნა და დამატებით დროში **ივანოვიჩს** ბრწყინვალე საგოლე პასიც მისცა. როცა დასჭირდა, კოტ დ'ივუარელმა კიდეც იეშმაკა და დრო გაიყვანა. მოკლედ, თავისი გუნდის, „ჩელსის“ სასარგებლოდ ყველაფერი გააკეთა და „არისტოკრატების“ ამ წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ დიდიეა.

**FLOP ფეხბურთელი**

**სალვატორე არონიკა (ნაპოლი)**

ვეტერანი, 34 წლის მცველისთვის ეს ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ და მხოლოდ მერვე მატჩი გახლდათ და მიუხედავად უდიდესი მონდომებისა, **არონიკამ** თავისი საქმე ცუდად გააკეთა. ფიზიკურად გაცილებით ძლიერ დროგბასთან ყოველ მეორე ორთაბრძოლას აგებდა და 110-ე წუთისთვის, როცა შეცვალეს, აბსოლუტურად გამოფიტული, უკიდურესად დაღლილი იყო. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც „ნაპოლის“ სხვა მცველები, **კანავარო** და **კამპანიარო** იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

პირველ მატჩში „ჩელსის“ თავკაცი ჯერ კიდევ **ანდრე ვილაშ ბოაში** გახლდათ და მოსალოდნელიც იყო, რომ დი მატეო როგორც იმ მატჩისგან, ისე პრემიერლიგაში ჩატარებული უკანასკნელი შეხვედრისგან განსხვავებით, ბევრ რამეს შეცვლიდა: **კეჰილის, მეირელესის** (დისკვალიფიკაცია), **მიკელისა** და **კალუს** ნაცვლად მან **დავიდ ლუისი, ესიენი, სტარიჯი** და **მატა** ათამაშა. 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში რამირესი ამჯერად მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა.

მაძარიმ „კალიარისთან“ 6:3-ზე მოგებულ მატჩში დასვენებული ლიდერები, მაჯო და **კავანი** სასტარტო შემადგენლობაში **დოსენას** და პანდევის ნაცვლად დააბრუნა. ნეაპოლელებმა თამაში ნაცადი 3-4-2-1-ით და სხვა მხრივ იმავე შემადგენლობით დაიწყეს, მერე დროებით 4-4-2-ზე გადაეწყვნენ და ბოლოს ისევ 3-4-2-1-ს დაუბრუნდნენ.

**ანალიზი**

დროგბას სტარტზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა და მიუხედავად ამისა, პირველ წუთებში „ნაპოლი“ უფრო თავდაჯერებული ჩანდა. ცხადია, მაძარის შეგირდები კონტრშეტევებზე იკბინებოდნენ, თანაც, ისე მწარედ, რომ პირველ 20 წუთში მათაც შეეძლოთ დაწინაურება (დარტყმები მე-18 წუთისთვის: 7-2).

თავდაცვისას, „ნაპოლის“ ერთ-ერთი გარემარბი (უმეტესად მაჯო) უკან იხევდა და უმეტესად მეოთხე მცველის ფუნქციას ითავსებდა. საინტერესო ტაქტიკური ჩანაფიქრი ჰქონდა დი მატეოსაც: რამირესი ხშირად იწევდა ცენტრისკენ, რითაც ნეაპოლელთა უკანახაზელებს აბნევდა. თუმცა რამირესმა საქმე მაინც გარემარბის რანგში გააკეთა: დროგბამ ანგარიში სწორედ მისი ჩაწოდების შემდეგ გახსნა. ამ გოლმა „ნაპოლი“ ათწუთიან შოკში ჩააგდო. ლონდონელები დარწმუნდნენ, რომ **მორგან დე სანქტისის** კარისკენ მისასვლელი დერეფნები სწორედ ფლანგებიდან უნდა ეძებნათ და მაძარის გუნდი მედგრად დაწნეხეს.

გაუგებარია, რატომ ერთხელაც ვერ გამოიყენეს იტალიელებმა ივანოვიჩის უკან დატოვებული სიცარიელე, როცა ეს უკანასკნელი შეტევებში საკმაოდ აგრესიულად და უკანმოუხედავად ერთვებოდა. ვერც **ლავეციმ** და ვერც კავანიმ ამით რეალურად ვერ ისარგებლეს.

„ნაპოლიმ“ თავზე ხელაღებული ბრძოლა მეორე ტაიმის დასაწყისში, **ტერის** გოლის შემდეგ გააჩაღა და შესაბამისად, **ინლერის** გოლი ლოგიკური და დამსახურებული გახლდათ, თუმცა ლონდონელთა უდიდეს მონდომებას სამართლიანი პენალტი მოჰყვა, რომელიც დე სანქტისმა ლემპარდს კინაღამ აუღო და რომელმაც ძირითად დროში პირველი მატჩის იდენტური ანგარიში (3:1) დააფიქსირა.

ორი ვარიანტია: ან „ნაპოლის“ არ უნდოდა არაფრის დიდებით თამაშის პენალტების სერიამდე მიყვანა, ანაც „ჩელსიმ“ გადაწყვიტა ძალების ჭკვიანურად გადანაწილება და დამატებით დროში ამიტომაც გააკეთა აქცენტი კონტრშეტევებზე. ივანოვიჩმა მეოთხე გოლის დროს ძალიან კარგად კი დაარტყა, მაგრამ ამ გოლში დროგბას მიუძღვის ლომის წილი. დარჩენილ დროში ნეაპოლელებმა ლონდონელებს ვეღარაფერი მოუხერხეს – მონდომება ეტყობოდათ, მაგრამ ცხადად ჩანდა, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდათ.

**დასკვნა**

ძალამ აღმართი მოხნა და „ჩელსი“ დამსახურებული გამარჯვებულია, „ნაპოლი“ კი - ღირსეული დამარცხებული.

# უპრობლემოდ მოთავებული საქმე

## აბა, ვინ ელოდა სხვა რამეს?




იოზილი და კომპანია რონალდოს პირველ გოლს ულოცავენ

**რეალი–ცსკა 4:1 (1:1)**

როგორც მოსალოდნელი იყო, „რეალს“ ცსკა-ს გაგდება არ გაუჭირდა. მეტიც: მადრიდულმა გრანდმა არ იფრინა და მიუხედავად ამისა, რუსული კლუბი მაინც 4:1 დაამარცხა.

**რეაქცია**

**ჟოზე მოურინიო** („რეალის“ მწვრთნელი): *„კრიშტიანო რონალდო გენიალური ფეხბურთელია! შარშანდელი შედეგების შემდეგ მეგონა, რომ იმაზე უკეთესად ველარ ითამაშებდა, მაგრამ წელს დამარწმუნა, რომ უფრო მეტიც შესძლებია. ამბობდნენ, „რეალს“ იოლი მატჩი ელისო, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მაქსიმალური კონცენტრაციის გარეშე, შეიძლებოდა, საქმე გართულებულიყო. ფანტასტიკური ფეხბურთი არ გვითამაშია, მაგრამ რაც მთავარია, მეოთხედფინალში თავის ტკივილის გარეშე გავედით.“*

**ლეონიდ სლუცკი** (ცსკა-ს მწვრთნელი): *„იმისათვის, რომ შემდეგ ეტაპზე გავსულიყავით, ყველანაირად იდეალური დღე უნდა ყოფილიყო. პირველ ტაიმში ცუდად არ გვითამაშია, მეორე ნახევარში კი შეცდომები დავუშვით. გული იმაზე მწყდება, რომ უკეთ თამაში შეგვეძლო. 0:0-ზე დუმბიას კარგი მომენტი ჰქონდა და ასეთ დონეზე შანსების განიავება არ შეიძლება.“*

**TOP ფეხბურთელი**

**სამი ხედირა (რეალი)**

საუკეთესო ფეხბურთელად დუბლის ავტორ **კრიშტიანო რონალდოს** დასახელება ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, ამჯერად ის ფეხბურთელი გამოვარჩიოთ, რომელიც „რეალში“ „შავ საქმეს“ აკეთებს ხოლმე – მით უმეტეს, რომ გერმანელმა საყრდენმა თავისი საქმე მართლაც იდეალურად გააკეთა. **ხედირა** კარგად გრძნობდა თამაშს და მონდომება არც ორთაბრძოლებში აკლდა. გარდა ამისა, **გონსალო იგუაინმა** პირველი სწორედ მისი პასით გაიტანა. მასთან ერთად, ძალიან კარგი იყო „რეალის“ მეორე საყრდენი ნახევარმცველი **ჩაბი ალონსოც**.

**FLOP ფეხბურთელი**

**გეორგი შჩენნიკოვი (ცსკა)**

ეს ნამდვილად არ იყო მოსკოველთა ახალგაზრდა მარცხენა მცველის დღე – რაც დააპირა, არაფერი გამოუვიდა! ორი არაზუსტი პასის შემდეგ, ბურთი ორივე შემთხვევაში მადრიდელებს რომ ჩააბარა, **შჩენნიკოვს** თავდაჯერების ნატამალიც კი აღარ შერჩა და მას მერე მეტოქის ნახევარზე გადასვლა ფაქტობრივად აღარც გაუბედავს.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

როგორც მოსალოდნელი იყო, „რეალის“ ნახევარდაცვაში უკან ხედირა-ჩაბი ალონსოს დუეტი, წინ კი **იოზილი-კაკა-რონალდოს** ტრიო ვიხილეთ. **ჟოზე მოურინიომ** ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ამჯერად იგუაინი გაამწესა, **ბენზემა** კი სკამზე დატოვა.

რუსებს თავიანთი ლიდერი **კეისუკე ჰონდა** მაინც გამოაკლდათ. მატჩამდე ვრცელდებოდა ცნობები, რომ იაპონელი თამაშს შეძლებდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზეც კი არ გამოჩენილა.

**ანალიზი**

„რეალი“ სათამაშო უპირატესობას, რა თქმა უნდა, თავიდანვე დაეუფლა, მაგრამ პირველ წუთებში მადრიდელებს მოედნის ბოლო მესამედში აშკარად უჭირდათ, რადგან მოსკოველები დაცვაში კომპაქტურად იდგნენ და ყურადღებით თამაშობდნენ. კაკა, იოზილი და რონალდო ბევრს მოძრაობდნენ და ერთმანეთს ადგილებს უცვლიდნენ, იგუაინიც ხშირად იხევდა უკან, რათა ცსკა-ს მცველთა მარწუხებისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ „რეალს“ აკლდა ტემპი, მეტოქის დაწნეხვის სურვილი ფლანგებიდან და სიმსუბუქე „ერთი ერთზე სიტუაციებში“. შესაბამისად, რუსების კართან სერიოზული საგოლე მომენტი დიდხანს არ შეიქმნა. ცსკა-ს მიზანი კი, ცხადია, ხეირის კონტრშეტევებზე ძებნა გახლდათ – განსაკუთრებით **მუსა** აქტიურობდა მარჯვენა ფლანგზე.

სადღაც მე-20 წუთიდან „რეალმა“ ტემპს მოუმატა. მადრიდელებმა უფრო მოინდომეს და შესაბამისად, უფრო ვარირებადნი და თავდაჯერებულნი გახდნენ, რასაც მოჰყვა კიდეც იგუაინის გოლი და „სამეფო გუნდმა“ შესვენებამდე 1:0 იკმარა.

მეორე ტაიმიც ისე დაიწყო, როგორც პირველი, ოღონდ მოსკოველებს მეტი დაძაბულობა ეტყობოდათ. შესაბამისად, „რეალის“ მეორე გოლი ლოგიკური იყო. ამის შემდეგ უკვე მხოლოდ „რეალი“ თამაშობდა, ქარიმ ბენზემამ კი მოედანზე გამოჩენიდან ბურთთან მეორე შეხება გოლით დააგვირგვინა. თამაშს ადრენალინი (ისიც მცირე დოზით) ცსკა-ს მოულოდნელმა გოლმა შემატა, მაგრამ მადრიდელებმა საქმე უპრობლემოდ მოათავეს.

**დასკვნა**

ვერ ვიტყვით, რომ „რეალმა“ ბრწყინვალე თამაში აჩვენა, მაგრამ ცხადია, მეტი არც იყო საჭირო. ცსკა-ს მადრიდულ სუპერგრანდთან ხომ თავიდანვე უშანსოდ იყო.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა/ევროპის ლიგა. წილისყრის წინ

# დღეს წილისყრაა!

## მოურინიო: ვინც გინდათ, ის იყოს! თუნდაც ბარსელონა!

დღეს, ნიონში ჩემპიონთა ლიგისა (14:45-დან) და ევროპის ლიგის (16:00) მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრები გაიმართება. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შვიდი ქვეყნის რვა კლუბი გავიდა, რომლებიც დღეს დაწყვილდებიან. წილისყრას უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** და მიუნხენში გასამართავი ფინალის ელჩი, ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი **პაულ ბრაიტნერი** გაუძღვებიან.



მოქმედი გამარჯვებული „ბარსელონა" ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლას აგრძელებს და „ლევერკუზენთან" ორმატჩიანი დუელის 10:2-ზე მოგებით ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია; აპოელ-მა ისტორია დაწერა და პირველი კვიპროსული გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ითამაშებს; ჩემპიონთა ლიგის შვიდგზის მფლობელი „მილანი", ევროპული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი „რეალი", გერმანიის რეკორდმაისტერი „ბაიერნი", ინგლისური „ჩელსი", ფრანგული „მარსელი" და პორტუგალიური „ბენფიკა" - ისინი ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტიტულის მოსაპოვებლად იბრძვიან.

შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში განთესვები არ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ნებისმიერს შეიძლება შეხვდეს. გამორიცხული არც ისაა, რომ მეოთხედფინალში „რეალი" და „ბარსელონა" დაწყვილდნენ. მეოთხედფინალის მატჩები 27/28 მარტს და 3/4 აპრილს გაიმართება, ნახევარფინალის შეხვედრები კი 17/18 და 24/25 აპრილს შედგება. ფინალი 19 მაისს, მიუნხენის „ალიანს არენაზეა" დაგეგმილი.

„ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვის შევხვდებით მეოთხედფინალში. ამბობენ, „რეალზე" ძლიერი გუნდებიც არსებობენო, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს და მზად ვარ, ნებისმიერს შევხვდეთ. ლონდონის „ჩელსი" ძალიან მიყვარს და თუ გადავეყრებით, ეს ჩემთვის განსაკუთრებული ამბავი იქნება. მიხარია, რომ „ჩელსი" მეოთხედფინალში გავიდა და ვისურვებდი, რომ ამ გუნდს ფინალში შევხვდეთ," - ეს „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოს** სიტყვებია.

რაც შეეხება ევროპის ლიგას: შეზღუდვები და განთესვები აღარც ამ ტურნირზეა და ნებისმიერი შეიძლება ნებისმიერს შეხვდეს. მეოთხედფინალი: 29 მარტი, 5 აპრილი; ნახევარფინალი: 19 აპრილი, 26 აპრილი; ფინალი: 9 მაისს, ბუქარესტში.

**გოტფრიდ ლენცი**

### ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტები

**მილანი (იტალია)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2006/07 (ორი მატჩის ჯამში 4:2 ბაიერნთან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 11-ჯერ გავიდა, 3-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 3 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება: 15:11

საუკეთესო ბომბარდირი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (5 გოლი)

**ბაიერნი (გერმანია)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2009/10 (4:4 მანჩესტერ იუნაიტედთან, გავიდან სტუმრად გატანილი გოლის წყალობით)

მეოთხედფინალების ბალანსი: 12-ჯერ გავიდა, 10-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 5 მოგება, 1 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება: 18:7

საუკეთესო ბომბარდირი: მარიო გომესი (10)

**აპოელ (კვიპროსი)**

ბოლო 1/4 ფინალი: არასდროს ყოფილა

მეოთხედფინალების ბალანსი: 0

ამ სეზონში: 3 მოგება, 3 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება: 7:7

საუკეთესო ბომბარდირი: გუსტავო მანდუკა (3)

**მარსელი (საფრანგეთი)**

ბოლო 1/4 ფინალი: 1990/91 (2:1 მილანთან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 2-ჯერ გავიდა

ამ სეზონში: 4 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება, ბურთების შეფარდება: 9:6

საუკეთესო ბომბარდირი: ანდრე აიუ (4)

**ჩელსი (ინგლისი)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2010/11 (1:3 მანჩესტერ იუნაიტედთან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 5-ჯერ გავიდა, 2-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 4 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთების შეფარდება: 18:8

საუკეთესო ბომბარდირი: დიდიე დროგბა (4)

**რეალი (ესპანეთი)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2010/11 (5:0 ტოტენჰემთან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 22-ჯერ გავიდა, 6-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 7 მოგება, 1 ფრე, ბურთების შეფარდება: 24:4

საუკეთესო ბომბარდირი: კრიშტიანო რონალდო (6)

**ბარსელონა (ესპანეთი)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2010/11 (6:1 შახტართან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 11-ჯერ გავიდა, 2-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 7 მოგება, 1 ფრე, ბურთების შეფარდება: 30:6

საუკეთესო ბომბარდირი: ლიონელ მესი (12)

**ბენფიკა (პორტუგალია)**

ბოლო 1/4 ფინალი: 2005/06 (0:2 ბარსელონასთან)

მეოთხედფინალების ბალანსი: 8-ჯერ გავიდა, 7-ჯერ გავარდა

ამ სეზონში: 4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება, ბურთების შეფარდება: 12:7

საუკეთესო ბომბარდირი: ოსკარ კარდოსო (4)

ტრავმა



# შენ დაბრუნდები, როგორც ყოველთვის

## ერიკ აბიდალს ღვიძლის გადანერგვა ესაჭიროება

**დოსიე**

ერიკ სილვენ აბიდალი

დაიბადა: 1979 წელს ლიონში

კარიერა: მონაკო, ლილი, ლიონი, ბარსელონა

საფრანგეთის ნაკრები: 61 თამაში

ერიკ აბიდალის კარიერა დასრულდა?

გუშინ „ბარსელონას" ოფიციალურმა საიტმა სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა, ერთი წლის შემდეგ, რაც 32 წლის ფრანგმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** ღვიძლის კიბოს ოპერაცია გაიკეთა და წარმატებით დაუბრუნდა ფეხბურთს, ცნობილი გახდა, რომ ერიკს ღვიძლის გადანერგვა ესაჭიროება. ღვიძლის გადანერგვა თავიდანვე საჭიროდ მიიჩნიეს ექიმებმა, თუმცა ეს პროცედურა აუცილებელი არ იყო. შემდეგ ფეხბურთელი მოედანს დაუბრუნდა, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, თუმცა ღვიძლის დაავადებაც პროგრესირებდა და ტრანსპლანტაცია აუცილებელი გახდა. აბიდალს ორგანოს უახლოეს დღეებში გადაუნერგავენ.

„ბარსას" კაპიტანი **კარლეს პუიოლი** იმედს არ კარგავს: „ერიკი ძალიან ძლიერი პიროვნებაა. მან დაბრუნებით ფრთები შეგვასხა და დარწმუნებული ვარ, რომ ამას კიდევ ერთხელ შეძლებს. ჩვენ, მთელი გუნდი, მხარში ვუდგავართ აბიდალს".

იმავეს იმეორებს **ჟერარდ პიკეც**: „შენ დაბრუნდები, როგორც ყოველთვის და იქნები საუკეთესო, როგორც ყოველთვის. შენ ჩვენთვის მაგალითი ხარ - ანიმო, აბიდალ!" - დაწერა „ტვიტერის" გვერდზე პიკემ.

ერიკ აბიდალი ამ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობდა, 20-ჯერ მოხვდა ლა ლიგის მატჩების სასტარტო შემადგენლობაში. მაგრამ მას მას შემდეგ არ უთამაშია, რაც საფრანგეთის ნაკრების მაისურით გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში გამოვიდა. მაშინ ითქვა, რომ აბიდალმა ბარძაყის ტრავმა მიიღო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

Oxford MEDICAL

ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია

თბილისი, ფალიაშვილის №15

უროლოგია

- პოტენციის აღდგენა ასაკისა და მიმდინარე დაავადებების მიუხედავად.
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება და მკურნალობა.

გინეკოლოგია

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.
- საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა კრიო აპარატით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი.

პროქტოლოგია

- ბუასილის მკურნალობა უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

ექოსკოპია

- სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, მაღალხარისხიანი ულტრაბგერითი გამოკვლევა ექიმ ლადო კახაძესთან.

დერმატოლოგია-კოსმეტოლოგია

- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით



გამოიყენება თანამედროვე მკურნალობის მეთოდები.

ანონიმურობა დაცულია!

ტელ: 229 00 66; 229 47 47

დარეკეთ და ჩაეწერეთ!

Oxford MEDICAL

Email: oxford.tbilisi@gmail.com

www.oxford-med.ge

## უცხოური ფეხბურთი

იტალიის ნაკრები


ფაბიო კანავარო

# კანავარომ ბორინი შეაქო

## და პრანდელის დი ნატალე შეახსენა

საფეხბურთო იტალია საკლუბო ბატალიებშია ჩაფლული, მაგრამ პერიოდულად პრესაში სანაკრებო თემატიკაზეც იწერება, მით უმეტეს, "სკუადრა აძურამ" ბოლო ორი ამხანაგური მატჩი წააგო და თანაც, ორივე საკუთარ მოედანზე. შეგახსენებთ, რომ იტალიელები რომში ურუგვაის უმთავრეს გუნდთან დამარცხდნენ, შემდეგ კი გენუაში აშშ-ის ნაკრებთან შერცხვნენ. ბუნებრივია, ბევრი ალაპარაკდა კრიზისზე და აქა-იქ, **ჩეზარე პრანდელის** კრიტიკაც გაისმა. "აძურამ" განსაკუთრებით მძიმე შთაბეჭდილება ამერიკელებთან დაპირისპირებისას დატოვა, თუმცა იყო ერთი ფეხბურთელი, რომელმაც აპენინელი ჟურნალისტებისგან მაღალი შეფასებები დაიმსახურა - ეს მოთამაშე 20 წლის **ფაბიო ბორინი** გახლავთ, რომელმაც "რომაში" ბრწყინვალე ასპარეზობით დაიმსახურა სანაკრებო მიწვევა. ბორინის თამაშით მოხიბლულია იტალიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი **ფაბიო კანავარო** და უმჯობესია, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა:

*"ბორინი ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია და უზომოდ კმაყოფილი ვარ, რომ ის იტალიურ ფეხბურთს დაუბრუნდა. მიმდინარე სეზონში, მის თამაშს დიდი ინტერესით ვაკვირდები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელია ახალგაზრდებს შორის. ჩემი პირადი აზრით, მას უკვე შეუძლია, რომ ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდროს ადგილი და ლიდერადაც კი მოგვევლინოს. მართალია, ჯერ მხოლოდ 20 წლის არის, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი პრობლემები არ აწუხებს. მოკლედ, ფაბიოზე დიდ იმედებს ვამყარებ და მინდა, რომ მისი თამაშით ევროპის ჩემპიონატზე დავტკბე".*

კანავაროს აშშ-თან გამართულ ამხნაგურ პაექრობაზე დაეკითხნენ და მისგან შემდეგი მოისმინეს: *"ამერიკელებთან გამართულ მატჩს დიდი ინტერესით ვუყურე და როგორც ყველა, მეც უკმაყოფილო დავრჩი. "აძურაში" ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომლებმაც ახალი ენერგია შესძინეს გუნდს, თუმცა კარგი იქნება, თუ ამას გამოცდილებაც დაემატება. პრანდელის ადგილზე, აუცილებლად მივცემდი შანსს ანტონიო დი ნატალეს, რომელიც წლებია, შესანიშნავად თამაშობს და ბომბარდირთა დავაში მუდმივად მოწინავეთა შორის გახლავთ. ჩეზარე ძალიან კარგი სპეციალიატია და მჯერა, რომ უკრაინა-პოლონეთში საუკეთესო შემადგენლობას წაიყვანს".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები



### გაუგებრობა

ინგლისური პრემიერლიგის ხელმძღვანელმა **დეივ რიჩარდსმა** ყატარის დედაქალაქ დოჰაში სპორტისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ფიფას ხელმძღვანელობას ინგლისური საფეხბურთო ტრადიციებისადმი უპატივცემულობასა და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის არჩევისას "უწესო თამაშში" დასდო ბრალი.

აღნიშნულ ბრალდებას უმალ გამოეხმაურნენ პრემიერლიგა და ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია. მათ საერთო განცხადებაში ნათქვამია, რომ რიჩარდსი ყატარში კერძო ვიზიტით იმყოფება და აღნიშნული ორგანიზაციების პოზიციასთან მის მოლაპარაკებას საერთო არაფერი აქვს. ბოდიშის მოხდამ მოუწია თავად სკანდალის გმირსაც. მისი თქმით, მასმედიის საშუალებებმა მის სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. გარდა ხმამაღალი განცხადებებისა, რიჩარდსი კიდევ ერთ გაუგებრობაში გაეხვია. კონფერენციის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებმა ის თავიდან ფეხებამდე გალუმპული იპოვეს და დაასკვნეს, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, ის მთვრალიც გახლდათ და ეს მარცხიც აღნუშნულის გამო შეემთხვა. თუმცა "ბოლტონის" პრეზიდენტის **ფილ გარტსაიდის** თქმით, ეს უბრალო შემთხვევითობა იყო და სერ დეივი ნასვამი არ ყოფილა.

### ხულიგანი გულშემატკივარი

ფრანგული სასამართლო უახლოეს ხანებში შეუდგება რამდენიმე დღის წინ დაკავებული "ლანსის" ფანკლუბის პრეზიდენტის საქმის განხილვას, რომელსაც ბრალად ედება "ბასტიასთან" შეხვედრაზე წინასწარი განზრახვით პიროტექნიკური საშუალებების შეტანა და მათი უკანონო გამოყენება. უკიდურეს შემთხვევაში მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ან 15 ათასი ევროს ჯარიმის გადახდა მოუწევს.

### მაკედონიის ჩემპიონატი შეწყდა

მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ქვეყნის ჩემპიონატი დროებით შეწყდა, რადგან არსებობდა რეალური საშიშროება, რომ ამას ეთნიკურ ნიადაგზე ადამიანების დაპირისპირება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მიზეზი ქვეყანაში გართულებული ვითარებაა. მდგომარეობა დაძაბულია დედაქალაქ სკოპიესა და ტეტოვოში. გადადებულია ორი თამაში – "შკენდია"-"ვარდარი" და "ტეტექსი"-"ნაპრედოკომი". მათ გამართვამდე კი შემდეგი ტური ვერ ჩატარდება, რადგან ეს წესი ფედერაციას მკაცრად აქვს დადგენილი.

**ლევან ბიგილაშვილი**




## ქართული სპორტი

თავისუფალი ჭიდაობა.
ინტერვიუ ბესიკ გოჩაშვილთან

# მონდომებით მოპოვებული ვერცხლი

**სერბეთის დედაქალაქ ბელგრადიდან საქართველოს ნაკრების 29 წლის ფალავანი, გორელი ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ) ევროპის ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით დაბრუნდა. იგივე შედეგი მას ორი წლის წინათ ჰქონდა, თუმცა მერე ამას ჩავარდნა მოჰყვა და არაერთმა მიიჩნია, რომ გოჩაშვილის კარიერის საუკეთესო წლები უკან დარჩა. მაგრამ...**

**- ბესიკ, შარშან თითქმის მთელი სეზონი გაგიცდა. წლეულს კი საქმე აშკარად უკეთ მიდის - საქართველოს ჩემპიონი გახდი, ახლა ევროპული ვერცხლის მედალი დაიმსახურე.**

- შარშან მართლაც რთული სეზონი მქონდა. ტრავმამ ფორმიდან ამომაგდო, ნაკრებში ჩემს წონაში ლიდერობაც დავკარგე. ქვეყნის ჩემპიონატზე მეტოქეებს იოლად მოვუგე. მერვედ მოპოვებულმა საქართველოს ჩემპიონობამ რწმენა შემმატა. ბევრისთვის მოულოდნელი იყო კონტინენტის ჩემპიონატზე ჩემი მორიგი წარმატება.

**- თუმცა ბევრმა ისიც იცოდა, რომ ბოლო შანსს გამოიყენებდი...**

- სწორედ მაგ განცდით წავედი სერბეთში. არაფერს ვამბობ შეჯიბრების მსვლელობისას მიღებულ ტრავმაზე. ეს ჩემი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გამარჯვება იყო. მონდომებით ნავსი გავტეხე.

**- ფინალში პირველი პერიოდის მერე რატომ აღარ იჭიდავე?**

- მესამე შეხვედრაში უკრაინელ იგორ ხავალჯისთან ვიტკინე მარცხენა მხარი, რთული გდება კეთებოდა, ცუდად შეიძლება დავცემულიყავი და ხელს დავეყრდენი, საშინლად მეტკინა. თუმცა მაინც შევძელი მეტოქის დამარცხება სამ პერიოდში 4:3, 0:3, 5:1. მომდევნო, ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში რუმინელ ალექსანდრუ ჩირტოაკთან გამაყუჩებელმა ნემსმა გამაძლებინა და მასაც ვძლიე. ფინალში კი ჯამალ ოთარსულთანოვთან საერთოდ ველარ ვამოძრავებდი ნატკენ ხელს. ეს მოჭიდავე ახლა მესამედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. მასთან სრულ მზადყოფნაშიც ჭირს გამარჯვება და ცალი ხელით რა უნდა მექნა? ამიტომ, პირველი პერიოდის წაგების შემდეგ აღარ გავედი ხალიჩაზე, უაზრობა იყო გაგრძელება.

**- ტრავმამდე ორი მეტოქიდან პეკერის ძლევაა აღსანიშნავი...**

- აჰმედ პეკერი თავის წონაში თურქეთის ნაკრების წამყვან მოჭიდავეთაგანია. იგი ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონიცაა, ენერგიული სპორტსმენია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გამიჭირდა მოგება. მანამდე შეჯიბრებაზე ჩემი პირველი მოწინააღმდეგე ლიტველი იურკუსი სულაც იოლად ჩამოვიცილე გზიდან 7:0.

**- ოთარსულთანოვს უწინაც შეხვედრიხარ...**

- მან ადრეც ევროპის ჩემპიონატზე სამ პერიოდში მომიგო. ტიტულები მის შესაძლებლობებზე კარგად მეტყველებს. ჩეჩენია, საიტიევების გვერდით ვარჯიშობდა და მათი სტილის ზეგავლენა ეტყობა. რუსეთში მის წონაში უძლიერესი ფალავნები არიან თავმოყრილი, თორემ უდავოდ ლიდერი და ოლიმპიადის უპირველესი კანდიდატი იქნებოდა. ახლა მას ლონდონის საგზურისთვის დიდი ბრძოლები წინ აქვს.

**- საქართველოში შენს უშუალო კონურენტსა და თანადარბაზელ ლადო ხინჩეგაშვილთან კონკურენციაზე რას იტყვი?**

- ლადო მხოლოდ თანადარბაზელი არ არის, კარგი მეგობრები ვართ. კონკურენციაც ჩვენ შორის ჯანსაღია. ორივენი ჩვეულებრივ ვიბრძვით საკუთარ ფრონტზე და რომელიც უკეთ წარმოაჩენს თავს, ალალად ვუსურვებთ წარმატებებს უცხოურ არენაზე. ბოლოს თებერვალში კიევის საერთაშორისო ტურნირზე შევხვდით ერთმანეთს და მე წავაგე 1:0, 0:1, 0:2.

**- სერბეთში ნაკრების კიდევ ორი გორელი ფალავანი - გიორგი გოგშელიძე და ოთარ თუშიშვილი გამოდიოდნენ. მათგან ყველა ყოველთვის გამარჯვებას მოელის, თუმცა ამჯერად ასე არ მოხდა.**

- ორივეს აწონის დღიდან ტემპერატურა ჰქონდა. ოთარი, მაგალითად, ფინალში გადასასვლელში თავის თავს აღარ ჰგავდა, ნათლად ეტყობოდა, რომ მეტი აღარ შეეძლო. არადა, იქამდე სიცხიანმა სამი ძნელი შეხვედრა მოიგო. ძლეულთა შორის იყო ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს და ოლიმპიადის პრიზიორი, უკრაინელი ანდრეი სტადნიკი. მე, თუშიშვილი და გოგშელიძე ერთ ოთახში ვცხოვრობდით და, ცოტა არ იყოს, ვშიშობდი კიდეც, მეც ავად არ გავმხდარიყავი. იქ გადავრჩი, თუმცა უკან გამომგზავრებისას ამიწია ტემპერატურამ.

**- ტრავმას მკურნალობ?**

- კი, ექიმების მითითებით ვმოქმედებ. ტრავმებით სავსე ჩემს კარიერაში მხარი ადრე არასოდეს მტკივებია, ეს ახალია.

**- საკლუბო დონეზე ამჯერად სად ასპარეზობ?**

- თურქეთის ერთ-ერთ კლუბში ორი წელიწადი დავყავი. ახლა სტრასბურგის კლუბში ვარ. კმაყოფილი ვარ ფინანსურად და საშეჯიბრო პრაქტიკაც მეტი მაქვს. საკლუბო ჩემპიონატის პრინციპით, მოგეხსენებათ, გუნდს გუნდთან გვიწევს შეხვედრა. ამას წინათ, ჩემი გამოსვლები მოვიგე და ბოლოს, კლუბის მესვეურთა თხოვნით, ერთი შეხვედრა ბერძნულ - რომაულშიც ჩავატარე. არადა, წესებიც არ ვიცოდი რიგიანად. საერთო გამარჯვებისთვის გუნდს სჭირდებოდა, რომ სუფთად მაინც არ წამეგო. თუმცა მოვიგე და კლუბის მეპატრონეთა განსაკუთრებული ყურადღება დავიმსახურე.


ბესიკ გოჩაშვილმა იგორ ხავალჯისთან პაექრობისას ამ ეპიზოდში მიიღო მხრის ტრავმა

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ფარიკაობა


არჩილ გოგელია (მარცხნივ) და ვლადიმერ ვარძელაშვილი

# ნანატრი დარბაზიც გაიხსნა

გუშინ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, თანამედროვე სტანდარტების ფარიკაობის ახალი დარბაზი გაიხსნა, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. აქ ერთდროულად ხუთი 15-კაციანი ჯგუფი ივარჯიშებს. დაგებულია 10 საფარიკაო ბილიკი, რომლებზეც როგორც ეროვნული ჩემპიონატის, ასევე, საერთაშორისო ტურნირების ჩატარება შეიძლება. დარბაზს აქვს კეთილმოწყობილი მწვრთნელთა ოთახები, საშხაპეები და ტრიბუნა 100-მდე მაყურებლისთვის. ახალი სარბიელის გახსნას დაესწრნენ სახელმწიფო მინისტრი **გიორგი ბარამიძე,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი,** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი,** საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე,** ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **არჩილ გოგელია.**

**ვლადიმერ ვარძელაშვილი:** "ქართულ სპორტულ ინფრასტრუქტურას კიდევ ერთი მაღალი დონის დარბაზი შეემატა. ფარიკაობა სპორტის ოლიმპიური სახეობაა და ჩვენთვის მისი განვითარება ორმაგად მნიშვნელოვანია. ვიმედოვნებ, რომ ეს დარბაზი მომავალ წარმატებათა წინა პირობა გახდება".

**გიორგი ბარამიძე:** "მინდა, მადლობა ვუთხრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ფარიკაობის ეროვნულ ფედერაციას ასეთი დარბაზის გახსნისთვის. სპორტის განვითარება სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს. რაც უფრო მეტი ახალგაზრდა დაკავდება სპორტის ამა თუ იმ სახეობით, მით უფრო აქტიური, ჯანსაღი და ძლიერი თაობა გვეყოლება, ამიტომ ახალი სპორტული ობიექტების შემატებას მივესალმებით და ყოველთვის მხარს დავუჭერთ".

**ვაჟა დანელია**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



## მილოცვა

ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს სახელოვან ქართველ „მუშკეტერს", მეგობარსა და ღირსეულ პიროვნებას **იური ოსიპოვს.**

შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** როგორც ცნობილია, ლონდონში წლევანდელი ოლიმპიური თამაშები მეშვიდე იქნება ჩვენი სახელოვანი ტყვიის მსროლელის **ნინო სალუქვაძის** სპორტულ კარიერაში.

თუ შეიძლება, მოგვითხრეთ ქალთაგან ვის რამდენჯერ უასპარეზია ოლიმპიურ თამაშებში.

**მანანა სიგაშვილი**
რუსთავი

**პასუხი:** შეგახსენებთ, რომ ნინო სალუქვაძე ლონდონში თავის მეშვიდე ოლიმპიადაზე გამოვა, ამ შედეგით კი ქართველთა შორის რეკორდსმენია. თუმცა სალუქვაძე პისტოლეტით სროლაში ჯერჯერობით მსოფლიოშიც საუკეთესოა - მას კვალში საშუალო დონის ბერძენი **აგატა კასუომი** და ჩვენებურივით ყველაფრის მომგები სერბი **იასნა სეკარიჩი** უდგანან, თუმცა მათ ჯერ ლიცენზია არ მოუპოვებიათ. არადა, სალიცენზიო შეჯიბრებები წლეულს აღარ ტარდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ სპორტის ამ სახეობაში საგზურს ფედერაცია იღებს და არა სპორტსმენი. კასუომის საკითხი ლამის გარკვეულია - ფაქტობრივად, წასულია სპორტიდან, სეკარიჩს კი ჯერ ისევ აქვს შანსი, სკუთარმა ფედერაციამ მისცეს ლიცენზია. თუმცა იზამს კი ამას სერბეთის ფედერაცია? იქაურთაგან საგზურები **ზორანა არუნოვიჩმა და ბობანა ველიკოვიჩმა** მოიპოვეს - პირველი მსოფლიოს ჩემპიონია, მეორე - ევროპის ორგზის ჩემპიონი, სეკარიჩმა კი შარშანდელი სეზონი ჩააგდო. თუმცა ის რომც გაუშვან ოლიმპიადაზე, ამით მხოლოდ დაეწევა სალუქვაძეს, თორემ ვერ გადაასწრებს.

თუ ზოგადად სროლის სახეობათა რეკორდზე ვილაპარაკებთ, ჯერჯერობით უდავო რეკორდსმენი ლატვიელი **აფანას კუზმინსია** - 1976 წლიდან მოყოლებული მან მხოლოდ 1984 წლის ლოს-ანჟელესის თამაშები გამოტოვა, სადაც ყოფილი სოცბანაკის ქვეყნები არ მონაწილეობდნენ და 8 ოლიმპიადა დაუგროვდა. ის და სალუქვაძე 1988 წელს სეულში ერთად გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები, ბარსელონაში კი მეორეზე გავიდა. კუზმინსს მსოფლიოსა და ევროპაზე სამივე სინჯის მედალი მოუპოვებია, თუმცა შარშან ულიცენზიოდ დარჩა და ახლა ისიც ან ველური ბარათის, ანაც საკუთარი ფედერაციის გულმოწყალების იმედადაა.

**ირაკლი თავაძე**



სამთო თხილამურობა

# მესტიაში, ჰაწვალის ფერდობზე

საქართველოს სათხილამურო ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საერთო ინიციატივით სამთო მოთხილამურეთა საქართველოს თასის გათამაშების მე-4 ეტაპს მესტიაში ჰაწვალის ფერდობმა უმასპინძლა. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ ასაკობრივ ჯგუფში სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში გამოვლინდნენ.

შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. გაუწყებთ პირველ-მესამე ადგილებზე გასულთა ვინაობას:

**სპეციალური სლალომი: გოგონები. 1999-2000 წლებში დაბადებულნი.** 1 თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 2.10,06), 2. ანა ჩართოლანი (მესტია, 2.27,01), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 2.27,46). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (აბუ-ბაკურიანი, 1.58,69), 2. სალომე კვიციანი (მესტია, 2.00,03), 3. ილონა შავაძე (აჭარა, 2.16,77). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. თამუნა ჯალმაიძე (გუდაური, 1.53,14), 2. ნატაშა გავა (ბორჯომი, 1.53,31), 3. თაკო ბაქრაძე (ბორჯომი, 2.04,42). **ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.55,81), 2. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 2.04,46), 3. გიორგი პაჩოშვილი (აბუ, 2.05,05). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.49,72), 2. ლევან ჯაფარიძე (ბეჩო, 1.55,09), 3. ბესიკ ჯაფარიძე (მესტია, 1.58,38). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 1.35,02), 2. კახა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.36,83), 3. დაჩი ბუჩუკური (აბუ, 1.44,30).

**გიგანტური სლალომი. გოგონები. 1999-2000 წ.წ.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.38,01), 2. ანა ჩართოლანი (მესტია, 1.43,36), 3. ქეთი მიქაბერიძე (ბორჯომი, 1.46,00). **1997-1998 წ.წ.** 1. ნუცა ხურცილავა (აბუ, 1.29,08), 2. მარიამ ჭკადუა (მესტია, 1.29,35), 3. სალომე კვიციანი (მესტია, 1.31,60).

**1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნატაშა გავა (ბორჯომი, 2.53,86 - ორი ცდის ჯამში), 2. თაკო ბაქრაძე (ბორჯომი, 3.01,46), 3. შორენა ჯორბენაძე (აჭარა, 4.12,20). **ვაჟები. 1999-2000 წ.წ.** 1. დავით ნაზღაიძე (გუდაური, 1.28,74), 2. გიორგი პაჩოშვილი (აბუ, 1.30,94), 3. გიორგი ქორდოღლიანი (ბაკურიანი, 1.31,22). **1997-1998 წ.წ.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.25,57), 2. ზაზა ოგბაიძე (გუდაური, 1.27,37), 3. ვიტალი ფერაძე (ბაკურიანი, 1.30,26). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. ნიკოლოზ კოზანაშვილი (ბაკურიანი, 2.31,86), 2. გალო ჯაფარიძე (აბუ, 2.32,93), 3. შოთა ნათაძე (გუდაური, 2.33,61).

საქართველოს თასის მე-5 ეტაპი 30-31 მარტს გუდაურში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



ჭადრაკი

# მწვანე გზა სკოლისკენ


მარცხნიდან - სილვიო დანაილოვი, ევროპარლამენტის ბულგარელი დეპუტატი სლავჩო ბინევი და გარი კასპაროვი შამპანურით აღნიშნავენ გამარჯვებას

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი დიდოსტატი **გარი კასპაროვი** და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბულგარელი **სილვიო დანაილოვი** წელიწადზე მეტია, ყველაფერს აკეთებენ, რომ ერთობლივი პროექტი - „ჭადრაკი სკოლაში" - ცხოვრებაში განახორციელონ. საამისოდ კი ევროპარლამენტის თანხმობაა აუცილებელი. კერძოდ, ამ პროექტისთვის ხმა უნდა მიეცა ევროპარლამენტის დეპუტატთა 378 წევრს, ანუ 50%-ს + 1. სტრასბურგში 13 მარტისთვის დასტური უკვე 392-მა დეპუტატმა მისცა. ვარაუდობენ, რომ მიმდინარე სესიის დამთავრებამდე ეს რაოდენობა კიდევ გაიზრდება. სილვიო დანაილოვმა განაცხადა, რომ 2012 წლის 13 სექტემბერი ისტორიაში შევა დღედ, როცა ჭადრაკი აღიარეს არა მარტო როგორც სპორტის სახეობად, არამედ თანამედროვე მსოფლიოში განათლების სისტემის ნაწილად. სესიის დამთავრების შემდეგ კასპაროვ-დანაილოვის ერთობლივი პროექტი ევროპარლამენტის კომისიას და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტებს გადაეცემა.

**ვაჟა დანელია**

# ძაგნიძე სამეულში



თურქეთის გაზიანთეფში, როგორც გაუწყეთ, ქალებმა ევროპის ჩემპიონატი მოილიეს კლასიკურ ჭადრაკში. ჩემპიონებისა და პრიზიორების ვინაობაც ცნობილია, ოღონდ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რომ პირველ-მეთოთხმეტე ადგილებზე გასულმა მოჭადრაკეებმა - ვალენტინა გუნინამ, ტატიანა კოსინცევამ (ორივე - რუსეთი), ანა მუზიჩუკმა (სლოვენია), ვიქტორია ჩმილიტემ (ლიტვა), მარი სებაგმა (საფრანგეთი), ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი), კატერინა ლაგნომ (უკრაინა), ელინა დანიელიანმა (სომხეთი), **ბელა ხოტენაშვილმა** (საქართველო), ნატალია პოგონინამ, ალექსანდრა კოსტენიუკმა (ორივე - რუსეთი), ჰოანგ თან თრანგმა (უნგრეთი), **ნინო ხურციძემ** და **ნანა ძაგნიძემ** (ორივე - საქართველო) - მსოფლიოს თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ევროპის ჩემპიონატის საპრიზო ფონდი იყო 100.000 ევრო. რადგანაც მედალოსნებმა - გუნინამ, ტ. კოსინცევამ და ა. მუზიჩუკმა თანაბარი ქულები მოაგროვეს, ფულიც თანაბრად გაიყვეს - თითოეულს 15830-15830 ევრო ერგო. მეოთხეადგილოსანმა ჩმილიტემ 8200 ევრო დაიმსახურა, მე-9 ადგილზე გასულ ხოტენაშვილს 5170 ევრო ხვდა, ხოლო ათი შვიდქულიანი (მათ შორის - ხურციძე, ძაგნიძე, მელია და ჯავახიშვილი) 810-810 ევროთი დაკმაყოფილდა.

სრული ინფორმაციისთვის ქომაგებს გვინდა ევროპის ჩემპიონ ქალთა სრული ნუსხაც შევთავაზოთ: 2000 წელი - ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), 2001 - ელმირა სკრიპჩენკო (მოლდოვა, დღეს საფრანგეთში ცხოვრობს), 2002 - ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), 2003 - პია კრამლინგი (შვედეთი), 2004 - ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი). 2005 - კატერინა ლაგნო (უკრაინა), 2006 - ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), 2007 - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 2008 - კატერინა ლაგნო (უკრაინა), 2009 - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 2010 - პია კრამლინგი (შვედეთი), 2011 - ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), 2012 - ვალენტინა გუნინა (რუსეთი).

გაზიანთეფში ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ასპარეზობის მონაწილე ქალთა ერთი ნაწილი (მათ შორის - **სალომე მელია** და **მირანდა მიქაძე**) შინ გაემგზავრა, 46 მოჭადრაკე კი რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი) კონტინენტის პირველობაში ჩაება (საპრიზო ფონდი 10 ათასი ევრო) შვეიცარიული სისტემით 11 ტურად. თითოეულ მეტოქეს პარტიისთვის 15-15 წუთი ეძლევა ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. გუშინ 6 ტურის შეხვედრები გაიმართა. ჩვენებურთაგან შესანიშნავად იასპარეზა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც 5 ქულას მოუყარა თავი: დაამარცხა ბაირა კოვანოვა (რუსეთი), ანა უშენინა, კატერინა ლაგნო და მარია მუზიჩუკი (სამივე-უკრაინა), ხოლო ნინო ბაციაშვილსა და ანტოანეტა სტეფანოვას დაუზავდა. მე-6 ტურში, ასევე, წარმატებით ითამაშეს ტატიანა კოსინცევამ და ალექსანდრა კოსტენიუკმა, რომლებმაც ანა მუზიჩუკსა და სტეფანოვას სძლიეს და 5-5 ქულით ძაგნიძესთან ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება ბელა ხოტენაშვილი. ჩვენებურთა მონაგარი 6 ტურის შემდეგ: ბაციაშვილი-4, გურამიშვილი, პაიკიძე-3,5-3,5, არაბიძე, გვეტაძე, ხურციძე-3-3, ჯავახიშვილი-2,5 ქულა.

სწრაფ ჭადრაკში ევროპის პირველობაზე დღეს კიდევ 5 ტური გაიმართება. მე-7 ტურში ძაგნიძე შავი ფიგურებით კოსტენიუკს შეხვდება, ხოტენაშვილი კი თეთრებით ტატიანა კოსინცევას დაუპირისპირდება. დანარჩენი ქართველები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ: კატერინა ლაგნო-ნინო ბაციაშვილი, ვალენტინა გუნინა-სოფიკო გურამიშვილი, ბაირა კოვანოვა-ნაზი პაიკიძე, დარია ჩაროჩკინა-ნინო ხურციძე, ჰოანგ თრანგი-სოფიო გვეტაძე, ირინა ბულმაგა-ლელა ჯავახიშვილი.

**ვაჟა დანელია**

ქართული ბიბლიოთეკა

ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი



# კატასტროფული მესამედი

ოსაკას ბაშოზე ზუსტად ტურნირის მესამედი გაილია, ქართული ტრიოს შედეგი ამ დროისთვის შემაშფოთებელია: პირველად კომუსუბის რანგში მოასპარეზე **თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ)** ჯერ ერთხელაც არ მოუგია, მხოლოდ კინკილა გამარჯვება აქვს აქტივში **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)**, ძურიოს დივიზიონში უარყოფითი ბალანსი (2-3) გაუხდა **ლევან ცაგურიას (კოკაი)** და იქიდანაც გავარდნის საფრთხე დაემუქრა.

გუშინ გაგამარუმ დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოსთან** წააგო, ხოლო ტოჩინოშინს ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ** მოერია. ჩვენებურებს დღესაც ძლიერ მეტოქეებთან ელით ბრძოლები. გაგამარუს წინააღმდეგ კოტოოშუ დადგება, ხოლო ტოჩინოშინს მონღოლი ოძეკი **ჰარუმაფუჯი** გამოცდის.

**V დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-**გაგამარუ** (სუკუინაგე), კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), ბარუტო-ტოჩინოვაკა (ცუკიდაში), იოშიკაძე-ჰარუმაფუჯი (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-კისენოსატო (კეტაგური), კოტოოშუ-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), კაკურიუ-ამინიშიკი (ოკურიდაში), მიოგირიუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოიონოშიმა-ვაკაკოიუ (კატასუკაში), არანი-ჰომაშო (ჰატაკიკომი). **ძურიო:** კაისეი-**კოკაი** (ოშიტაოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (სეკივაკე), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7)... **1-4:** **ტოჩინოშინი** (მ 3)... **0-5:** **გაგამარუ** (კომუსუბი).

**VI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-იოშიკაძე, ბარუტო-კიოკუტენჰო, **ტოჩინოშინი**-ჰარუმაფუჯი, კისენოსატო-ამინიშიკი, **გაგამარუ**-კოტოოშუ, კოტოშოგიკუ-მიოგირიუ, კაკურიუ-ტოჩიოძანი, ტოჩინოვაკა-ტოიონოშიმა, არანი-ტოკიტენკუ, ჰომაშო-შოჰოზანი. **ძურიო:** **კოკაი**-სოტაირიუ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**







ქართველი NBA-ში

# დრო ერგო და შეირგო - მეშვიდე ორმაგი

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა" დასავლური ტურნე ლოს-ანჯელესში დაასრულა. ისევე როგორც წინა მატჩში „დენვერთან", ამჯერად „კლიპერსთან" პირველი ტაიმი 8 ქულის სხვაობით წააგო, თუმცა დენვერული შეხვედრისგან განსხვავებით მეორე ნახევარში თამაში ვერ შემოატრიალა. სტუმრებმა ლოს-ანჯელესელებთან ჩამორჩენა მხოლოდ 5 ქულით შეამცირეს, თუმცა მეოთხე პერიოდში ვერც ეს შეინარჩუნეს და 82:96 დამარცხდნენ.

„კლიპერსში" მაღალი დონის, სწრაფი კალათბურთის მიმდევარი უკანახაზელები არიან შეკრებილნი, **მო უილიამსი, კრის პოლი**... რომლებსაც მხარს კარგად უბამს მძიმე ფორვარდი მფრინავი **ბლეიქ გრიფინი.** ჰოდა, მაღალ ტემპში მოთამაშე კლიპერსელების შეკავება „ატლანტას" გაუჭირდა.

თავის მხრივ, „ჰოქსს" საკადრო პრებლემები ჰქონდა: ვერ ითამაშეს ფორვარდებმა **მერვინ უილიამსმა** და **ვლადიმირ რადმანოვიჩმა**, რომლებსაც ტრავმები აქვთ (**ელ ჰორფორდზე** აღარაფერს ვამბობთ).

*- დიდი პრობლემა იყო წინა ხაზის შევსება, რადგან განკარგულებაში ერთადერთი სათადარიგო მეფარე გვყავდა - ერიკ დემპიე, -* თქვა ატლანტელთა დამრიგებელმა **ლარი დრიუმ.**

სასტარტო ცენტრ ზაზა ფაჩულიას კი ამჯერადაც უხვი სათამაშო დრო ერგო და შეირგო კიდეც - სეზონის მე-7 ორმაგი დუბლი შეასრულა. მან 12 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთი შედეგი ჰქონდა „კლიპერსის" წინახაზელ ლიდერ ბლეიქ გრიფინს. მატჩის ბომბარდირი კი 25 ქულით მო უილიამსი გახდა, რომელიც „მილუოკიში" ზაზას თანაგუნდელი იყო.

„ატლანტა" და „კლიპერსიც" გათანაბრდნენ. ორივეს 24-24 მოგება აქვს, თუმცა პირველი აღმოსავლეთის კონფერენციაში მეექვსე ადგილზეა, ხოლო „კლიპერსი" - დასავლეთში მეოთხე.

როგორც დავწერეთ, „ჰოქსმა" ხუთმატჩიანი დასავლური ტურნე (1 მოგება, 4 მარცხი) დაასრულა და 16 მარტს „ვაშინგტონ უიზარდსს" ატლანტაში მიიღებს.

**კლიპერსი-ატლანტა 96:82**

**ზაზა ფაჩულია:** 35 წუთი, 12 ქულა (8-დან 5 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 10 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 1 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 10:37 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-4 |
| 8:22 | **ორქულიანი: 2ქ** | 4-8 |
| 6:47 | **ორქულიანი: 4ქ** | 8-15 |
| 4:28 | დემპიემ ზაზა შეცვალა | 15-17 |
| **II პერიოდი** | | |
| 5:26 | ორქულიანი: არაზუსტი | 37-41 |
| 5:26 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 37-41 |
| 4:07 | **ორქულიანი: 6ქ** | 39-43 |
| 3:46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 39-43 |
| 2:16 | ორქულიანი: არაზუსტი | 39-48 |
| 1:09 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 41-50 |
| **III პერიოდი** | | |
| 10:03 | **ორქულიანი: 8ქ** | 44-54 |
| 9:04 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 44-56 |
| 8:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 44-56 |
| 8:15 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 44-56 |
| 7:50 | **საჯარიმოები: 2/2 (10ქ)** | 46-56 |
| 7:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 | 46-56 |
| 6:46 | **პასი: 1 (ჯონსონი 2ქ)** | 48-58 |
| 5:28 | **ორქულიანი: 12ქ** | 52-61 |
| 4:11 | შეცდომა: 1 | 53-65 |
| 3:47 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 53-65 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:41 | ფოლი: 1 | 62-73 |
| 11:41 | დემპიემ ზაზა შეცვალა | 62-73 |
| 7:13 | ზაზამ პარგო შეცვალა | 72-83 |
| 7:09 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 | 72-83 |
| 6:07 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 | 72-83 |
| 4:09 | პარგომ ზაზა შეცვალა | 76-88 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



ერევნის საერთაშორისო ტურნირი



# ქართული დერბი ერევანში

სომხეთში ქართული დერბი გაიმართა. ერევანში, „მიკას" დარბაზში ერთმანეთს „აკადემიას" 16-წლამდელთა გუნდი და საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები შეხვდნენ. მატჩი საინტერესოდ წარიმართა და საბოლოოდ ნაკრების გამარჯვებით - 69:65 დასრულდა. აკადემიელთა მწვრთნელი **ირაკლი ტომარაძე:**

- საინტერესო თამაში გამოვიდა. ორივე გუნდი კარგად გაისარჯა და ნაყოფიერი სპარინგი შედგა. მთელი შეხვედრის განმავლობაში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხანაც მეორე, მაგრამ 5 ქულაზე წინ არც ერთი არ გასულა.

**- ვის გამოარჩევდით?**

- ყველამ კარგად ითამაშა, ბიჭები ცდილობდნენ, მწვრთნელების დავალება მაქსიმალურად შეესრულებინათ. „აკადემიიდან" ყველაზე მეტი - 12 ქულა თემურ პეტრიაშვილმა ჩააგდო, ხოლო ნაკრებიდან ლევან გოგოლაძემ - 14.

**- ერევნის ტურნირის პირველი მატჩი სომხურ „დინამოს" მოუგეთ. რას იტყვით ამ შეხვედრასა და დანარჩენ მეტოქეებზე?**

- იმ სამი გუნდიდან, რომლებიც ტურნირში მონაწილეობენ, ყველაზე ძლიერია "დინამო", რომელიც, ფაქტობრივად, სომხეთის 16-წლამდელთა ნაკრებია. მხოლოდ 2 კალათბურთელი აკლიათ. ისინი ამავე ტურნირზე, სხვა გუნდებში თამაშობენ. დინამოელებს 14 ქულით მოვუგეთ, „არტექსთან" და „შირაქთან" სათამაშო გვაქვს და იმედია, კარგ გამოცდილებას მივიღებთ.

■ ■ ■

ტურნირის მესამე დღეს საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა მორიგი მატჩი მოიგო, „აკადემია" კი ისვენებდა. **გია კაზანჯიანის** მიერ გაწვრთნილი ნაკრები „არტექსს" შეხვდა და 73:17 გაანადგურა.

- მეტოქე სუსტი იყო და დიდი წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია. აქედან გამომდინარე, ნაკრების ყველა წევრს მივეცი თავის გამოჩენის შანსი და სათამაშო დრო კალათბურთელებზე თანაბრად გადავანაწილე - აღნიშნა გია კაზანჯიანმა და დასძინა:

- ვერავის გამოვარჩევ, ყველამ კარგად ითამაშა და დაკისრებული დავალება შეასრულა.

www.gbf.ge

ქართველი კვიპროსში

# აპოლონის რთული მისია

მოულოდნელად დაიწყო კვიპროსის ჩემპიონატის ნახევარფიალური სერია: **ბესიკ ლეჟავას** „აპოლონმა" მეორე მატჩიც წააგო და „ეთას" სერიაში 0:2 ჩამორჩა. ფინალში ის გუნდი გავა, რომელიც სამ შეხვედრას მოიგებს. ასე რომ, აპოლონელები რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ - დარჩენილი მატჩები თავის სასარგებლოდ უნდა დაასრულონ.

რადგან ლეჟავას გუნდმა რეგულარული ეტაპი „ეთაზე" უკეთესი შედეგით დაასრულა, ნახევარფინალის პირველი შეხვედრა შინ გამართა და 64:72 დამარცხდა. ქართველმა თავდამსხმელმა 25 წუთში 5 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა.

მეორე შეხვედრას „ეთამ" უმასპინძლა და როგორც უკვე გითხარით, ისიც მოიგო. ამჯერად 90:73. 19 წუთში ბესიკ ლეჟავამ მეტოქის კალათის მიმართულებით მხოლოდ ერთხელ ისროლა (სამქულიანი) და მიზანში ვერ მოარტყა. მის აქტივში 5 პასი, 1 მოხსნა და 2 ჩაჭრაა.

ნახევარფინალური სერიის მესამე შეხვედრა 16 მარტს გაიმართება. მას „აპოლონი" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ერთა თასი



# ბორჯღალოსანთა ძირითადში სამი ცვლილებაა

ხვალ საქართველოს ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა" ამ შეხვედრისთვის მზადება ორშაბათიდან დაიწყეს.

ჩვენი გუნდის ახალზელანდიელმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** მზადების ამ ეტაპზე აქამდე განვლილის კიდევ უფრო მეტად დახვეწას და წინა შეხვედრებში თავჩენილი შეცდომების გამოსწორებას დაუთმო.

„ბორჯღალოსანთა" თავკაცმა საწვრთნელ შეკრებაზე მყოფი 28 მორაგბედან ის 22 მოთამაშე შეარჩია, რომელიც რუსთა გუნდს დაუპირისპირდება. წლეულს პირველად ითამაშებენ ეროვნულ გუნდში ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) და პირველხაზელი **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი). ყიასაშვილი ძირითად შემადგენლობაში ტრავმირებული **გიორგი შკინინის** (არმია) ადგილს დაიკავებს. ხინჩაგიშვილი კი სათადარიგოთა შორის იქნება.

რუმინელებთან მატჩში ცნობილი ინციდენტის გამო დისკვალიფიცირებული **ვიქტორ კოლელიშვილის** (კლერმონი) ნაცვლად გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი) ითამაშებს. სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** (ვალანს დაჟენი). მის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) იასპარეზებს.

ჩვენი ეროვნული გუნდი ბოლო, კაპიტნის ვარჯიშს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეს 15 საათზე გამართავს. რუსთა გუნდი კი, რომელიც გუშინ გვიან ღამით ერევნიდან ავტობუსით ჩამოვიდა, იმავე სტადიონზე ერთი საათით ადრე ივარჯიშებს.

რაგბის კავშირისა და ქომაგთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, სტადიონზე მისულ გულშემატკივრებს თეთრი და წითელი ფურცლები დახვდებათ, რომლებიც თავს ზემოთ უნდა დაიჭირონ, რაც ტრიბუნებზე მოზაიკას შექმნის.

ამასთან ერთად, საქართველოს რაგბის კავშირი მოუწოდებს ქომაგებს, მეტოქის მიმართ გამოიჩინონ ჩვეული სტუმართმოყვარეობა, იყვნენ კორექტულნი და არ შეურაცხყონ ისინი, ისე, როგორც ეს რაგბის სამყაროს, მის დაუწერელ კანონებს შეესაბამება.

შეგახსენებთ, რომ მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის 15 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

### საქართველოს ნაკრები

15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გივი ბერიშვილი 8. მამუკა გორგოძე.

16. რეზო ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. დიმიტრი ბასილაია, 20. გიორგი ბეგაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. თედო ზიბზიბაძე.

### რუსეთის ნაკრები

შერკინება: დენის ანტონოვი, ვლადიმირ ბოლტენკოვი, ვლადიმირ ბოტვინიკოვი, არტიომ ფატახოვი, ანდრეი გარბუზოვი, ნაზირ გასანოვი, ვიქტორ გრესევი, კირილ კოპეშკინი, კირილ კულემინი, პაველ კვერნაძე, სტანისლავ სელსკი, ანტონ სინიცინი, მაქსიმ სტურცა, ევგენი ტიტოვი, ინოკენტი ზიკოვი, ალექსეი ვოლკოვი.

უკანა ხაზი: მიხაილ ბაბაევი, პაველ ბუტენკო, დიმიტრი გერასიმოვი, გერმან გოდლიუკი, ალექსანდრ იანუშკინი, იური კუშნარიოვი, ალექსეი მაკოვეცკი, ევგენი მატვეევი, ანდრეი ოტროკოვი, ანტონ რიაბოვი, ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი ტრიშინი.

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადონი, მიჰაი მაკოვეი (სამიცე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), ფლავიუს დობრე, ადრიან იონი (ორივე-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (კასტლსარასინი).

უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ, ფლორინ ვლაიკუ (ორივე-ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინისი, იონუც ნიაჩსუ (სამივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), იულიან დუმიტრაში (ლურდი).

### ესპანეთის ნაკრები

ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლაიონზი, სერხიო გერერო (სამივე-სანტაბოიანა), ხოსე კარლოსი (ვიგო), ჯო ჰატჩინსონი, ჯონათან ფიპსი (ორივე-ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს ნუნესი (ლილი), ბენატ ეჩეპერი, მატიო ვისენსანგი (ორივე-ტიროსი), სებასტიან რუე, ხაიმე ნავა (ორივე-სენტ ეტიენი), მატიო პელუკონი (ოში), სერხი ობენალი (კლერმონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), იონ ინსაუსტი (სენ ჟან და ლუზი), მანუელ გარსია (კასტრი), ანტონი პრადალი, ადრიენ აიესტარანი (ორივე-პერიგო), მატიო როსა (ორიაკი), დავიდ ბარერა (მონ დე მარსანი), სესარ სემპერე (ნორსჰემპთონი).

### ერთა თასი 2012

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +36 | 10 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | +24 | 10 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +27 | 10 |
| 4.რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | -5 | 9 |
| 5.პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | -28 | 6 |
| 6.უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | -54 | 0 |

### ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 8 | 7 | 0 | 1 | +157 | 32 |
| 2.რუმინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | +124 | 26 |
| 3.ესპანეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -47 | 20 |
| 4.რუსეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -3 | 20 |
| 5.პორტუგალია | 9 | 4 | 0 | 5 | -13 | 20 |
| 6.უკრაინა | 7 | 0 | 0 | 7 | -218 | 0 |

### ერთა თასი
### V ტური
### 17 მარტი

საქართველო-რუსეთი
ესპანეთი-რუმინეთი
უკრაინა-პორტუგალია

ტრანსფერი

# ორი ქართველი ევროპულ გრანდში

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **ჯაბა ბრეგვაძე** ფრანგული და ევროპული რაგბის გრანდში „ტულუზში" წლეულს იანვრის ბოლოს ჩაირიცხა, როცა ამ გუნდის კიდევ ერთმა შერკინების კვაჭმა აქვსენტი **გიორგაძემ** მძიმე ტრავმა მიიღო და „ტულუზს" სამედიცინო „ჯოკერის" დამატება დასჭირდა.


ჯაბა ბრეგვაძე

ჯაბამ გასულ უქმეებზე პირველად ითამაშა ტულუზელების შემადგენლობაში თავიდან ბოლომდე და დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა. როგორც ფრანგული სპორტული ვებგვერდი MRC Sport იუწყება, „ტულუზმა" ბრეგვაძეს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. მართალია, ხელშეკრულება ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ თვით ფაქტი მართლაც ღირსშესანიშნავია.

თუ ჯაბა ბრეგვაძე „ტულუზის" ხელმძღვანელების პირობებს დათანხმდა, ამ გუნდში მომავალი სეზონიდან ორი ქართველი მორკინალი ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ორიოდე თვის წინათ „ტულუზთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **ვასილ კაკოვინმა**, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ბრივის" ღირსებას იცავს.

ექვსი ერი

# ლანკასტერმა სტრიტლი დააბრუნა

ინგლისის ნაკრებმა გასულ უქმეებზე ექვსი ერის გათამაშების მეოთხე ტურში თითქმის სენსაციური გამარჯვება მოიპოვა სტუმრად საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან - 24:22 და პირველი ადგილის დაკავების თეორიული შანსი გაუჩნდა.

„პომებმა" საამისოდ შაბათს შინ ირლანდიის ნაკრებს უნდა მოუგოს და ლიდერმა, უელსის ეროვნულმა გუნდმა ასევე შინ უნდა წააგოს საფრანგეთის ნაკრებთან.

ინგლისელთა დროებითმა თავკაცმა **სტიურატ ლანკასტერმა** გუნდში ორი ცვლილება განახორციელა. ტრავმირებული გარემარბის **ჩარლი შარლპსის** ნაცვლად მან **დევიდ სტრიტლი** დააბრუნა, რომელმაც თავის მხრივ ტრავმა ახლახან მოიშუშა. შერკინების კვაჭმა **რობ ვებერმა** ფრანგებთან მატჩში მხარი იტკინა და მის ნაცვლად სათადარიგოთა სკამზე **ლი მეარსი** დაჯდება.

*„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იანვარში, ლიდსში პირველად რომ შევიკრიბეთ, თითქოს გუშინ იყო. იქიდან დაიწყო ახალი ერა ინგლისურ რაგბიში. ჩემს თანაშემწეებთან ერთად ღრმად გვწამს, რომ ნაკრებში მორაგბეთა სწორედ ის ჯგუფია, რომელიც ინგლისურ რაგბის დიდ წარმატებებს მალე მოუტანს.*

*შაბათს ირლანდიის ნაკრებთან გასამართი მატჩი კიდევ ერთი ნაბიჯია ამ დიდ და ურთულეს გზაზე. მოუთმენლად ველით „თვიქნემზე" დაბრუნებას, სადაც განსაკუთრებული ქომაგები და აურაა. იმედი გვაქვს, რომ „სამყურებს" დავამარცხებთ და გულშემატკივრებს კიდევ ერთხელ გავახარებთ"* - თქვა ინგლისის ნაკრების დროებითმა თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა.

ამასობაში, მიუხედავად იმისა, რომ „პომები" ცუდად არ ასპარეზობენ, ლანკასტერის შანსი მთავარ მწვრთნელად მუდმივად დარჩეს, მცირდება. „პომების" თავკაცობის ყველაზე რეალურ კანდიდატად სამხრეთ აფრიკის ნაკრების ყოფილი და კანბერას „ბრამბიზის" ამჟამინდელი მწვრთნელი **ჯეკ ვაითი** სახელდება.

**ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ბრედ ბარიტი, 11. დევიდ სტრიტლი, 10. ოუენ ფარელი, 9. ლი დიქსონი. 1. ალექს კორბიშიერო, 2. დილან ჰარტლი, 3. დენ კოლი, 4. მარისუ ბოთა, 5. ჯეფ პერლინგი, 6. ტომ კროფტი, 7. კრის რობშო, 8. ბენ მორგანი.**

**16. ლე მეარსი, 17. მეთ სტივენსი, 18. ტომ პალმერი, 19. ფილ დოუსონი, 20. ბენ იანგზი, 21. ჩარლი ჰოჯსონი, 22. მაიკ ბრაუნი.**



დევიდ სტრიტლი

# ვის დარჩება ხის კოვზი?

შოტლანდიის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების ბოლო ტურში სტუმრად ხვდება იტალიის ეროვნულ გუნდს. ამ მატჩში გაირკვევა „ხის კოვზის" ანუ ბოლო ადგილის მფლობელის ვინაობა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელი თავკაცის **ენდი რობინსონის** ხელმძღვანელობით „სკოტებმა" ექვსი ერის გათამაშებაში 14 მატჩიდან 11 წააგო. ამასთან ერთად, შოტლანდიელებს 1998 წლის შემდეგ ზედიზედ შვიდჯერ არ წაუგია. ამჟამად კი ამის საფრთხე რეალურია.

იტალიელები ბოლო ხანს საგრძნობლად მოღონიერდნენ და ყველა ელოდება, რომ მეტოქეს იოლად არაფერს დაუთმობენ. „სკუადრა აძურას" დაუბრუნდა გამოცდილი პირველხაზელი **მარტინ კასტროჯოვანი.** ერთი ცვლილებაა შოტლანდიელთა რიგებშიც. ტრავმირებული **ლი ჯოუნზის** ნაცვლად ითამაშებს **ნიკ დე ლუკა.**

**იტალია: 15. ანდრეა მასი, 14. ჯიოვანი ვენდიტი, 13. ტომაზო ბენვენუტი, 12. გონსალო კანალე, 11. მირკო ბერგამასკო, 10. კრისტოფერ ბარტონი, 9. ედუარდო გორი. 1. ანდრეა ლო ჩიჩერო, 2. ლეონარდო ჯილარდინი, 3. მარტინ კასტროჯოვანი, 4ქუენტინ გელდენჰაუზი, 5. მარკო ბორტოლამი, 6. ალესანდრო ძანი, 7. რობერტ ბარბიერი, 8. სერჯო პარისე.**

**16. ტომაზო დაპიკე, 17. ლორენცო ჩიტადინი, 18. ჯოშუა ფურნო, 19. სიმონე ფავარო, 20. მანოა ვოსავაი, 21. ტობიას ბოტესი, 22. ჯულიო ტონიოლატი.**

**შოტლანდია: 15. სტიუარტ ჰოგი, 14. მაქს ევანსი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. გრეიგ ლაიდლოუ, 9. მაიკ ბლერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ჯეფ კროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ჯონ ბარკლი, 7. როს რენი, 8. დევიდ დენტონი.**

**16. სკოტ ლაუსონი, 17. ევან მურეი, 18. ალისტერ კელოკი, 19. რიჩი ვერნონი, 20. კრის კაზიტერი, 21. რუარიდ ჯექსონი, 22. ჯეკ კატბერტი.**

### ექვსი ერი
### V ტური

იტალია-შოტლანდია, უელსი-საფრანგეთი, ინგლისი-ირლანდია.

### სატურნირო მდგომარეობა

1. უელსი - 8 ქულა, 2. ინგლისი - 6, 3. ირლანდია - 5, 4. საფრანგეთი - 5, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



მაიკ დ'ენტონი

# ამას ველოდით...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ნიუ იორკ ნიქსის“ ხელმძღვანელობამ არ აპატია მთავარ მწვრთნელს **მაიკ დ'ენტონის** ზედიზედ ექვსი წაგება და იტალიური წარმოშობის სპეციალისტი თანამდებობიდან დაითხოვა.

„ნიქსმა“ მეექვსე შეხვედრა ორი დღის წინ, „ჩიკაგოსთან“ წააგო და დ'ენტონი ამის შემდეგ დაითხოვეს პოსტიდან. როგორც წერენ, „ნიუ იორკს“ სეზონის ბოლომდე დ'ენტონის ასისტენტი **მაიკ ვუდსონი** უხელმძღვანელებს. შემდეგ კი გუნდს ახალ მწვრთნელს მოუძებნიან. დადის ჭორები იმის შესახებ, რომ „ნიქსი“ შესაძლოა ლეგენდარულ **ფილ ჯექსონს** ჩააბარონ. მეორე კანდიდატია კენტუკის უნივერსიტეტის მთავარი მწვრთნელი **ჯონ კალიპარი**. გუშინ გვიან გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ „მედისონ სკვერ გარდენის“ ბინადარის გაწვრთნის სურვილი „იუტას“ ყოფილმა დამრიგებელმა **ჯერი სლოუნმა** გამოთქვა.

ამ სეზონში დ'ენტონის მთავარი მიღწევა ის არის, რომ მან აღმოაჩინა და თავის გამოჩენის შანსი მისცა **ჯერემი ლინს**. იმ პერიოდში გუნდმა ზედიზედ რამდენიმე მატჩი მოიგო, მაგრამ მოედანს დაუბრუნდა **კარმელო ენტონი** და მას შემდეგ „ნიქსმა“ 10-დან 8 მატჩი წააგო.

დ'ენტონი 2008 წელს ჩაუდგა სათავეში „ნიქსს“. მას ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომლის ღირებულება 24 მილიონ დოლარს შეადგენდა. ამ ხელშეკრულებით დ'ენტონი ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი გახლდათ.




ნიქსი ახალი მწვრთნელის გარშემო

# დ'ენტონი წავიდა, ნიქსი გამარჯვებულია

**მაიკ დ'ენტონის** გადაყენებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, „ნიუ იორკმა“ მორიგი მატჩი ჩაატარა რეგულარულ ჩემპიონატში.

როგორც ჩანს, ამ გუნდს სწორედ დ'ენტონი უშლიდა ხელს. სხვანაირად არ აიხსნება ის, რაც „ნიქსისა“ და „პორტლენდის“ შეხვედრაში მოხდა. ნიუიორკელებმა ძალიან დამაჯერებლად შეწყვიტეს ექვსმატჩიანი წაგებათა სერია.

„ნიქსმა“ პირველ ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი. საწყისი მეოთხედი მან 13 ქულით მოიგო, ასეთივე იყო სხვაობა მეორე 12-წუთეულში და დიდი შესვენებისთვის „ნიუ იორკი“ გასახდელში 26-ქულიანი უპირატესობით გავიდა.

„პორტლენდი“ დანებებას არ აპირებდა და ამ ჩამორჩენას მესამე მეოთხედში ოთხი ქულა ჩამოაკლო, მაგრამ მატჩის ბოლო ნაწილი სტუმრებისთვის ნამდვილ კოშმარად გადაიქცა. ბოლო 12 წუთში „ნიქსმა“ 43 ქულა ჩააგდო და მეოთხედი 20 ქულის სხვაობით მოიგო, რითაც დააფიქსირა საბოლოო ანგარიში – 121:79. „ნიუ იორკმა“ 42 ქულით გაიმარჯვა.

„ნიქსის“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა **ვუდსონმა** რამდენიმე სიახლე შეიტანა თავისი გუნდის თამაშში. მაგალითად, ოდნავ შეუმცირა სათამაშო დრო **ჯერემი ლინს** და თავის გამოჩენის საშუალება მისცა ვეტერან გამთამაშებელ **ბაირონ დევისს**, რომელმაც 10 შედეგიანი გადაცემით დაასრულა მატჩი.

ასევე გამოიყენა ბოძებული შანსი **ჯეი არ სმიტმა**, რომელიც 23 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო. რაც შეეხებათ ლიდერებს, **კარმელო ენტონიმ** და **ამარე სტაუდმაიერმა** შესაბამისად, 16 და 17 ქულა დააგროვეს.

**ნიუ იორკი–პორტლენდი 121:79**

25:12, 30:17, 23:27, 43:23

**ნ-ი:** სმიტი (23), ნოვაკი (20), სტაუდმაიერი (17+8 მოხსნა), ენტონი (16+7 პასი), შუმპერტი (16), დევისი (4+10 პასი).

**პ:** ოლდრიჯი (15+7 მოხსნა), უოლასი (15+12 მოხსნა), ბებიტი (12+5 მოხსნა).

# მოგება როუზის გარეშე

დღის ცენტრალური მატჩი ჩიკაგოში შედგა - „ბულზი“ „მაიამი ჰიტის“ წინააღმდეგ. ბევრის აზრით, სწორედ ასეთი იქნება აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალური წყვილი.

ცნობილია, რომ **ტიმ ტიბოდოს** გუნდს მთელი სეზონია ტრავმები სდევს თან. **ჰემილტონი** უფრო ხშირად მკურნალობს, ვიდრე თამაშობს, მწყობრიდან გამოვიდა **დენგი**, მატჩები გამოტოვეს **უოტსონმა** და **ნოამ**. მაგრამ მთავარი დანაკლისი, რა თქმა უნდა, **დერიკ როუზია**. მისი აღიარებით (რომლის გამოც ის 25 ათასი დოლარით დააჯარიმეს), მას სხვა სუპერვარსკვლავებზე მეტი ხვდება და ამას მსაჯები ყურადღებას არ აქცევენ.

სწორედ როუზის გარეშე თამაშობდა „ჩიკაგო“ გუშინდელ შეხვედრას, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვების მოპოვება. დერიკის არყოფნით წარმოქმნილი ხვრელი კარგად ამოავსო მატჩის ერთ-ერთმა გმირმა **ჯონ ლუკასმა**. 29 წლის რეზერვისტმა 27 წუთში 24 ქულა დააგროვა (თამაშიდან - 9/12) და ორი საჯარიმო ჩააგდო, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა.

საერთო ჯამში, „ჩიკაგოს“ სათადარიგოთა სკამმა აჯობა „მაიამის“ რეზერვისტებს, თანაც სამარცხვინო ანგარიშით - 56:15. ისე გამოვიდა, რომ საუკეთესო მოთამაშის გარეშე და მეორე ვარსკვლავის - **კარლოს ბუზერის** მხოლოდ ორი ქულით, „ხარებმა“ დაამარცხეს უპრინციპულესი მეტოქე და ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი. **ლებრონ ჯეიმსმა** და ჩიკაგოში დაბადებულმა **დუეინ უეიდმა** ერთად 71 ქულა დააგროვეს (მეტოქის სასტარტო ხუთეულის 50 ქულის წინააღმდეგ). მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

მეორე მეოთხედის დასაწყისში „ბულზმა“ 21:5 გაქცევა მოახერხა და ეს მონაკვეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა. სტუმრები მთელი ძალით ცდილობდნენ თამაშის სცენარის შეცვლას და მესამე მეოთხედის სტარტზე მაქსიმალურად მიუახლოვდნენ მეტოქეს - 53:57. მაგრამ „ბულზმა“ ისევ იპოვა საკუთარ თავში რეზერვი და მორიგი გაქცევა მოაწყო - 19:4.

ბოლო შტურმი სამხრეთელებს ბოლოსკენ ჰქონდათ. საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე **ჯეიმს ჯონსმა** სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა. ჯარიმის ასაღებად ფლორიდელებს მხოლოდ წამი დასჭირდათ. **კორვერ ჯონსის** ორ ზუსტ საჯარიმოს კიდევ ერთი სამქულიანი მოჰყვა - 102:104. მესამედ ასეთი ხრიკი „ჰიტს“ არ გაუვიდა და ვერც უშველიდა, რადგან ლუკასმა მშვიდად გამოიყენა ორივე თავისუფალი ტყორცნა.

**ჩიკაგო–მაიამი 106:102**

19:23, 34:19, 28:28, 25:32

**ჩ:** ლუკასი (24), ნოა (14+6 მოხსნა+4 დაფარება), ბრიუერი (12+6 მოხსნა), კორვერი (12), დენგი (11+5 მოხსნა), უოტსონი (11).

**მ:** უეიდი (36+7 მოხსნა), ჯეიმსი (35+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბოში (12).

**ინდიანა–ფილადელფია 111:94**

24:29, 30:22, 29:24, 28:19

**ი:** გრეინჯერი (20+7 მოხსნა), უესტი (18), ჰილი (17+7 მოხსნა), ჰიბერტი (14+9 მოხსნა+5 პასი+3 დაფარება), ჰენსბრო (14).

**ფ:** ტერნერი (21+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (17), ბრენდი (16+5 მოხსნა), იანგი (12), იგუოდალა (10+9 პასი).

**ნიუ ჯერსი–ტორონტო 98:84**

19:22, 22:24, 27:15, 30:23

**ნ-ჯ:** გრინი (26+3 ჩაჭრა), ჰემფრიზი (16+21 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), მოროუ (15), ფარმარი (10), პეტრო (10+6 მოხსნა).

**ტ:** ჯ. ჯონსონი (16+4 დაფარება), ბეილესი (16+10 პასი), დეროზანი (12+5 მოხსნა), ბარბოზა (11), ბარნიანი (10).

**მილუოკი–კლივლენდი 115:105**

23:28, 34:27, 27:23, 31:27

**მ:** ილიასოვა (22+8 მოხსნა), დანლივი (21+5 პასი), დელფინო (17+7 მოხსნა), ჯენინგსი (17+7 პასი+4 ჩაჭრა), გუდენი (15+13 პასი+10 მოხსნა), მბა ა მუტე (12+13 მოხსნა).

**კ:** ირვინგი (28+5 პასი), ჯი (19+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), გიბსონი (18), ჯეიმისონი (13+5 მოხსნა), სამუელსი (11).

**საკრამენტო–დეტროიტი 112:124**

32:25, 36:32, 23:40, 31:27

**ს:** ევანსი (23), ტომპსონი (21+15 მოხსნა), ტომასი (21), კაზინსი (14+7 მოხსნა), გარსია (12).

**დ:** სტაკი (35+6 პასი+5 მოხსნა), მონრო (32+11 მოხსნა), პრინსი (28+7 პასი+5 მოხსნა), ნაითი (10+11 პასი+5 მოხსნა).

**გ. სტეიტი–ბოსტონი 103:105**

25:21, 35:34, 17:26, 26:24

**გ-ს:** ტომპსონი (26), ლი (22+8 მოხსნა), რობინსონი (20+11 პასი+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), რაიტი (16+7 მოხსნა), მაკგუაიერი (10+3 ჩაჭრა).

**ბ:** გარნეტი (24+7 მოხსნა+5 პასი). ბასი (22+9 მოხსნა), პირსი (15+6 მოხსნა+6 პასი), პიეტრუსი (15), რონდო (3+14 პასი+6 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი–ლეიკერსი 101:107 (ო)**

28:20, 26:20, 16:30, 23:23, 8:14

**ნ-ო:** ჯეკი (30+6 პასი), კამანი (21+12 მოხსნა), ვასკესი (15+6 პასი), ბელინელი (10).

**ლ:** ბრაიანტი (33+5 პასი), ბინუმი (25+18 მოხსნა), გასოლი (18+10 მოხსნა), ფიშერი (11+3 ჩაჭრა), ბარნსი (10+5 მოხსნა).

**ჰიუსტონი–შარლოტი 107:87**

30:18, 20:22, 36:17, 21:30

**ჰ:** სკოლა (23), დრაგიჩი (14+10 პასი), ჰილი (14+8 მოხსნა), დალემბერი (12+10 მოხსნა), ბადინგერი (10+9 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**შ:** ბრაუნი (15+4 ჩაჭრა), მაგეტი (10), ჰენდერსონი (10), მალენსი (10), უილიამსი (10+3 ჩაჭრა).

**სან ანტონიო–ორლანდო 122:111**

36:35, 23:23, 30:26, 33:27

**ს-ა:** პარკერი (31+12 პასი), დანკანი (21+13 მოხსნა), ჯინობილი (14), სპლიტერი (12+6 მოხსნა), ლეონარდი (12+6 მოხსნა), ჯეფერსონი (11+5 მოხსნა).

**ო:** ნელსონი (25+7 პასი+5 მოხსნა), ჰოვარდი (22+12 მოხსნა+3 დაფარება), ანდერსონი (19+8 მოხსნა), თურქოგლუ (17).

**კლიპერსი–ატლანტა 96:82**

30:27, 20:15, 21:20, 25:20

**კ:** უილიამსი (25), ბლედსოუ (14+4 ჩაჭრა), ბატლერი (13), პოლი (13+9 პასი), გრიფინი (12+10 მოხსნა), ევანსი (6+10 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (19+5 პასი), სმიტი (18+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფაჩულია (12+10 მოხსნა), ტიგი (10+5 პასი).

**ფინიქსი–იუტა 120:111**

22:30, 31:23, 26:29, 31:29

**ფ:** ფრაი (26+9 მოხსნა+4 დაფარება), გორტატი (25+5 მოხსნა), დადლი (21), ჰილი (12+7 მოხსნა), ნეში (12+16 პასი).

**ი:** მილსეპი (18+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯეფერსონი (18+7 მოხსნა), ფეივორსი (14), ჰეივორდი (13), ტინსლი (11+8 პასი).




ჩიკაგო-მაიამი

# ბარბოზა ინდიანაში წავიდა

ბრაზილიელი მცველი **ლეანდრო ბარბოზა**, რომელიც მიმდინარე სეზონს „ტორონტო რეპტორზში“ იწყებდა, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე „ინდიან პეისერსში“ გადავიდა.

როგორც Yahoo!Sports წერს, კანადური კლუბი ბრაზილიელის სანაცვლოდ მხოლოდ მომავალი დრაფტის რამდენიმე არჩევანს მიიღებს. „ტორონტოს“ ეს ტრეიდი იმისთვის სჭირდებოდა, რომ გამოეთავისუფლებინა სახელფასო ბიუჯეტში 7.6 მილიონი დოლარი, რომელიც ამ სეზონში ბარბოზასთვის უნდა გადაეხადა.

29 წლის ბრაზილიელი NBA-ში ცხრაწლიანი კარიერის განმავლობაში საშუალოდ 12.2 ქულასა და 2.5 შედეგიან გადაცემას აგროვებს. მან 2007 წელს სეზონის საუკეთესო „მეექვსე“ მოთამაშის პრიზი მიიღო.

# დურანტმა სიეტლს უღალატა



„ოკლაჰომა სიტის“ ლიდერმა **კევინ დურანტმა** გასაყიდად გამოიტანა სიეტლში საკუთარი სახლი.

NBA-ის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა „სიეტლ სუპერსონიქსში“ მხოლოდ ერთი სეზონი ჩაატარა, რის შემდეგაც მისი გუნდი 2008 წელს ოკლაჰომაში გადავიდა და დღევანდელი სახელი მიიღო. სიეტლში თამაშისას კევინმა მოასწრო მდიდრული სახლის შეძენა, რომელიც მომდევნო ოთხი წელი პრაქტიკულად ცარიელი იყო. და ახლა, კალათბურთელმა სახლის გაყიდვა გადაწყვიტა. ამერიკული ტაბლოიდების ინფორმაციით, 550 კვადრატული მეტრი ფართობის სახლს დურანტი 2.8 მილიონ დოლარად ყიდის.

სახლის ახალი მფლობელი ამ თანხის სანაცვლოდ მიიღებს სახლს, რომლის ფანჯრებიდან შესანიშნავი ხედი იშლება, აქვს ხუთი საძინებელი, სამი სააბაზანო, სახლის კინოთეატრი, დაცვის შესანიშნავი სისტემა. ბედის ირონიით, სახლის ტერიტორიაზე ვერც ერთ საკალათბურთო ფარს ვერ იპოვით.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# დალასი კანადაში გააჩერეს



კოლორადო პლეი ოფის ზონაშია

დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში პლეი ოფის საგზურებისთვის. ამ მხრივ, გუშინდელი სათამაშო დღის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გაიმართა ბაფალოში, სადაც ადგილობრივი კლუბი „კოლორადოს" მასპინძლობდა. ორივე გუნდი ძალიან ახლოს იმყოფება პლეი ოფის ზონასთან.

შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და სამივე პერიოდი ფრედ დასრულდა. „ბაფალო" ორჯერ გავიდა წინ პირველ პერიოდში და „კოლორადომ" ორჯერვე გაათანაბრა ანგარიში. მეორეში „ეველანში" პირველად დაწინაურდა, მაგრამ ახლა მასპინძლებმა შეძლეს თანაფარდობის აღდგენა..

მაინც უფრო ახლოს გამარჯვებასთან „ბაფალო" იყო, რომელიც მესამე პერიოდში კიდევ ერთხელ გავიდა წინ და ორი წამი არ ეყო გამარჯვების მოსაპოვებლად. საფინალო სირენამდე ორი წამით ადრე კოლორადოელმა **მაკგინმა** ოვერტაიმში გადაიყვანა შეხვედრა. დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა, ბულიტების სერიაში კი ერთადერთი ზუსტი დარტყმა კოლორადელ **მიულერს** ჰქონდა.

„კოლორადო" ამ მოგებით პლეი ოფის ზონაში შევიდა, „ბაფალო" კი აღმოსავლეთში ოთხი ქულით ჩამორჩება მერვეადგილოსან „ვაშინგტონს".

ცდილობს „ვაშინგტონს" არ ჩამორჩეს „ვინიპეგი", რომელიც საკუთარ მოედანზე ილებდა „დალასს". „ვარსკვლავები" კანადაში ექვსმატჩიანი მოგებათა სერიით ჩავიდნენ, გარდა ამისა, ისინი ზედიზედ 11 შეხვედრაში აგროვებდნენ მინიმუმ ქულას. მაგრამ „ჯეტსმა" მოახერხა იოლი გამარჯვების მოპოვება - 5:2. მთავარი მოვლენები მეორე პერიოდში განვითარდა, რომლის დროსაც „ვინიპეგმა" ახალგაზრდა მეკარე **რიჩარდ ბეკმენს** ოთხი შაიბა გაუტანა, რამაც განსაზღვრა ამ მატჩის ბედი. მასპინძლებიდან ორი შაიბა **ლედმა** გაიტანა, იგივე შედეგი ჰქონდა სტუმარ **ლუი ერიქსონს**. „ვინიპეგი" ოთხი ქულით ჩამორჩება „ვაშინგტონს" და უახლოეს მატჩში სწორედ ამ გუნდს ეთამაშება.

ხასიათი გაუფუჭა „ოტავას" „მონრეალმა", რომელმაც „სენატორები" საკუთარ მოედანზე 3:2 დაამარცხა. „კანადიენსი" ორჯერ გავიდა წინ, სტუმრებმა ორჯერვე გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ ბულიტების სერიაში **დავიდ დეშარნეს** ერთადერთმა გოლმა დამატებითი ქულა „მონრეალს" მოუტანა. საინტერესოა, რომ 25 წლის დეშარნე, რომელიც პირველ სრულფასოვან სეზონს ატარებს NHL-ში, 55 ქულით კლუბის მეორე ბომბარდირია და მხოლოდ **მაქს პასიორეტის** ჩამორჩება.

დასავლეთში მოულოდნელად ზედიზედ მესამე მატჩი წააგო „დეტროიტმა" - ის 0:4 დამარცხდა „ანაჰაიმთან". მატჩის წინ გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელიც „იხვების" 37 წლის ფორვარდ **საკუ კოივუს** მიეძღვნა. მან ორი დღით ადრე საიუბილეო - მე-1000 შეხვედრა ჩაატარა NHL-ში. კოივუ მეხუთე ფინელი ჰოკეისტია, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. მანამდე იგივე გააკეთეს **ტეპო ნუმინენმა, იარი კურიმ, ოლი იოკინენმა** და **ტეემუ სელიანემ**. სხვათა შორის, გუშინ ეს უკანასკნელიც მოექცა ყურადღების ცენტრში - ლეგენდამ კარიერაში 1400-ე ქულა მიითვალა. „ანაჰაიმი" ჯერ ისევ ფიქრობს პლეი ოფში მოხვედრაზე, მაგრამ ცხრაქულიანი ჩამორჩენა მერვე ადგილთან მეტად დიდია.

სათამაშო დღე „ვანკუვერსა" და „ფინიქსს" შორის უმნიშვნელოვანესი შეხვედრით დასრულდა. „კოიოტებმა" გასვლით შეხვედრაში ხასიათი გამოავლინეს და 5:4 გაიმარჯვეს. არიზონელები მატჩის მსვლელობისას 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, მეორე 20-წუთეულში კი წინ გასვლაც მოახერხეს - 4:3. ბოლო პერიოდის სტარტზე **ტიპეტის** გუნდმა ორშაიბიანი უპირატესობა მოიპოვა და ეს საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად. ამით „ფინიქსმა" ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა „დალასთან".

„ვანკუვერისთვის" კარგი ამბავი ის არის, რომ, როგორც იქნა, გაილვიძეს ძმებმა **სედინებმა**, რომლებმაც ერთად სამი ქულა დააგროვეს.

**ბაფალო-კოლორადო 4:5 (ბ)**

**2:2, 1:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ფოლინო-2 (ენისი-9, სტეფორდი-23), 1:1 მაკგინი-18 (პ. შჩასტნი-28), 2:1 სტეფორდი-14, 2:2 დ. ჯონსი-17 (ო'ბრაიენი-14, რ. უილსონი-18), 2:3 ლანდესკოგი-20 (მიულერი-7, პ. შჩასტნი-29), 3:3 ფოლინო-3 (სტეფორდი-24, ენისი-10), 4:3 ზულცერი-1 (ბოიესი-13, ენისი-11), 4:4 მაკგინი-19 (რ. ო'რაილი-35, ლანდესკოგი-26).

**ბულიტები გაიტანეს:** მიულერი (კოლორადო).

**ვინიპეგი-დალასი 5:2**

**1:0, 4:1, 0:1**

**გოლები:** 1:0 ანტროპოვი-11 (მიეტინენი-5, კლიტსომი-12), 2:0 ე. კეინი-28 (ბურმისტროვი-14, უელვუდი-26), 3:0 ფერი-2, 4:0 ლედი-22 (ლიტლი-20, ველერი-40), 5:0 ლედი-23 (ბაფლინი-34, ველერი-41), 5:1 ლ. ერიქსონი-24 (რიბეირო-38), 5:2 ლ. ერიქსონი-25 (რაიდერი-24, გოლიგოსკი-19).

**მონრეალი-ოტავა 3:2 (ბ)**

**1:1, 0:0, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 ე. კოული-27 (ნოკელაინენი-3, პალუშაი-2), 1:1 გრინინგი-14 (მ. მიხალეკი-20, სპეცა-45), 2:1 დეშარნე-16 (სუბანი-25, პასიორეტი-28), 2:2 ე. კარლსონი-19 (კუბა-22, სპეცა-46).

**ბულიტები გაიტანეს:** დეშარნე (მონრეალი).

**ედმონტონი-კოლამბუსი 3:0**

**0:0, 2:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-16 (ებერლე-36), 2:0 ტ. ჰოლი-27 (ჰორკოფი-21, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-27), 3:0 უმარკი-2 (რ. სმიტი-25).

**ვანკუვერი-ფინიქსი 4:5**

**2:2, 1:2, 1:1**

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-24 (ჰანსენი-19, ტანევი-2), 2:0 კესლერი-22 (ჰ. სედინი-54, ბაროუზი-22), 2:1 კლესლა-3 (ვერმეტი-22, რეი უიტნი-42), 2:2 დოუნი-21 (ვერმეტი-23, რეი უიტნი-43), 2:3 ეკმან-ლარსონი-10 (კორპიკოსკი-18, რეი უიტნი-44), 3:3 ბუტი-14 (ჰიგინსი-24, ბიეკსა-32), 3:4 ბრიული-4 (პიატი-9, იენდლი-31), 3:5 ვერმეტი-10 (ეკმან-ლარსონი-18, დოუნი-24), 4:5 ჰამჰუისი-4 (დ. სედინი-37, ჰ. სედინი-55).

**ანაჰაიმი-დეტროიტი 4:0**

**0:0,. 3:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 სელიანე-23 (ფაულერი-22, ს. კოივუ-22), 2:0 პალმიერი-2, 3:0 რაიანი-26 (გეტცლაფი-38, ვიშნოვსკი-18), 4:0 პალმიერი-3 (გეტცლაფი-39, სიბრუკი-9).

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ბილბაო-მანჩესტერ იუნ | 2:1 (3:2) |
| ჰანოვერი-სტანდარდი | 4:0 (2:2) |
| ეინდჰოვენი-ვალენსია | 1:1 (2:4) |
| უდინეზე-ალკმაარი | 2:1 (0:2) |
| ბეშიქთაში-ატლეტიკო | 0:3 (1:3) |
| მანჩესტერ სიტი-სპორტინგი | 3:2 (0:1) |
| ოლიმპიაკოსი-მეტალისტი | 1:2 (1:0) |
| შალკე-ტვენტე | 4:1 (0:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| გეფლე-მიალბიუ | 0:0 |
| ალტა-კონგსვინგერი | 2:1 |
| ჰამარბიუ-ენისეი | 3:2 |
| სტრომენი-მიონდალენი | 3:0 |
| ბრინი-ჰიოდი | 0:4 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კობლენცი-ლოტე | 0:0 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ოცელული-ვასლუი | 2:3 |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ლოკომოტივი (პ)-ლევსკი | 1:1 დ.დ. 2:1 |
| სეპტემვრი-ცსკა | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროჩელენჯი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ტრიუმფი-ფუენლაბრადა | 68:78 |
| ბეშიქთაში-არტლანდი | 77:63 |
| შოლნოკი-ვენტსპილსი | 82:76 |
| როანი-შალონი | 76:78 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-კრემონა | 79:61 |
| **თურქეთი** | |
| ალიაგა-ანადოლუ | 68:79 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| [illegible]-ატლეტიკო | 27:36 |
| **ჰოკეი** | |
| **[illegible]** | |
| სკა-ატლანტი | 7:1 |
| ტორპედო-დინამო | 3:2 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ლინცი-ოლიმპია | 5:2 |
| ზაგრები-კლაგენფიურტი | 2:5 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-აუგსბურგი | 3:1 |
| **დანია** | |
| სონდერიისკი-ჰერნინგი | 1:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ბისტრიცა | 2:1 (ო) |
| სკალიცა-ზვოლენი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-იოკერიტი | 3:4 (ო) |
| ილვესი-კალპა | 5:4 (ო) |
| პელიკანსი-ტაპარა | 6:0 |
| საიპა-ლუკო | 4:3 |
| ჰიფკ-ჰპკ | 5:3 |
| ესეტი-ტპს | 5:1 |
| იუვიასკიულა-კერპეტი | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ქლინი-პლზენი | 5:4 (ო) |
| ბრნო-სპარტა | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 4:3 (ო) |
| ჰვ71-ფერიესტადი | 4:3 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ჯოკოვიჩი-ალმაგრო | 6:3, 6:4 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ბარტოლი-ივანოვიჩი | 3:6, 4:6 |

## TV პროგრამა

**16 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
12:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ბილბაო-მანჩესტერ იუნ. საპასუხო მატჩი.
14:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ეინდჰოვენი-ვალენსია. საპასუხო მატჩი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. მანჩესტერ სიტი-სპორტინგი. საპასუხო მატჩი.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. შალკე-ტვენტე. საპასუხო მატჩი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ჰანოვერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-ბარსელონა.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა.
22:15 NBA Action.
22:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
14:00 სპორტ-NEWS.
14:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. ირლანდია-შოტლანდია.
16:30 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
17:30 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. რასინგი-ოლ ბოისი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-დალასი.
21:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტური. უელსი-იტალია.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

# გლობუსების კოლექცია

ავსტრიის კურორტ შლადმინგში გრძელდება წლევანდელი მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპი. სწრაფდაშვების შემდეგ ჯერი მეორე ჩქაროსნულ დისციპლინაზე - სუპერგიგანტზე მიდგა. ქალებს შორის, რა თქმა უნდა, ფავორიტად **ლინდსი ვონი** მიიჩნეოდა, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა გარანტირებული ამ კატეგორიაში ბროლის მცირე გლობუსი.

ამერიკელმა თითქმის დაამტკიცა ფავორიტის სტატუსი, მაგრამ, საბოლოოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან. საქმე ისაა, რომ ბოლო საშუალედო ფინიშზე ვონი წამსა და 22 მეასედს უგებდა იმ მომენტისთვის ლიდერს, გერმანელ **ვიქტორია რებენსბურგს**, მაგრამ ტრასის ქვედა ნაწილში უხეში შეცდომა დაუშვა და თითქმის ორი წამი დაკარგა. ამით ლინდსიმ რებენსბურგთან 57 მეასედი წამი წააგო და საბოლოოდ, მეექვსე დრო აჩვენა.

მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა სუპერ-გიგანტში მსოფლიოს თასის მოსაგებად. რბოლის წინ, ვონი 94 ქულას უგებდა უახლოეს კონკურენტს **ანა ფენინგერს**. ეს უკანასკნელი თასს იმ შემთხვევაში მოიგებდა, თუ ეტაპზე გაიმარჯვებდა, ხოლო ვონი ქულათა ზონაში ვერ შევიდოდა. ფენინგერი მეოთხე მივიდა ფინიშთან და ბროლის მცირე გლობუსი ვონს დარჩა. ლინდსიმ კარიერაში მეოთხედ გაიმარჯვა ამ კატეგორიის ჩათვლაში. წელს მან შვიდი სუპერგიგანტიდან ოთხი მოიგო.

ასე რომ, ამერიკელმა წელს ბროლის გლობუსების შთამბეჭდავი კოლექცია შეაგროვა: მოიგო მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა, სუპერკომბინაცია, სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი.

რაც შეეხება ეტაპს, რებენსბურგმა 0.18 წამი მოუგო ამერიკელ **ჯულია მანკუზოს** და 0.21 წამი ფრანგ **მარიონ როლანდს** და კარიერაში პირველად გაიმარჯვა სუპერგიგანტის ეტაპზე. მანკუზოს მეორე ადგილი კი იმას ნიშნავდა, რომ მან ფენინგერს გაუსწრო და სუპერგიგანტის ჩათვლაში მეორე პოზიცია დაისაკუთრა.

■ ■ ■

წელს, მამაკაცებს შორის სუპერგიგანტს გამორჩეული ლიდერი არ ჰყოლია. ამ კატეგორიაში ჯამში რვა რბოლა გაიმართა და რვავეს სხვადასხვა გამარჯვებული ჰყავდა. თუ გუშინდელ სტარტს არ ჩავთვლით, სხვებზე სტაბილური სუპერგიგანტში ნორვეგიელი **აქსელ-ლუნდ სვინდალი** იყო და სწორედ მან მოიპოვა ამ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსი.

არადა, სვინდალმა ჩააგდო გუშინდელი ეტაპი - მხოლოდ მე-16 დრო აჩვენა და კინაღამ დაკარგა ამ დისციპლინის ჩათვლაში პირველობა. მისმა უახლოესმა კონკურენტმა **დიდიე კუშმა** მეცხრე დრო აჩვენა და მხოლოდ 13 ქულით ჩამორჩა ნორვეგიელს. შვეიცარიელი ორი საფეხურით მაღლა რომ ასულიყო, სუპერგიგანტში მსოფლიოს თასი სწორედ მას ერგებოდა და ეს იქნებოდა მისი ბრწყინვალე კარიერის ეფექტური დასასრული. მოგეხსენებათ, ამ სეზონის შემდეგ კუში ასრულებს აქტიურ კარიერას.

ამასობაში, დაიძაბა სიტუაცია მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში. ლიდერმა, შვეიცარიელმა **ბიტ ფოიცმა** გუშინ ვერ დაასრულა დისტანცია და კარგი შანსი მისცა მთავარ კონკურენტს, ავსტრიელ **მარსელ ჰირშერს**. ამ უკანასკნელმა გუშინდელი ეტაპი მესამე ადგილზე დაასრულა და 75 ქულამდე შეამცირა სხვაობა შვეიცარიელთან.




სუპერ-გიგანტის ლაურეატები

არადა, ჰირშერი კარიერაში მხოლოდ მეოთხედ ილებდა მონაწილეობას სუპერ-გიგანტის სტარტში.

სეზონის დასრულებამდე გიგანტური სლალომი და სლალომია დარჩენილი. ეს ის დისციპლინებია, რომლებშიც ჰირშერი განსაკუთრებით ძლიერია. საკმარისია გაგახსენოთ, რომ მან წელს ამ კატეგორიებში რვა გამარჯვებას მიაღწია, თანაც ის საკუთარი გულშემატკივრების წინაშე გამოდის.

გუშინდელი ეტაპი მსოფლიოს ჩემპიონმა, იტალიელმა **კრისტოფ ინერჰოფერმა** მოიგო. ფრანგი **ალექსის პინტურო** მას 0.02 წამით ჩამორჩა, ჰირშერი - 0.06 წამით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი



# პირველი ლედი კორტზე

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედი **მიშელ ობამა** სტუმრად ეწვია სტუდენტთა ოლიმპიურ თამაშებს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა მერილენდისა და ვირჯინიას შტატებიდან, აგრეთვე კოლუმბიას ოლქიდან. შეჯიბრებები ვაშინგტონში ამერიკის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაიმართა.

ქალბატონმა ობამამ ჩოგბურთი ითამაშა თავისი საქველმოქმედო კამპანიის - Let's Move-ის ეგიდით. ღონისძიებაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელმა, უიმბლდონის ყოფილმა ფინალისტმა **მალივეი ვაშინგტონმა**, კალათბურთელმა **ლიზა ლესლიმ** და პარალიმპიელმა ოლიმპიელმა **ჯონ რეჯისტერმა**.

კრივი

# მოკვეთილი ჩისორა



ჩისორას ეს არ აპატიეს

ძვირად დაუჯდა **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლის წინ და შემდეგ მუშტების ქნევა ბრიტანელ მძიმეწონოსან **დერეკ ჩისორას**.

ცნობილი და ხმაურიანი სკანდალების გამო, ბრიტანეთის კრივის კონტროლის საბჭომ გაურკვეველი ვადით ჩამოართვა საკრივო ლიცენზია ბრიტანელ მოკრივეს. ასე რომ, ჩისორა ვერ შეძლებს მთავარი საკრივო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ბრძოლებში მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ 18 თებერვალს, WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ბრძოლის წინ, ჩისორამ ტრადიციულ აწონვის ცერემონიაზე სილა გააწნა უკრაინელ ჩემპიონს. უშუალოდ ბრძოლის დაწყებამდე, დერეკმა რინგზე პირში დაგუბებული წყალი სახეში შეასხა **ვლადიმერ კლიჩკოს**, ხოლო ბრძოლის შემდეგ პრესკონფერენციაზე ხელჩართული ბრძოლა გაუმართა თანამემამულე **დევიდ ჰეის**.

■ ■ ■

ამერიკელი მოკრივე **ელოი პერესი** კოკაინის მიღებაში გამოიჭირეს. მან ვერ გაიარა დოპინგტესტი საჩემპიონო ბრძოლის შემდეგ, რომელშიც 25 თებერვალს თანამემამულე **ედრიენ ბროუნერს** ეჩხუბა. პერესმა ეს შეხვედრა მეოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით წააგო.

დოპინგტესტი მისურის შტატის ათლეტური კომისიის სპეციალისტებმა ჩაატარეს. შედეგები 13 მარტს გამოქვეყნდა, რის შემდეგაც პრომოუტერულმა ჯგუფმა The Garcia Boxing Management Team-მა გაწყვიტა კონტრაქტი ამერიკელ მოკრივესთან.

25 წლის პერესი 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პროფესიულ რინგზე მან 27 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 23 (7 - ნოკაუტით), ერთხელ დამარცხდა და ორი ბრძოლა ფრედ დასრულდა. ერთი ჩხუბის შედეგი გაუქმებულად გამოცხადდა.

ბროუნერისა და პერესის ბრძოლაში თამაშდებოდა 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის საჩემპიონო ქამარი, რომლის მფლობელი ბროუნერი გახლავთ.

ფორმულა 1

# არგენტინა გადაწყვეტილია?

არგენტინის პრეზიდენტმა **კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა** განაცხადა, რომ 2013 წელს ქვეყანა წარმოდგენილი იქნება ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში, - ამის შესახებ სააგენტო EFE იტყობინება.

როგორც ვარაუდობენ, რბოლა ნოემბერში გაიმართება. არგენტინული მხარე სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, რომელ რბოლას ჩაანაცვლებს არგენტინის გრანპრი კალენდარში.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელად არგენტინული ეტაპი 1998 წელს გაიმართა.

ტურნირები

# მხოლოდ ნადალს არ უჭირს

გუშინ, ინდიან უელსის ტურნირზე ერთეულთა თანრიგში ერთბაშად ათი მატჩი გაიმართა – მამაკაცებს შორის სრულად ჩატარდა მერვედფინალური ეტაპი, აგრეთვე გაიმართა ორი მეოთხედფინალი ქალებს შორის.

**ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **პაბლო ანდუხარის** მატჩში ყველა დარწმუნებული იყო, რომ სერბი იოლად გაანადგურებდა ესპანელს. ნოვაკმა სწრაფად შეძლო მეტოქის ფსიქოლოგიურად გატეხვა – სამმაგი გეიმბოლიდან აიღო ანდუხარის მოწოდება. პაბლოს არც დარტყმები გამოსდიოდა და არც მოწოდება, ორჯერ ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომაც დაუშვა და საბოლოოდ, სეტი "მშრალი" ანგარიშით დათმო. სერბი მშვიდად გამოიყურებოდა, არ ცდებოდა და კლასიკურ კომბინაციებს ათამაშებდა. გასაკვირია, მაგრამ 0:6-მა ანდუხარი დაამშვიდა და ზედმეტი დაძაბულობა მოუხსნა. მეორე სეტის დასაწყისში თავის მოგებულ გეიმს ის ღიმილით და ირონიულად ხელების მაღლა აწევით შეხვდა. ისე ჩანდა, რომ ის შეგუებული იყო წაგებას.

თუმცა ესპანელი დანებებას არ აპირებდა. პირველ რიგში, მან მოწოდება გამოასწორა, დარტყმის ძალას მოუმატა და მიზანიც გაასწორა. სეტის ბოლოს ანდუხარს ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა – პირველი მოწოდებით ქულების 100 (!) პროცენტი მოიგო. რა თქმა უნდა, ამას ჯოკოვიჩმაც შეუწყო ხელი, რადგან მიღებისას ძალიან ბევრს ცდებოდა. გარდა ამისა, სერბს სერიოზული ხარვეზები ჰქონდა საკუთარ გეიმებში. თუმცა ხასიათის სიმტკიცე არსად გამქრალა - ნოვაკმა შვიდი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა იქ სამართლიანობამ იზეიმა და ანდუხარმა დამსახურებულად მოიგო პარტია.

ეს სეტი საათზე მეტხანს გაგრძელდა და ეტყობოდა, რომ ესპანელს ძალები ეცლებოდა. სავსებით ლოგიკურია, რომ გადამწყვეტი სეტის დასაწყისში ანდუხარმა კონცენტრაცია დაკარგა და ეს საკმარისი აღმოჩნდა ჯოკოვიჩისთვის, რომ მას ბრეიკით წაეყვანა ანგარიში. ამის შემდეგ პაბლომ დაიბრუნა დამაჯერებელი მოქმედება, მიღებაზე შანსებიც გაუჩნდა, მაგრამ სერბის მოწოდების აღება მაინც ვერ შეძლო – 6:0, 6:7(5), 6:2 ჯოკოვიჩის სასარგებლოდ. ნოვაკის შემდეგი მეტოქე **ნიკოლას ალმაგრო** იქნება, რომელმაც მოულოდნელად ძალიან იოლად მოუგო **ტომაშ ბერდიხს** – 6:4, 6:0. ორივე ცუდად თამაშობდა, განსაკუთრებით ჩეხი – მას მხოლოდ ცხრა "ვინერსი" და 31 უნებლიე შეცდომა ჰქონდა.

ჯოკოვიჩს არ ჩამორჩა **როჯერ ფედერერი** და მანაც ზედიზედ მეორე მატჩში დათმო სეტი. შვეიცარიელის გუშინდელი მეტოქე – **ტომაშ ბელუჩი** წინა მოწინააღმდეგის **მილოშ რაონიჩის** მსგავსად კარგად აწვდის, მაგრამ ეს არ არის გამართლება მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომრისთვის. როჯერი ცუდად გამოიყურებოდა, არ მისდიოდა დარტყმები და შედეგად, ბრაზილიელმა დამსახურებულად და დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი ორი ბრეიკით. მაგრამ შვეიცარიელი არ აღელვებულა და თავის შანსს დაელოდა. მეორე და მესამე პარტიების ბოლოს ბელუჩიმ აშკარად შეარბილა თამაში და მაინც დათმო ქულები გადამწყვეტ მომენტებში – 3:6, 6:3, 6:4 ფედერერის სასარგებლოდ.

ფავორიტებს შორის ყველაზე დამაჯერებლად **რაფაელ ნადალმა** ითამაშა. მან **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** დაამარცხა – 6:3, 6:2. უკრაინელის შემტევი სტილი მოსახერხებელი აღმოჩნდა ესპანელისთვის, რადგან მეტოქე ბევრ შეცდომას უშვებდა და თან ნადალი კარგად მოქმედებდა კონტრშეტევებზე. სულ სხვა თამაში ელის მას მეოთხედფინალში **დავიდ ნალბანდიანის** წინააღმდეგ, რომელიც თითქოს უიმედოდ აგებდა **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან**, მაგრამ მატჩბოლი მოიგერია და შემდეგ „მოშლილ" ფრანგს სამ სეტში მოუგო – 3:6, 7:5, 6:3.

კინაღამ შემოატრიალა წაგებული მატჩი **რაიან ჰარისონმა**. პირველ სეტში მარცხის შემდეგ, ის 2:5-ს აგებდა მეორე პარტიაში. ფრანგმა მატჩბოლზე „სმეში" ააცილა, 5:3-ზე კიდევ ორი მატჩბოლი ვერ გამოიყენა. საბოლოოდ, ამერიკელმა საქმე მესამე პარტიამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ძალები არ ეყო. ჩოგბურთელები დიდი ხანი ათამაშებდნენ ბურთს და ერთი გათამაშება 46 დარტყმისგან შედგებოდა. საბოლოოდ, 7:6(0), 5:7, 6:1 სიმონის სასარგებლოდ.

დღის ბოლოს კარგი თამაშით გაახარეს მაყურებელი **ხუან-მარტინ დელ პოტრომ** და **დენის ისტომინმა**. უზბეკმა დიდი ბრძოლა გაუმართა აშშ-ის ღია პირველობის ყოფილ ჩემპიონს. ისტომინი წყობიდან არ გამოიყვანა მეორე პარტიაში სეტზე ჩასაწოდებელი გეიმის წაგებამ, როცა ის 5:4-სა და 40:0-ს იგებდა. არგენტინელმა გადაარჩინა ეს გეიმი და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც წარმატება აზიელს დარჩა. იმ დროისთვის მატჩი უკვე ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა, ორივე ჩოგბურთელი დაიღალა და არგენტინელს მესამე სეტის სტარტზე გაკეთებული ბრეიკი ეყო საბოლოო წარმატების მისაღწევად – 7:6(2), 6:7(6), 6:2.

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 4 694 969 დოლარი

**1/8 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:0, 6:7(5), 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7) 6:4, 6:0; **ჟილ სიმონი (საფ, 13)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 7:6(0), 5:7, 6:1; **ჯონ ისნერი (აშშ, 11)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:4, 7:5; **ხუან-მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-დენის ისტომინი (უზბ) 7:6(2), 6:7(6), 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ტომას ბელუჩი (ბრა) 3:6, 6:3, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6) 3:6, 7:5, 6:3; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21) 6:3, 6:2.

**1/4 ფინალი**

ჯოკოვიჩი (1)-ალმაგრო (12); სიმონი (13)-ისნერი (11) დელ პოტრო (9)-ფედერერი (3); ნალბანდიანი-ნადალი (2).



როჯერ ფედერერი

# ვიკამ სერენა გაიმეორა

ქალებისმეოთხედფინლებიდან, რა თქმა უნდა, უდიდეს ინტერესს იწვევდა **ვიქტორია აზარენკასა** და **აგნიეშკა რადვანსკას** დაპირისპირება. ამ უკანასკნელს არ გაუმართლა ბადის მხრივ, რადგან მეოთხედფინალში მსოფლიოს პირველ ნომერს გადაეყარა. მაგრამ მომდევნო კვირიდან ასეთი რამ არ მოხდება, რადგან პოლონელი მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ხდება.

რადვანსკასთვის აზარენკა ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო – 11-დან მხოლოდ სამი მატჩი მოიგო. მართალია, ყოველთვის უწევს დიდ წინააღმდეგობას ბელარუსს, მაგრამ იშვიათად ამარცხებს მას. წელს მათ უკვე სამჯერ მოასწრეს შეხვედრა და სამივეჯერ გამარჯვება ვიკას დარჩა. სხვათა შორის ამ სეზონში აგნიეშკას მხოლოდ აზარენკასთან აქვს წაგებული.



ვიქტორია აზარენკა

მოკლედ, ამ მატჩისგან ყველა ბრძოლას ელოდა, რომელიც არ ყოფილა. ვიქტორია ბრწყინვალე განწყობით გავიდა კორტზე და საბოლოოდ, შტორმივით გადაუარა მეტოქეს. თამაშის პერიპეტიების აღწერა არ ღირს – ანგარიში თავად მეტყველებს ყველაფერზე – 6:0, 6:2.

აზარენკამ გაიმეორა **სერენა უილიამსის** მიღწევა, რომელიც 2003 წლით თარიღდება – მაშინ ამერიკელმა სეზონის სტარტზე 21 მატჩი მოიგო. ახლა იგივე სერია აქვს ბელარუს ჩოგბურთელს (ორივემ ეს შედეგი 21 წლის ასაკში დააფიქსირა). რეკორდი კი **მარტინა ჰინგისს** ეკუთვნის – 1997 წელს, 16 წლის შვეიცარიელმა 37 სასტარტო შეხვედრაში გაიმარჯვა.

ნახევარფინალში აზარენკა გერმანელ **ანჟელიკ კერბერს** შეხვდება, რომელმაც **ნა ლი** დაამარცხა – 6:4, 6:2. ჩინელი უფრო აქტიურად მოქმედებდა, მაგრამ ძალიან ბევრ შეცდომასაც უშვებდა.

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 5 536 664 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5) 6:0, 6:2; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 18)**-ნა ლი (ჩინ, 8) 6:4, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია